# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 9 ნოემბერი 2000 №217 (1239) | ფასი 50 თეთრი

ემზარ ზენაიშვილი

სტამბოლიდან



## ავრორა და სუსტები

**სტამბოლში** შეკრებილი 768 ვაჟი მოჭადრაკიდან, რომლებიც წარმოადგენენ ყველა კონტინენტის 126 ქვეყანას (სათვალავში არ ვიღებთ თურქეთის მეორე გუნდს და უსინათლო მოჭადრაკეთა მსოფლიო ასოციაციის ნაკრებს), ელოს კოეფიციენტით პირველი რეიტინგი ინგლისელ მაიკლ ადამსს აქვს — 1754. ზურაბ აზმაიფარაშვილი რა თქმა ელიტაში შედის — მას მე-12 პოზიცია უკავია (1678). ქალებში სიუ ჟუნი პირველობს, მეორე კოეფიციენტი მაია ჩიბურდანიძეს აქვს (1550), მეექვსე ნანა იოსელიანს — სამი ჩინელის, მაიასა და ალისა გალიამოვას შემდეგ.

ისე კი 92 ქალს, ანუ ყოველ მეოთხეს, ელოს რეიტინგთა კლასიფიკაციაში ადგილი საერთოდ არ აქვს მონიშნული, მათ შორის 16 გუნდის არც ერთ წევრს. ვაჟთა შორის სრულებით ურეიტინგო სულ ხუთი გუნდია, კოეფიციენტის გარეშე კი 121 კაცი, ანუ მონაწილეთა მეექვსედზე მეტი.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

**გუშინ. XI ტური**

ვაჟები: საქართველო — ესტონეთი 2,5:1,5
ქალები: საქართველო — უკრაინა 1:2




...სოლომონ გულისაშვილი საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების შესახებ.

...ვიქტორია ადამსი, ავლაბარი და დევიდ ბექემის პლაკატი.

...ცოტაც ვიმხიარულოთ.

...პროფესიული კრივის ყველა ჩემპიონი.

...მერაბ რატიშვილი — მეორე ოცნების გუნდის თვითმხილველი.

...ავთანდილ გურასაშვილი სიდნეის იგონებს.

**ორშაბათიდან ჟურნალი სარბიელი**

**ფასი 2 ლარი**

## ბარსა : მკვდარი გოლები და გულები
## იუვე



REUTERS

მილანი — ლიდსი. ორი ტურია, 20 წლის პოლ რობინსონს (№13) მარტო ბრაზილიელები უტანენ. გუშინ ეს სერჟინიომ მოახერხა

სერჟინიოს გოლმა „სან სიროზე" მეტად „კამპ ნოუ" გაახარა, მაგრამ „ლიდსმა" გაძლო და ხუთგოლიანი „ბარსელონა" უეფას თასზე გაუშვა.

„მას რომ გაეტანა, ინფარქტი არ აგვცდებოდა" — თქვა ალექს ფერგიუსონმა. ჰოო, 88-ე წუთზე გიორგი დემეტრაძეს რომ 4 მეტრიდან გაეტანა, „ბარსას" გზას „მანჩესტერსაც" გაუყენებდა.

„იუვენტუსმა" კი მატჩი კვლავ 9 კაცით ჩაამთავრა და უეფას თასიც განზე დარჩა.

იხილეთ მეორე გვერდი

**E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 |
| იუვენტუსი | 1 |
| ჰამბურგი | 1 |
| დეპორტივო | 1 |

**F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი | 1 |
| ბაიერნი | 1 |
| ჰელსინგბორგი | 1 |
| პარი სენ ჟერმენი | 1 |

**G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1 |
| დინამო | 0 |
| პსვ ეინდჰოვენი | 2 |
| ანდერლეხტი | 3 |

**H ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მილანი | 1 |
| ლიდსი | 1 |
| ბარსელონა | 5 |
| ბეშიქთაში | 0 |

## დენია, მაშასადამე ვარსებობთ!

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მეოთხე ტური გუშინ ათდღიანი დაგვიანებით გაიმართა: 29 ოქტომბერს ვერის ბაღში დენი არ იყო...

ამ ათ დღეში „შევარდენის" მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის კონფლიქტი წარმოიშვა და, სავარაუდოდ, მოგვარდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, გუშინ გუნდს კვლავ სერგო იშხნელი გამოუძღვა. მიუხედავად ამისა, შევარდნებს ფრთების ბოლომდე გაშლა თსუ-მ არ დაანება და 86:77 მოუგო.

ზედიზედ მეოთხედ და მეხუთედ დამარცხდნენ, შესაბამისად, „დინამო" და სსუ. თბილისელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს მაკაბელთა კამერუნეულ დუეტ ტუჯანიდაჩუმის, ხოლო ირაკლი შანიძისგან 36 ქულა მიიღეს. სოხუმელები კი „ვითას" ყმაწვილკაცებმა გაამწარეს.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



მაკაბი — დინამო 98:79. მაკაბელი მანველიშვილი კი წაიქცა, მაგრამ მაინც იმარჯვა და დინამოელები არაქელიანი (№10) და ნოზაძე პასის შემყურედ დატოვა

# გუშინ ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტური

## E ჯგუფი

### პანათინაიკოსი 3:1 იუვენტუსი

1:0 პაულუ სოუზა (6), 1:1 ინძაგი (23), 2:1 ბასინასი (58პ), 3:1 ვარჟიხა (66)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიქსენი, ვოკოლოსი, სარიჩი, ფისასი, პაულუ სოუზა (გალეტო 46), გუმასი, კარაგუნისი (სიმნიევსკი 81), ბასინასი, ლიბეროპულოსი, ვარჟიხა (ვლაოვიჩი 72)
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი
იუვენტუსი: ვან დერ სარი (რამპულა 56), ფერარა, ძანკი, იულიანო, პესოტო, კონტე, ტაკინარდი, ონილი (ბირინდელი 59), დელ პიერო, ფ. ინძაგი (ტრეზეგე 62), კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაძევება: ვან დერ სარი (55), კოვაჩევიჩი (71)
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
67 000 მაყურებელი

### ჰამბურგი 1:1 დეპორტივო

1:0 მაჰდავიკია (10), 1:1 მაკაი (58)
ჰამბურგი: ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, კინცი (კეტელაერი 66), ტოფტინგი, ჰოლერბახი, ნ. კოვაჩი (მერჩი 17), ბარბარესი, მაჰდავიკია, იებოა (ბესტერი 55), პრეგერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
დეპორტივო: მოლინა, სეზარი, პელეგრი, მანუელ პაბლო, კაპდევილა, ემერსონი (რამისი 76), დონატო (სეზარ სამპაიო 46), სკალონი, ვალერონი, ფერნანდო, პანდიანი (მაკაი 46)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
48 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 6 | 2 | 4 | 0 | 6:4 | 10 |
| პანათინაიკოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ჰამბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 9:9 | 6 |
| იუვენტუსი | 6 | 1 | 3 | 2 | 9:12 | 6 |

## F ჯგუფი

### რუსენბორგი 1:1 ბაიერნი

1:0 ფ. იონსენი (27), 1:1 იერემისი (86)
რუსენბორგი: არნსონი, ბ. იონსენი, ბასმა, ჰოფტუნი, სტენსაასი, ვინსნესი, სკამელსრუდი, ჯორჯი (რ. სტრანდი 81), სორენსენი, ფ. იონსენი, ქნუტსენი
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
ბაიერნი: ვესელსი, სანიოლი, კუფური, ვისინგერი (ელბერი 73), სფორცა, ფინკი, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი (შოლი 62), ეფენბერგი (იერემისი 62), იანკერი, ციკლერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)
13 965 მაყურებელი

### ჰელსინგბორგი 1:1 პარი სენ ჟერმენი

0:1 ანელკა (34), 1:1 პერსონი (70)
ჰელსინგბორგი: სვენ ანდერსონი, ო. ნილსონი, რ. ნილსონი, მატოვაცი, პერსონი, უ. იანსონი (ცლუნდი 46), მ. ჰანსონი (ვალშტედტი 66), ი. იანსონი, პრიკა, იოჰანსენი, ალვარო (ლინდსტრიომი 76)
მწვრთნელი: ნანე ბერგსტადი
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ა. სისე, რაბესანდრატანა, დისტინი, ე. სისე, ლეროა, დეუ დოუკრო, რობერი (იანოვსკი 74), ოკოჩა, ანელკა (ტალალი 86)
მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
12 583 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| პსჟ | 6 | 3 | 1 | 2 | 14:9 | 10 |
| რუსენბორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 13:15 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:14 | 5 |

## G ჯგუფი

### მანჩესტერი 1:0 დინამო

1:0 შერინგემი (18)
მანჩესტერი: ბარტეზი, ირვინი, გ. ნევილი, ბრაუნი, ფ. ნევილი, კინი, ბათი, ბექემი, გიგზი (ფორჩუნი 35; სილვესტრი 89), ენდი კოული, შერინგემი (იორკი 74)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
დინამო: შოვკოვსკი, ბოდნარი, ნესმაჩნი, გოლოვკო (ფიოდოროვი 76), ვაშჩუკი, ხაცკევიჩი, გერასიმენკო, ქალაძე, ბელკევიჩი, შაცკიხი (დემეტრაძე 67), ლისიცკი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
66 776 მაყურებელი

### პსვ ეინდჰოვენი 2:3 ანდერლეხტი

0:1 კრასონი (9), 0:2 კოლერი (37), 1:2, 2:2 რამზი (45, 47), 2:3 იულა (90)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინცე, რამზი (კლაუდიო 84), ვოგელი, ვან ბომელი, კოლკა, რომედალი (ბრუგინკი 41), დე იონგი (კეუმანი 38)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ანდერლეხტი: დე ვილდე, დე ბოეკი, სტალენსი, კრასონი, დეედენი, გოორი, ვანდერეიგენ ბასეჯიო, სტოიკა (ჰასი 55), კოლერი, რაძინსკი (იულა 84)
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
გაძევება: ჰოფლანდი (89)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:14 | 12 |
| მანჩესტერი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:7 | 10 |
| პსვ ეინდჰოვენი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 9 |
| დინამო | 6 | 1 | 1 | 4 | 7:8 | 4 |

## H ჯგუფი

### მილანი 1:1 ლიდსი

0:1 მატეო (45), 1:1 სერჯინიო (68)
შევჩენკომ ვერ გაიტანა პენალტი (26, ძელი)
მილანი: დიდა, როკე ჟუნიორი, შამოტი, მალდინი, ჰელვეგი, გატუზო, ალბერტინი, სერჯინიო, ლეონარდო (ბობანი 54), შევჩენკო, ბირჰოფი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ლიდსი: რობინსონი, კელი, რადებე, მილსი, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, დაკური, მატეო, სმიტი, ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
52 289 მაყურებელი

### ბარსელონა 5:0 ბეშიქთაში

1:0 კოკუ (11), 2:0, 3:0 ლუის ენრიკე (17, 49), 4:0 რივალდო (80პ), 5:0 გაბრი (88)
ბარსელონა: არნაუ, პუიოლი, აბელარდო, პეტი, ხავი (გაბრი 82), კოკუ, სერხი, სიმაო (ჟერარდი 63), ლუის ენრიკე, რივალდო, დანი (კლუივერტი 63)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ბეშიქთაში: თუნჯაი, ტაიფური, ბექერლერი (ერმანი 21), აჰმეთი, ნიჰათი, მეჰმეთი (ილჰანი 85), მიუმი, აქმანი, იბრაჰიმი, ბოზკურტი, იასინი
მწვრთნელი: ნევიო სკალა
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
55 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 11 |
| ლიდსი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | 9 |
| ბარსელონა | 6 | 2 | 2 | 2 | 13:9 | 8 |
| ბეშიქთაში | 6 | 1 | 1 | 4 | 4:17 | 4 |

## შემდეგ წრეში გავიდნენ:

რეალი (ესპანეთი)
სპარტაკი (რუსეთი)
არსენალი (ინგლისი)
ლაციო (იტალია)
ვალენსია (ესპანეთი)
ლიონი (საფრანგეთი)
შტურმი (ავსტრია)
გალათასარაი (თურქეთი)
დეპორტივო (ესპანეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ბაიერნი (გერმანია)
პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)
ანდერლეხტი (ბელგია)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
მილანი (იტალია)
ლიდსი (ინგლისი)

მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრა ხვალ გაიმართება

## ინგლისი

I დივიზიონი
ბარნსლი 1:2 ბლეკბერნი
ნოტინგემი — ჰადერსფილდი გადაიდო

## პოლონეთი

ლიგის თასი.
მეოთხედფინალი. II მატჩები
პოლონია 2:1 ზაგლემბიე (0:1)
შურნიკი 2:0 რადომსკო (2:3)

## საფრანგეთი

ლიგის თასი
ვასკეალი 2:1 კანი

## დანია

თასის მერვედფინალი
ბრონდბიუ 2:0 კოპენჰაგენი
ჰოლსტებრო 2:0 ესბიერგი
ჰორსენსი 3:4 ბ 93 კოპენჰაგენი
ვაილე 0:2 აკადემისკი




REUTERS მაინტე

H ჯგუფი. დანიმ, ლუის ენრიკემ (ქვემოთ) და „ბარსელონამ“ თურქები არ დაინდეს, თუმცა მათი ბედი მილანში გადაწყდა: ოლივერ დაკურმა და ლი ბოიერმა (№11) სასურველი ქულა და მილანური მაისურები მოიპოვეს




REUTERS ბარსელონელდები





REUTERS მანჩესტერიდან

G ჯგუფი. „მანჩესტერი“ შემდეგ ჯგუფში ტედი შერინგემის გოლმა გაიყვანა, ბერტრან კრასონი (ზურგით) და ტომაშ რაძინსკი კი ერთმანეთს „ანდერლეხტის“ ანალოგიურ წარმატებას ულოცავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ნაკრები ვისთან? სად? როდის?

**უკრაინის** ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ოლეგ ბაზილევიჩის განცხადებით, მან მოლაპარაკება წამოიწყო ისრაელთან და შვედეთთან გაისად, 24 ან 25 აპრილს ამხანაგური მატჩის მოსაწყობად.

ვის, სად და როდის ეთამაშება უკრაინის ნაკრები აბა, რა ჩვენი საქმე და ინტერესის საკითხია, მაგრამ ბაზილევიჩის და მისი ქართველი კოლეგების ამასწინანდელი ნათქვამი ურთიერთგამომრიცხავია და ჩვენი ყურადღებაც ამით დაიმსახურა.

და კიდევ, ბაზილევიჩისვე თქმით, უკრაინის ნაკრები გაისად ნამდვილად ითამაშებს კვიპროსის ტურნირში, სადაც საქართველოს ნაკრებმა წლეულს მესამე ადგილი დაიკავა, უკრაინისამ კი მონაწილეობაზე ბოლო მომენტში თქვა უარი და ორგანიზატორებმა სომხეთით შეცვალეს.

საგაისო ტურნირში, რომელიც 25 თებერვალს დაიწყება და 1 მარტამდე გასტანს, სავარაუდოდ საქართველო, უკრაინა, ავსტრია და კიდევ 4 გუნდი იასპარეზებს მასპინძელთა გარდა.

ერთი სიტყვით, კვიპროსის ტურნირის მატჩები ბოლო რეპეტიცია იქნება 28 მარტს რუმინეთის მასპინძლობამდე.

„სარბიელის“ კითხვაზე, რომელ სტადიონზე ისურვებდა ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩის გამართვას, ნაკრების ერთ-ერთმა მთავარმა მწვრნელმა რევაზ ძოძუაშვილმა ასე უპასუხა:

„წინააღმდეგი არ ვარ რომ რუმინეთს ქუთაისში დავხვდეთ, მაგრამ იქ ჩვენი ფეხბურთელები მთლად მყუდროდ ვერ გრძნობენ თავს, რადგან ქუთაისის სტადიონზე თამაშს ნაჩვევნი არ არიან და მხოლოდ გულშემატკივრების მხარდაჭერის იმედად იქნებიან. თუ მოესწრება, არც „მიხეილ მესხის“ ახალაშენებულ სარბიელზე ვიტყვით უარს, მაგრამ ყველაზე ოპტიმალური და სასურველი ვარიანტი საქართველოს ნაკრებისთვის ისევ ეროვნული სტადიონია.“

რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია, რას ნიშნავს მხოლოდ გულშემატკივართა მხარდაჭერის იმედად ყოფნა, რატომ არ სურს რევაზ ძოძუაშვილს ნაკრების მატჩის სავსე ტრიბუნების წინაშე გამართვა და რატომაა თუნდაც ვაკეში ახალაშენებულ „მიხეილ მესხზე“ თამაში იმაზე უფრო წამგებიანი, ვიდრე ბაზრობადქცეულ, უმაყურებლო ეროვნულ სტადიონზე.



წლევანდელი ისრაელი — საქართველო: გაისტუმრებენ ვალს ებრაელები?

მოგეხსენებათ, ეროვნული სტადიონი სიდიდის მიუხედავად 20 ათასზე მეტ გულშემატკივარს ვერ უმასპინძლებს. თითქმის ამდენივე კი (19 432) უპრობლემოდ ეტევა „ტორპედოს“ სტადიონზე, სადაც ბილეთებიდან შემოსული თანხა (თვით ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე) ყველა დანარჩენზე გაყიდულისას აღემატება.

ფედერაციას ჯერ არ გადაუწყვეტია სად დავუხვდებით რუმინეთს, მაგრამ მათი თქმით, ქუთაისის „ტორპედოს“ ახალშეკეთეული სარბიელის და საწვრთნელი ბაზის გამოყენებას ისრაელის სამასპინძლოდ აპირებენ.

— საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, მაგრამ სავარაუდოდ თამაში, ალბათ, ქუთაისში ჩატარდება — ეწერა ხუთშაბათის „სარბიელში“ ფედერაციის პრესსამსახურის ცნობაზე დაყრდნობით. ჩვენებურებმა ალთქმული მიწიდან ფაქსი მიიღეს, ებრაელები წელიწადის და თვის თავზე ვალის გასტუმრებას აპირებენ.

ალბათ გეხსომებათ, წლეულს 28 მარტს აშქელონში გამართული ისრაელ — საქართველო, ეიალ ბერკოვიჩის და გიორგი ქინქლაძის სოლოგოლების წყალობით 1:1 დასრულდა.

მოლაპარაკებისამებრ დანიელი რიქარდ მიოლერ ნილსენის გაწვრთნილი ისრაელის ეროვნული გუნდი საპასუხო ვიზიტით უნდა ეწვიოს საქართველოს.

ერთი სიტყვით, თუ ბაზილევიჩმა ებრაელებს ჩვენთან ჩამოსვლა არ გადაafიქრებინა, 1999 წლის 8 ოქტომბრიდან ეროვნული ნაკრების ცხადად ხილვას დანატრებული ქართველი გულშემატკივარი გაზაფხულზე ზედიზედ ორჯერ უქომაგებს შინდისფერებს. მერე, ზაფხულში კი „სკუადრა აძურასაც“ იხილავს.

**ვახტანგ ჭჭიკაძე**



ჯანი კარნევალი

# ჯანის ჯანით

**დღეს** საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები იტალიის ქალაქ რიმინიში გაემგზავრა. სფფ-მ სიტყვა შეასრულა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ჭეიშვილი არ გააწბილა და ყმაწვილებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წინ ერთკვირიანი უცხოური შეკრება გაუხერხა, თუმც ისიც სათქმელია, რომ სფფ უძლური იქნებოდა „ბათუმის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი, იტალიელი ჯანი კარნევალი რომ არ დახმარებოდა. როგორც შევიტყვეთ, სინიორ ჯანის თავის თავზე აუღია ნაკრების იტალიაში სტუმრობის საორგანიზაციო ხარჯები. სხვათა შორის, კარნევალი სწორედ რიმინიდან გახლავთ და ფედერაციის ჩინოსანთათვის სიტყვა მიუცია, ქართველ თვრამეტწლამდელებს მშობლიურ ქალაქში ყველანაირ პირობას შევუქმნი სრულყოფილი მზადებისთვისო.

რიმინიში შოთა ჭეიშვილს სამი საკონტროლო მატჩი აქვს დაგეგმილი. ერთი მეტოქე უკვე ცნობილია, ქართველი თვრამეტწლამდელები სან მარინოს ნაკრებს შეხვდებიან, დანარჩენი ორი კი იტალიის მეოთხე დივიზიონის წარმომადგენელი იქნება.

კარნევალის სამშობლოში ქართველები 16 ნოემბრამდე დარჩებიან, შემდეგ კი ავტობუსით ხორვატიაში გაემგზავრებიან და 20 ნოემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ შეხვედრას გამართავენ მასპინძელ თანატოლებთან.

თვრამეტწლამდელებს თავდამსხმელი ლადო ახალაია პირდაპირ იტალიაში შეუერთდებათ, რადგან მის „ზიმბრუს“ „შერიფთან“ პრინციპული მატჩი აქვს 18 ნოემბერს და კიშინიოველებს ჭეიშვილისთვის მისი თავი რამდენიმე დღით უთხოვიათ.

**ბაადა ძგანტალიანი**

**ქართველი თვრამეტწლამდელები**

| | | | |
|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | |
| მანუჩარ | ივარდავა | ლოკომოტივი | 23.07.82 |
| ზურაბ | მამალაძე | ინტერი | 10.02.82 |
| **მცველები** | | | |
| ზვიად | ლაბაძე | თსუ | 13.09.82 |
| ნუკრი | მანჩხავა | ოლიმპიკი | ??.??.82 |
| ალექსანდრე | ამისულაშვილი | ინტერი | 20.08.82 |
| ვლადიმერ | ძაგნიძე | ლოკომოტივი 3 | ??.??.82 |
| ირაკლი | სახურია | თბილისი | 03.01.82 |
| დავით | სტურუა | თბილისი | 15.09.82 |
| დავით | ზაზაშვილი | ხალიბი | 30.01.82 |
| **ნახევარმცველები** | | | |
| ალექსანდრე | ჩივაძე | დინამო 2 | 15.02.82 |
| გიორგი | ნორაკიძე | დინამო 2 | 11.01.82 |
| ირაკლი | ჯოჯუა | შევარდენი | ??.??.82 |
| ირაკლი | სამხარაძე | კარლსრუე, გერმანია | 12.02.83 |
| დავით | ქოქიაშვილი | კარლსრუე, გერმანია | 09.05.83 |
| ბექა | სალარეიშვილი | თბილისი | 19.09.82 |
| **თავდამსხმელები** | | | |
| ლადო | ახალაია | ზიმბრუ, მოლდოვა | 26.06.82 |
| ბექა | ნოზაძე | თსუ | 09.02.82 |
| ბესიკ | ქარდავა | დინამო 2 | 12.11.83 |

# ქორო იქა, ხაჭა აქა

— **მართალია,** ლაიპციგის „ზაქსენი“ მაკედონიელი ზლატკო გოშევით გაძლიერდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქსონიელები გამთამაშებლის ძებნას წყვეტენ. ამის დასტურია ორი ქართველი ფეხბურთელის გასასინჯად ჩამოსვლა ლაიპციგში — წერს გერმანული „კიკერი“.

„ვიტ ჯორჯიას“ მარცხენა ნახევარმცველი ირაკლი ხაჭაპურიძე და თავდამსხმელი გიორგი ქორიძე კვირაზე მეტია გერმანიის ჩრდილოეთ რეგიოლნალლიგის აუტსაიდერ „ზაქსენში“ იმყოფებიან.

19-გუნდიან ლიგაში ბოლოდან მეხუთე „ზაქსენს“ ბულგარეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხრისტო ბონევი წვრთნის და „ვიტ ჯორჯიას“ ბულგარელი პარტნიორების მეშვეობით სწორედ მან მიიწვია ქართველები გერმანულ კლუბში.

„ზაქსენს“ ვიტელები ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში უნდა გამოეცადა, მაგრამ შედგა თუ არა ეს შეხვედრა უკვე, ამის თაობაზე „კიკერი“ ჯერჯერობით არაფერს იტყობინება.

ვიტელთა ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით კი ირაკლი ხაჭაპურიძეს ფეხი აწუხებს და ალბათ უკანვე მოუწევს ჩამოსვლა, გიორგი ქორიძის საკითხი კი მოგვიანებით გაირკვევა.

გერმანული რეგოიონალლიგის მეორე, სამხრეთ ზონაში ამ ქვეყნის მესამე ეშელონის ერთადერთი ქართველი დიმიტრი პაპავა თამაშობს, რომლის „ელფესბერგი“, ბოლო ტურში უმისოდ 0:6 რომ დამარცხდა „კარლსრუესთან“, მესამეა 15 ტურის შემდეგ.

**ვახტანგ ჭჭიკაძე**

# დიდავა ტიხონოვს ანაცვალეს

**ერთ** დროს რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელი, სახალხო „სპარტაკიდან“ თავისი ნებით წასული თუ გაძევებული ანდრეი ტიხონოვი გახდა ის ფეხბურთელი, რომელსაც თელ ავივის „მაკაბის“ თავკაცობამ ჩვენებური გივი დიდავა ანაცვალა.

რუსული საინფორმაციო წყაროები იტყობინებოდნენ, რომ ტიხონოვი ახალი სეზონიდან სამარის „კრილია სოვეტოვის“ მაისურას მოირგებდა. რა იქნება სამი თვის შემდეგ, არავინ უწყის, ფაქტი ერთია, რუსმა უქმობა არ ისურვა და „მაკაბისთან“ საქმეც გაჩარხა.

გივი დიდავას ბედიც გაირკვა. „მაკაბი“ ჩვენებურს იოლად შეელია, გივი ისრაელის დაბალ ლიგაში გაანათხოვრა და რუსი ლეგიონერისთვისაც განაცხადში ადგილიც გამოათავისუფლა.

სეზონის ბოლომდე დიდავა ბერ შევას „ბეითარის“ ღირსებას დაიცავს. ეს გუნდი ამჟამად მეორე ლიგის მეხუთე ადგილოსანია და სამი ქულით ჩამორჩება გიორგი ჩიხრაძისა და გიორგი დარასელიას კლუბებს. ქფარ სავას და ბეით შანის „ჰაპოელი“ შესაბამისად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ და 17-ქულიანები არიან.

დიდავასთვის იქნებ ისე სჯობდეს. ახალ კლუბში სათამაშო პრაქტიკა მაინც არ მოაკლდება, რაც სათადარიგოობას აშკარად სჯობია.

**გამუკა ძგანტალიანი**

# ნივიდან ტავრიაში ტყუპებიც ერთად

**საზამთროდ** 12 ფეხბურთელი დაგვტოვებს, განაცხადა უკრაინული სიმფეროპოლის „ტავრიას“ პრეზიდენტმა რუვიმ არონოვმა.

მანვე თორმეტივე ჩამოთვალა და ჩვენდა საბედნიეროდ მათში არცერთი ქართველი აღმოჩნდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ იშჩენკო კმაყოფილია ქართველი ნახევარმცველების გოჩა ტარპაიძისა და ვასილ გიგიაძის თამაშით და სამეორეწრეოდ კიდევ ორი ჩვენებურის დამატებას აპირებს.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ტრაპაიძეს და გიგიაძეს, ამ უკანასკნელის ტყუპისცალი, ამჟამად სამტრედიის „იბერიას“ გამთამაშებლად ქცეული, ისე კი მარცხენა მცველი იოსებ გიგიაძე შეემატება. „ტავრიას“ კიდევ ერთი, ქართველი ახალწვეული კი უკრაინისვე ტერნოპოლის „ნივას“ მარჯვენაფლანგელი შოთა ჩომახიძე იქნება.

ამის თაობაზე ადრეც ვწერდით და რამდენიმე დღის წინ ამ ცნობის წყალგაუვალობა გიგიაძეთა უფროსმა ძმამ, ლაშამაც დაგვიდასტურა და არდადეგებზე შინ დაბრუნებულმა შოთა ჩომახიძემაც.

სხვათა შორის „ნივამაც“ ბლომად ფეხბურთელელბი დაითხოვა, თუმცა ქართველი არც მათ შორისაა. ტერნოპოლელთა ძირითადი დანაკლისი ჩომახიძე და ტრანსფერზე დაყენებული ორი მეკარე, 36 წლის გენადი ლოსიევი და ათი წლით უმცროსი იური ნიკიტენკო იქნებიან.

მოგეხსენებათ, აქამდე ტერნოპოლში ჩომახიძის ჩათვლით 7 ქართველი ირიცხებოდა: ტყუპი ავთანდილ და ტარიელ კაპანაძეები, კახაბერ დგებუაძე, ავთანდილ გვიანიძე, ავთანდილ სიხარულიძე და ფარმკლუბელი გიორგი ადეიშვილი.

**ვახტანგ ჭჭიკაძე**

# იქ, სადაც «სიონი» თამაშობს

### ფეხბურთის სანახავად

მიუყვები კოხტა სახლებით გაწყობილ ქუჩას და გრძნობ, დღეს აქ ყველაფერი ფეხბურთით სუნთქავს. სკვერში ბავშვები ტრიალებენ, ეტყობა, სადღაც მიიჩქარიან. მალიმალ აფიშებისკენ გაგექცევა თვალი, საფეხბურთო მატჩის ანონსია. დღეს ბოლნისში „სიონი“ თამაშობს! სტადიონის სიახლოვეს გვარიანი ფაციფუცია, მტკიცება, კამათი, წინა მატჩის გარჩევა, მომავლის პერსპექტივებზე მსჯელობა. და ეს ყველაფერი პერიფერიაში, ერთ პატარა ქალაქში ხდება...

არადა, რა მოკლე დროში შევიწროვდა საფეხბურთო გეოგრაფია... კახეთი, ლანჩხუთი, ზუგდიდი... ფეხბურთის მძლავრი სუნთქვა ბევრგან განელდა...

„აქ თამაშობს „სიონი“ — სტადიონზე შესულთ ეს წარწერა შემოგეგებებათ. მერწმუნეთ, უკეთეს სიტუაციას ჩვენს ვერც ერთ სარბიელზე ვერ ნახავთ. მთელი მატჩის განმავლობაში ხალხი მღერის, ყვირის, თავისიანებს მოუწოდებს (შიგადაშიგ, რა თქმა უნდა, ტრადიციული გინებაცაა), მოედანზე კი ბრძოლაა, თვალსასეირო ფეხბურთი. ტრიბუნებმიდგმული არასტანდარტული მოედანი, მუდამ ფეხზე მდგარი ადგილობრივ ქომაგთა ყოჩი ალა და რაღაც განსაკუთრებულად მონდომებული ფეხბურთელები — აქ სხვა მუხტია, თავს მოდუნების საშუალებას ვერ ვაძლევთ — ბევრჯერ გვსმენია მათგან.

### „მილიონერი“ მილიონი საქმისთვის

ზურაბ ჯაფარიძის ბევრი ნაცნობი დამეთანხმება, რომ მას ფეხბურთის კაცად უფრო იცნობენ, ვიდრე ბოლნისის გამგებლად. მისი მეგობრებისგან და კოლეგებისგან ხშირად მსმენია, ყოველ თათბირს ფეხბურთით იწყებს და ამთავრებსო, ის კი არა, გამგეობის თანამშრომლები ხუმრობენ კიდეც, ისეთ კაცს გვერდით არ დაიყენებს სულ ცოტა, ბურთს ოცამდე მაინც არ კენწლავდესო.

აგერ უკვე 22 წელია, ერთად მოდიან ჯაფარიძე და „სიონი“. თავადაც ყოფილ ფეხბურთელს, ამ თამაშის ყადრი ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი.

— რუსთავის „მეტალურგში“ თამაშის დროს „მილიონთა თასის“ გათამაშება მოვიგეთ. ამ ტიტულით რაღაცნაირად ვამაყობ, თითქოს მავალდებულებს, რომ ფეხბურთში მილიონი საქმეა გასაკეთებელი — გვეუბნება ზურაბ ჯაფარიძე...

გამგეობაში სტენდია გაკეთებული, სადაც ძველი შენობების და მათ სანაცვლოდ აგებულ ახალთა ფოტოებია გამოკრული გვერდიგვერდ. ექსპონატებში საფეხბურთო თემა სჭარბობს. ქალაქის ცენტრში კოხტად გაწყობილ მინი-ფეხბურთის დარბაზის ადგილზე შარშან მორღვეული კედელი იყო, დღეს კი ეს დარბაზი „სიონს“ საშუალებას აძლევს, გულმშვიდად შეხვდეს კარს მომდგარ ზამთარს.

საფუძვლიანად შეკეთდა სტადიონის სიახლოვეს მდებარე შენობაც და დღეს ბოლნისი ახალი მრავალდარბაზიანი სპორტული კომპლექსითაც იწონებს თავს. ბოლნისის სტადიონს ტყე-პარკი ესაზღვრება. შარშან იქ მოხვედრილი სასიამოვნო, მყუდრო გარემოში კი აღმოჩნდებოდით, მაგრამ გაპარტახებული შენობები მოგჭრიდათ თვალს. დღეს იქ მართლაც შთამბეჭდავ სურათს წააწყდებით, კოხტად გაწყობილი სხვადასხვა გასართობი ნაგებობების გვერდით, კალათბურთის და ფეხბურთის მოედნებია, ტყეპარკს მხოლოდ ერთადერთი ძველისძველი შენობა შემორჩა.

ზურაბ ჯაფარიძე: „ამ შენობის ადგილზე, ბაზის აშენება გვინდა „სიონისთვის“. ჩვენი ვარაუდით, ამ ადგილს სულ მალე მოვიყვანთ წესრიგში და გუნდს ერთიორად გაუუმჯობესდება პირობები, ბევრი პრობლემა მოგვარდება. მანამდე კი დაგეგმილი გვაქვს სტადიონზე მდებარე გასახდელების და სამსაჯო ოთახების შენობის დაშლა და მის ადგილზე ახალი, თანამედროვე ტიპის ნაგებობის აღმართვა, სადაც პრესცენტრი, ბარი, საშხაპეებიც იქნება. ახალი ობიექტის მშენებლობა ალბათ მარტისთვის დასრულდება“.




მოვიგებთ?



ზურაბ ჯაფარიძე

### ყოფნა-არყოფნა

ამგვარად იყო „სიონის“ საქმე XI ეროვნული ჩემპიონატის წინ. ხმები აგორდა (შემდეგ გაირკვა, რომ არცთუ უსაფუძვლოდ) „სიონი“ უმაღლეს კუთვნილ ადგილზე უარს ამბობს და ბოლნისიც უფეხბურთოდ რჩებაო.

ზურაბ ჯაფარიძე: „მაშინ მართლაც დადგა დღის წესრიგში ამგვარი რამ. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ჩემპიონატის განსხვავებული რეგლამენტით გამართვამ გვაფიქრებინა, რომ კონკურენციას ვერ გავუძლებდით, არადა, ადგილობრივი ფეხბურთელების ნიჭი გასაფლანგად არ გვემეტებოდა. ვიფიქრეთ, ისინი დაბალ ლიგაში მოგვეღონიერებინა და შემდეგ დავბრუნდებოდით უმაღლესს. მეორე პრობლემა და უმთავრესი ფინანსებს უკავშირდება. ამიტომაც ამ საკითხის ირგვლივ გაცხოველებული სჯა-ბაასი იყო. უკან დახევაზე წამითაც არ მიფიქრია, მაგრამ ყოველივეს გადაწყვეტა მარტო ჩემზე არ იყო დამოკიდებული, მერე კი ჟურნალისტები ამოგვიდექით გვერდში. პრესაში ყოველდღე იწერებოდა, რომ ბოლნისი არ უნდა დარჩენილიყო უფეხბურთოდ, რომ ეს დიდი ტრაგედია იქნებოდა და როგორღაც ყველაფერი გადაწყდა. ახლა ვხვდები, თუ რა დიდი შეცდომის მიჯნაზე ვიდექით — იმ სეზონში ხომ „სიონმა“ არნახულ წარმატებას მიაღწია. ჯერ ოთხეულში მოვხვდით, შემდეგ კი რვა გუნდში მეექვსე ადგილი დავიკავეთ. ყოველივემ კი ბოლნისელებს მეტი სტიმული მოგვცა, მაღალი მიზანი დაგვისახა და ამბიცია გაგვიღვივა.



წლეულს „სიონი“ ამ დარბაზში გამოზამთრებს

### „სიონი“

ამ გუნდის მთავარი ღირსება ის არის, რომ უტიტულოს და ბევრისგან არაფრით გამორჩეულს მრისხანე ავტორიტეტი აქვს ჩვენში. „სიონთან“ ყველას უჭირს, ბოლნისში გამარჯვება გმირობის ტოლფასია, რაც ერთეულების ხვედრია. ამ ქალაქიდან ბევრი სახელოვანი გამობრუნებულა გახარებული და კმაყოფილი მოპოვებული ერთი ქულით.

ზურაბ ჯაფარიძე: „ბოლნისში ძირითადად სდასავლეთ საქართველოდან ჩამოსახლებული ხალხი ცხოვრობს. იმერელი, გურული, მეგრელი, სვანი და რაჭველი ამ აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონში ერთ მუშტად არიან შეკრულნი. მათი ქომაგობა ტემპერამენტიანი, გამორჩეულია და უდიდეს სტიმულს აძლევს გუნდს, თანაც ტრიბუნებს და მოედანს რამდენიმე სანტიმეტრი ჰყოფს, ეს კი ფეხბურთელთან ზღვარს თითქმის შლის, მერწმუნეთ, მოედანზე მყოფისთვის ეს განსხვავებული შეგრძნებაა, მაყურებელი თითქმის შენ გვერდითაა, მეტიც, შენშია და გრძნობ რომ სხვისი საქმეც გვაქვს გასაკეთებელი — ქომაგი უნდა დააკმაყოფილო. „სიონის“ „მრისხანეობის“ უმთავრესი ფაქტორიც ეს არის და ალბათ ისიც, რომ ბიჭებს ბევრი მძიმე წუთები გაუვლიათ, მაგრამ ძირითადი ბირთვი დღესაც შემორჩენია გუნდს, ერთგულება კი თავის კვალს ატყობს „სიონის“ თამაშს“.

განსაკუთრებული ფინანსური შესაძლებლობებით დღეს არ გამოირჩევა „სიონი“, მაგრამ იმდენი კი აქვს, გუნდში ხელფას-პრემიების პრობლემა არ იყოს, აქაც ზურაბ ჯაფარიძის ხელი ურევია. ბოლნისის რაიონში და მარნეულში მდებარე არც ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ დარჩენილა რაიმე წვლილი არ მიუძღოდეს გუნდისთვის. გუნდის თამაშებზე საპატიო სტუმართა ლოჟაში ტევა არ არის. ვის არ ნახავთ აქ — ქარხნის დირექტორს, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელს, რიგით ბიზნესმენს. ყველა ხალისით ყვება — არ ამოგვასუნთქა ჯაფარიძემ, ზოგს ბურთები გვაყიდინა, ზოგს ფორმა, ზოგსაც ტრანსპორტის პრობლემა მოგვახსნევინა, შეგვაყვარა ამ ხნის ხალხს ფეხბურთიო და მატჩიდან მატჩამდე ლოჟაში ერთი და იგივე შემადგენლობაა შეყრილი.

შარშან ჯაფარიძის „კლანჭებს“ ჩვენში „კოკა-კოლას“ მამამთავარი თემურ ჭყონიაც ვერ გაექცა. გვახსოვს ჭყონიაც, როგორც ბოლნისელი, როგორ დაინტერესდა გუნდის ბედით და რა კმაყოფილი და დამუხტული დარჩა „სიონი“ — „ლოკომოტივის“ მატჩის შემდეგ. (მასპინძლებმა ის თამაში 1:0 მოიგეს), გასახდელში შევიდა, ბიჭებს პრემიები დაურიგა, მერე კი სტადიონის მოსაწესრიგებლად აუცილებელი ხარჯებიც გაიღო.

დღეს კი ბოლნისის გამგებელი (იქაურები „სიონის“ საპატიო პრეზიდენტსაც ეძახიან) ამაყობს იმით, რომ სულ რაღაც ერთ კვირაში შეაყვარა ფეხბურთი გუნდის დღევანდელ პრეზიდენტ ზურაბ ლობჟანიძეს. თავად გახლდით იმის მოწმე, ბოლნისის სტალდიონზე პირველად მისულმა ლობჟანიძემ თსუსთან მატჩის შემდეგ („სიონი“ 0:1 დამარცხდა) „დიდი გუნდის“ გაკეთება რომ აღუთქვა ჯაფარიძეს.

### მე ფეხბურთელი ვიქნები

სტადიონის შესასვლელთან გაკრულ აფიშის წინ ორი ბიჭუნა საქმიანად საუბრობს

— მოვიგებთ?

— არ წავაგებთ! მაგრამ ცენტრში პრობლემები ექნებათ.

— არა უშავს შეცვლის ვინმე, ისე შენი ადგილია...

— აჰ, ჯერ ადრეა, მოვა ეგ დროც- დღეს არ უნდა წავაგოთ...

**ბაათა ძგანტალიანი**

# უსახელოდ ოვიედოდან

**ესპანეთის** ქალაქ ოვიედოში მინი-ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის IX ჯგუფის მატჩები დასრულდა. როგორც იცით, მასპინძლებთან ერთად ამ ტურნირში საქართველოს და იუგოსლავიის ნაკრებები თამაშობდნენ.

ლეგიონერებით, ჩვენებურ უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები დიდი ოპტიმიზმით გაემგზავრა ოვიედოში, მაგრამ პირველივე მატჩში გვარიანი სირცხვილი ჭამა. ესპანელებმა შანსი არ დაუტოვეს ქართველებს და მინი-ფეხბურთისათვისაც უჩვეულო ანგარიშით — 14:3 დაამარცხეს მეტოქე. გურამ დურგლიშვილის და გენადი ლუცენკოს გუნდი ქვეჯგუფის მეორე მატჩშიც დამარცხდა, თუმც ერთობ საპატიო ანგარიშით — იუგოსლაველებმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს ქართველებს. მოკლედ, ჩვენმა ნაკრებმა სამგუნდა ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და უსახელოდ დატოვა პირინეის ნახევარკუნძული, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური კი მასპინძლებმა მოიპოვეს.

**ბაათა ძგანტალიანი**

# რა იყო, რა მოგველის?

**თურმე** ნაკრები გვყოლია, რომელსაც თამაში და ბრძოლა შეუძლია. იგივე ფეხბურთელები, ნაცნობი მწვრთნელები და იმედის მომცემი შედეგი.

არა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია. საბოლოო გამარჯვებამდე სავალი გზა ჯერაც უგრძესია, მაგრამ პროგრესიც შეიმჩნევა და ამაზე თვალის დახუჭვაც უსამართლობა იქნება.

აბა, „ლიტვასთან“ გამარჯვება რაღა გმირობააო, იკითხავს პრეტენზიული ქომაგი და მართალიც იქნება. თუ საერთოდ რამეზე ფიქრობ, მაშინ ლიტვისდარ გუნდებთან მაქსიმუმი უნდა მოიმკო. წავაგეთ იტალიასთან და ამით ბევრი რამ ითქვა. საპატიო მარცხი არ არსებობს, არც იმ მსაჯის სიავკაცე გაახსენდება ვინმეს და ამასაც იტყვის, ასეთი ინერტული იტალია ბევრსაც აღარ გვახსოვსო.

მაგრამ თამაში, რეალური საგოლე მომენტები და იმედი, რომელიც კაუნასმა და ანკონამ ჩაგვისახა? აი, ეს არის მთავარი.

მოდით, წარსულსაც გადავხედოთ, რამ გამოიწვია ასეთი გამოცოცხლება?! ერთიანობამ და მეტიც არაფერმა.

ჩივაძისეული საქართველოს ნაკრებიც ბევრს ახსოვს. სრულიად გამოუცდელები ჩაებნენ ახალგაზრდა ბიჭები შესარჩევ ტურნირში. მას აქეთ ექვსი წელი გავიდა და იმდროინდელი შედეგი ჯერაც საუკეთესოა ნაკრების ისტორიაში.

მაშინდელ გუნდს რაღაც ახლის მიღწევის სურვილი ჰკლავდა. არც ამდენი ლეგიონერი ჰყავდა და ფეხბურთელებიც თავდადებულნი იყვნენ.

ახლა რომ დავუფიქრდებით, არც ისე საძნელო საქმე იყო ჯგუფში მეორე ადგილის მოპოვება, მაგრამ ნაკრების მზადებისას დაშვებული შეცდომები, დაპირისპირებები და ინტრიგებიც გავიხსენოთ და მივხვდებით, როდის გაგვექცა ხელიდან სანუკვარი შანსი.

დაპირისპირება იყო „დინამოს“ და ფედერაციას შორის. ქვეყნის ჩემპიონი ეურჩებოდა ზემდგომ ინსტანციას და არ შეიძლებოდა, იმ კონფლიქტს ნაკრების მოთამაშეებზე გავლენა არ მოეხდინა. ეროვნული გუნდის ძირითადი ბირთვი ხომ „დინამოში“ თამაშობდა.

ინტრიგაც ვახსენეთ, თუ იმას არ ათამაშებთ, მაშინ ჩემი იმედიც ნულარ გექნებათ! ასეთი ულტიმატუმიც მოუსმენიათ ნაკრების მაშინდელ თავკაცებს. მათ ყველაზე უკეთ უწყოდნენ, რაც გუნდში ხდებოდა, მაგრამ საჯაროდ არაფერს აღიარებდნენ. კოკა ერთხელაც უადგილო ადგილზე გატყდა და ყველაფერმა მწვრთნელთა ზურგზე გადაიარა.

ნაკრები ყიფიანმა და ძოძუაშვილმა ჩაიბარეს. თითქოს კონფლიქტები და დაპირისპირებებიც სადღაც გაქრა, იმედიც გაჩნდა და საბოლოოდ ქართული ფეხბურთის ევროპულმა თუ მსოფლიო რეიტინგმაც მაშინ იმატა არნახულად.

მაგრამ პრობლემებმა ისევ იჩინეს თავი, უთანხმოება უკვე ნაკრების მწვრთნელებსა და ფედერაციას შორის წარმოიშვა. შეკრებიდან გაიქცა ზაზა ჯანაშია, მერე პოლონური ფიასკო, რაც იტალიასთან ფრემ და პოლონელებისვე ძლევამ ვერ დაჩრდილა.

ყველაფერ ამას მწვრთნელები შეეწირნენ. ფედერაციამ, რომელმაც ჩივაძის გუნდს თავისი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით შეუჩერა უფლებამოსილება, ახლა იგივეს სიხარულით სჩადიოდა.

თქვენ თავისუფალი ბრძანდებით, შეჰკადრეს ყიფიანს, რომელმაც წასვლაზე განცხადება ადრევე გააკეთა და მერე გადაიფიქრა.

დადგა გუცაევის ეპოქა. რა კარგად დაიწყო მაშინ ყველაფერი. მალტის ტურნირი მოიგო ნაკრებმა, თითქოს სრულმა თანხმობამ და ურთიერთგაგებამ დაისადგურა ფედერაციას, მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის.

ზუსტად არც კი ვიცით, როდის და რატომ დაიწყო. დაუსრულებელმა სკანდალმა მოიცვა ნაკრები. ვერაფრით შერიგდნენ მწვრთნელ-ფეხბურთელები. შედეგი კი სულ უარესი და უარესი იყო.

გუცაევის ყველაზე დიდი შეცდომა ეს გახლდათ: მწვრთნელმა ერთბაშად მოიწადინა ნაკრების გარდაქმნა, მერე მიხვდა ახალი ფეხბურთელებით ბევრსაც ვერაფერს მიაღწევდა და საქმის გამოსასწორებლად ისევ ძველებს უხმო. შედეგი: გუცაევმა თავადვე ულალატა მის მიერ არჩეულ გეზს, ბოლომდე პრინციპულობა ვერ გამოიჩინა.

მწვრთნელმა ფეხბურთელებისკენ შემხვედრი ნაბიჯი არ გადადგა. ნაკრების წევრებმა დამორჩილება იუკადრისეს. ფედერაციამ მათ შესარიგებლად ნაბიჯიც არ გადადგა და დაეშვა საქართველოს ნაკრები ფსკერისკენ, ანდორებთან და ლიხტენშტაინებთან გაიგივდა.

რა მოხდა რუსეთთან ამხანაგურ მატჩამდე. რა ეწყინა თემურ ქეცბაიას, რატომ წავიდა კრწანისიდან მიხეილ ყაველაშვილი. ბევრი სხვა სადავო კითხვაც ჩაიბარა ისტორიამ და, ალბათ, მხოლოდ მცირე ნაწილისთვის არის ცნობილი პასუხები.

იოჰან ბოსკამპი, მყვირალა ჰოლანდიელი, უცნაურად და უცაბედად გამოჩნდა ქართულ ფეხბურთში. ვერავინ გაიგო, რისთვის იყო ჩამოყვანილი, მაგრამ თავად კი მიხვდა და მალევე ფეხებზე დაიკიდა ყველაფერი. არადა, ნორვეგიასთან გასვლით და ბერძნებთან საშინაო მატჩში დამარცხების მიუხედავად, ნაკრებმა ფეხბურთი ითამაშა. მარცხს მარცხი მოჰყვა, რაც აუტანელი გახდა და...

ყვირილით გვეწვია ჰოლანდიელი და სიცილით გაგვშორდა. საქართველომ ბოსკამპს, ბოსკამპმა ქართველებისა ვერაფერი გაიგო. სანამ მენტალიტეტს არ შეიცვლით, არაფერი გეშველებათო, დაგვიბარა. მენტალიტეტის შეცვლას თითქმის საუკუნე სჭირდება და, სიმართლე გითხრათ, ჩვენში ამის სურვილიც არავის გამოუმჟღავნებია, ამდენ დროს ჰოლანდიელს აბა, ვინ მისცემდა?!

წასვლამდე ბოსკამპმა ერთი საშური საქმე მაინც გააკეთა. საქართველოს ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი და იმედაძე აპოვნინა.

ფედერაციამ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ეს მოიფიქრა: ნაკრების მწვრთნელობა ერთდროულად ორ პიროვნებას — დავით ყიფიანს და რევაზ ძოძუაშვილს დაუბრუნა.

ნაკრების წარუმატებლობათა გახანგრძლივებული სერია, ქართული კლუბის სრული ფიასკო ევროტურნირებზე. ფედერაცია მიხვდა, თუ მიახვედრეს, რომ ამგვარად გაგრძელება ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებს მომავალ ყრილობაზე ხეირს არ დააყრიდა და დაფაცურდნენ...

ერი და ბერი ერთად შევიკარითო, თქვეს და აქეთ მწვრთნელთა საბჭომ, იქეთ ფედერაციის მიერ სასწრაფოდ მოძიებულმა საპრემიო თანხამ ოდნავ გამოაცოცხლა სანაკრებო ცხოვრება.

ვერც ერთი ფეხბურთელი საჯაროდ ვერ ბედავს უკმაყოფილების ან პრეტენზიების გამოხატვას. ვინმე თავისთვის, ანაც ვიწრო წრეში თუ დაიჩივლებს, თორემ გარეგნულად სრულ მორჩილებას აცხადებენ.

სავარჯიშო მინდორზე იხილავდით ფედერაციის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს, გენერალურ მდივანს. შედეგი: წავაქციეთ ლიტვა და წაგვაქცია იტალიამ. თანაც ისე, რომ დასაძრახად სიტყვა არავის მობრუნებია.

დარჩა იმედი სულ მცირე, 28 მარტამდე. რა გველის, ამის შემდეგ რუმინეთთან მატჩი გვიჩვენებს. არწაგების შემთხვევაში ის იმედი 2 ივნისამდე კიდევ იცოცხლებს, მერე კი...

**გამუკა ძგანტალიანი**







# კარგი ხალხის კეთილი საქმე

**რამდენჯერ** გვიხილავს მტვერსა და ტალახში მოვარჯიშე ნორჩი ფეხბურთელები. სამწუხაროდ, დღესაც ბევრი საფეხბურთო სკოლისთვის სანატრელია ნორმალური, კეთილმოწყობილი გასახდელი და ცხელი წყალი. წვალობენ მწვრთნელები და იტანჯებიან ბავშვები, მაგრამ ფეხბურთს მაინც თამაშობენ.

და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ნელ-ნელა გამოჩნდა თბილისში კეთილმოწყობილი საბავშვო საფეხბურთო მოედნები, ცდილობენ საფეხბურთო სკოლების თავკაცები და ვნახოთ, ეგებ მომავალში უკეთესობისკენ წავიდეს საქმე.

აგერ სულ ახლახან ავლაბარში, „ისნის“ სტადიონის გვერდით, კიდევ ერთი თანამედროვე საბავშვო-საფეხბურთო მოედანი გაიხსნა. იქ მოვარჯიშე პატარებს წვიმა-ტალახი ნამდვილად არ შეაწუხებთ და არც ცხელი წყალი მოაკლდებათ. ხელოვნურსაფარიან მოედანზე ეუფლებიან ბავშვები ფეხბურთის საიდუმლოს.

კეთილი საქმის მოთავეებს მარჯვენას შევუქებთ. კიდევ არაერთი მოედანი ეჩუქებინოთ პატარებისთვის, მით უმეტეს, შევიტყვეთ, ავლაბარში მშენებლობა ისევ გრძელდებაო.

**დათო დანელია**



ორშაბათის „დერბი“ — „ვესტ ჰემი“ 0:0. ხორაციო კარბონარი (№2), გიორგი ქინქლაძე და ტრევორ სინკლერი

# გიორ მხსნელი

**გიორგი ქინქლაძემ** „დერბის“ გადარჩენაში მთავარი როლი უნდა ითამაშოს — მიაჩნია მწვრთნელს, ჯიმ სმიტის თანაშემწე კოლინ ტოდს, ვინც „დერბის“ ყოფილი მოთამაშე იყო და თანამდებობაზე სულ ახლახან დანიშნეს.

„მას აქვს ნიჭი, რაიმე განსაკუთრებული შექმნას. მართალია, მეტოქე მცველები ბევრს ეუხეშებიან, ცდილობენ, რომ ქინქლაძე მხოლოდ ერთ მეურვესთან არ დარჩეს, მაგრამ საერთოდ ასეა, მინდორზე საუკეთესოს ყოველთვის მეტი ხვდება. გიომ ეს უნდა გაითავისოს“ — ესეც კოლინ ტოდის სიტყვებია.

ვისაც პრემიერლიგის ცხრილში არ ჩაუხედავს, შევახსენებთ, რომ „დერბი“ ახლა ბოლო ადგილზეა და ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ თამაში არ მოუგია. ძნელი იქნება „დერბის“ გადარჩენა... კარგია, ტოდს რომ სჯერა...

**ნიკა შუბლაძე**

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. A ჯგუფი



REUTERS ლისაბონიდან



REUTERS მოსკოვიდან

არაფრისმომცემ მატჩებში ბრძოლა მაინც ფიცხელი იყო: მარცხნივ ლისაბონელთა ირლანდიელი ფილ ბები სტუმართა ბრაზილიელ რობსონ პონტეს მისდევს, მარჯვნივ კი რუსთა ბრაზილიელ მარკოს „რეალის" მეკარე სესარი ასწრებს

### სპარტაკი 1:0 რეალი

**1:0 ჯერემი (47ს.კ.)**
**სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, ანანკო, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, კალინიჩენკო, ბეზროდნი, მარკაო (შირკო 64), რობსონი**
**მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი**
**რეალი: სესარი, სალგადო, სანჩისი (პავონი 85), კარანკა, ჯერემი, სოლარი, მაკელელე, მაკმანამანი, რივერა, მორიენტესი, მუნიტისი (ტოტე 74)**
**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**
**მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)**
**77 000 მაყურებელი**

**„წარმოუდგენელია,** ლამის 80 ათასი კაცი სატურნირო თვალსაზრისით უაზრო თამაშზე" — გაოცებას ვერ მალავდა „რეალის" ვეტერანი მანუელ სანჩისი, ვინც მადრიდელთა ნახევრად სათადარიგო გუნდს კაპიტნობდა. დიახ, მიუხედავად, იმისა, რომ რუსეთის ჩემპიონის სახელგანთქმული მეტოქე მოსკოვს კასილიასის, იეროს, რობერტო კარლოსის, ივან კამპოს, გუტის, ელგერას, სავიოს, რაულისა და ფიგუს გარეშე ესტუმრა, „ლუჟნიკები" პირთამდე გაივსო.

გაიხარეს კიდეც მასპინძლებმა: მეორე ტაიმის მეორე წუთზე ჯერემი ნჯიტაპმა ბურთს ფეხი უხეიროდ დაუხვედრა და მატჩის ერთადერთი გოლი საკუთარ კარში შეაგდო. არადა: „უმეტეს დროს უპირატესობას „რეალი" ფლობდა — აღიარა სპარტაკელთა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა — თუმცა მე ჩემი გუნდის თამაშითაც კმაყოფილი დავრჩი, ეს კი, ალბათ იცით, ერთობ იშვიათად ხდება." ნამეტანი განაწყენებული არც მადრიდელთა თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე იყო: „საინტერესო და სანახაობრივი მატჩი გამოვიდა. ცხადია, მარცხი ყოველთვის დასანანია, თუმცა ისიც გავითვალისწინოთ, რომ დღეს „რეალის" მეორე შემადგენლობა თამაშობდა". დელ ბოსკემ ამ გუნდების ორი მატჩიც შეადარა ერთმანეთს: „მაშინ მადრიდში „სპარტაკმა" რაღაც ანარქიულის მსგავსი, თუმც კი ნებისმიერი მეტოქისთვის მეტად საშიში ფეხბურთი შემოგვთავაზა, დღეს კი დაგვანახა, რომ სისწრაფე და ფიზიკური კონდიციებიც სათანადო დონეზე აქვს".

მოკლედ, „სპარტაკმა" იმარჯვა და თავის გულშემატკივრებს 7 ნოემბრის აღნიშვნის საბაბიც მისცა, თუმცა ეს თარიღი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მადრიდელთა კაპიტნის ბიოგრაფიაშიც გამორჩეულ ადგილს დაიკავებს: მანუელ სანჩისმა მოსკოვში ევროთასებზე თავის მეასე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. 35 წლის მცველს, რომელიც „რეალში" 1983 წლიდან თამაშობს, ჩემპიონთა თასის 58, უეფას თასის 35, თასების თასის 6 და სუპერ თასის ერთი მატჩი აქვს მოლეული. „არასდროს დამითვლია ჩემს მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობა, თუმცა რადგან მეუბნებით, მეც დაგიჯერებთ" — უთხრა ჟურნალისტებს ვეტერანმა და დასძინა — ცხადია, მსგავსი მიღწევები ნებისმიერ ფეხბურთელისთვის საამაყოა.

### სპორტინგი 0:0 ლევერკუზენი

**სპორტინგი: ნელსონი, პრატესი, დიმაში, ბები, ანდრე კრუზი, დელფიმი, უგო (პიმენტა 46), ბინუ, ბარბოსა, ჟოაუ პინტუ (ფაბრი 81), აკოსტა**
**მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო**
**ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, რ. კოვაჩი, ვრანიეში, ჟივკოვიჩი, შნაიდერი (ნოინდორფი 75), ოჯიგვე, ზე რობერტო, ჰოფმანი, პონტე (ნოივილი 71), ბეიდუკი (ბრდარიჩი 71), რინკი**
**მწვრთნელი: რუდი ფიოლერი**
**მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)**
**10 000 მაყურებელი**

**სტუმართა** მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა განაგრძო წაუგებელი სერია, რისთვისაც ყველაზე მეტად შვეიცარიელ მეკარეს პასკალ ცუბერბიულერს უნდა უმადლოდეს. ამან მეორე ტაიმის დასაწყისში ჯერ ლისაბონელთა არგენტინელი ფორვარდის ალბერტო აკოსტას მეტად სახიფათო დარტყმა მოიგერია, ცოტა ხანში კი ჟოაო პინტუს თითქმის აუღებელსაც იგივე ბედი სწია.

სატურნირო თვალსაზრისით ამ ყოვლად უაზრო შეხვედრაში სხვა გამორჩეული არაფერი მომხდარა. შედეგად, პორტუგალიური კლუბი რვა შეხვედრაში ორი ქულის ამარა და შერცხვენილი დარჩა — „სპორტინგი" ხომ ერთადერთი გუნდია წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში, ერთი თამაშიც რომ ვერ მოუგია.

„ლევერკუზენმა" კი უეფას თასისკენ გაუხვია, თუმცა იქ, თითქმის გადაწყვეტილია, რუდი ფიოლერი აღარ უთავკაცებს. ეგ კი არა, შესაძლოა, ლისაბონური მატჩი მისთვის ბოლო გამოდგეს „ბაიერის" მწვრთნელის პოსტზე. „როცა მატჩს არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, ძნელია, კარგი თამაში გამოვიდეს, თუმცა ჩემი გუნდით მაინც კმაყოფილი დავრჩი" — თქვა ბუნდესმწვრთნელმა.

**გიგა ძოძუაშვილი**

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 1:0 | 5:3 | 4:0 | 15:8 | 13 |
| 2 | სპარტაკი | 1:0 | | 2:0 | 3:1 | 9:3 | 10 |
| 3 | ლევერკუზენი | 2:3 | 1:0 | | 3:2 | 9:12 | 7 |
| 4 | სპორტინგი | 2:2 | 0:3 | 0:0 | | 5:15 | 2 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. B ჯგუფი

### შახტარი 3:0 არსენალი

**1:0 ატელკინი (34), 2:0 ვორობეი (57), 3:0 ბიელიკი (66)**
**შახტარი: ვირტი, სტაროსტიაკი, გლევეცკასი, ტიმოშჩუკი, პოპოვი, ბახარევი, ზუბოვი, ატელკინი (ბიელიკი 52), ვორობეი (სავუ 88), აბრამოვი (ალიუტა 77), ოკორონკვო**
**მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო**
**არსენალი: ტეილორი, დიქსონი, კიოუნი, აპსონი, ვიეასი, ეშლი კოული, პარლოუ (ვერნაცა 72), ლორენი, ვილტორდი, ანრი (ლიუნგბერგი 62), კანუ**
**მწვრთნელი: არსენ ვენგერი**
**მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)**
**32 000 მაყურებელი**

**არსენ ვენგერი** ბოლო დღეებში ხშირად იმეორებდა: „არსენალი" ყოველთვის მოგებისთვის თამაშობს, ამიტომ დონეცკშიც გასამარჯვებლად მივდივართო, თუმცა „შახტარი" ერთობ სახიფათო მოწინააღმდეგეაო. ამბობდა, სამშაბათს კი მინდორზე ძირითადის მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელი გაიყვანა — დანარჩენები შინ დარჩენილიყვნენ. ვინ იცის, ეგებ ვენგერი არც ტყუოდა, მის გუნდს პირველი ადგილი ნებისმიერ შემთხვევაში განაღდებული ჰქონდა, შანსის მომლოდინე სათადარიგოებს კი ასეთ დროს გამარჯვებისკენ მეტი სწრაფვა უნდა გამოევლინათ. ერთიცაა, როგორი შემადგენლობითაც არ უნდა თამაშობდეს „არსენალი", „შახტარის" დონის გუნდებისთვის მაინც მრისხანე მოწინააღმდეგედ ჩაითვლება. თავიდან ეს მოსაზრება ამართლებდა. პირველ შვიდ წუთში მასპინძელთა მეკარე ვირტს ორი რთული ბურთის მოგერიება მოუხდა. „შახტარი" უფრო ქაოსურად უტევდა. თუმცა, დრო და დრო, სწრაფი კონტრშეტევებიც გამოსდიოდა. ერთი მათგანი 34-ე წუთზე გოლით დამთავრდა: ტიმოშჩუკმა გრძელი გადაცემით ატელკინს კარგი პოზიცია შეუქმნა, ატელკინმა კიოუნი მოატყუა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და მარჯვენა კუთხეში დაარტყა, ძელიდან ასხლეტილი ბურთი ბადეში გაეხვა.

საინტერესოა, რომ ორჯერ „არსენალმაც" გაიტანა, ჯერ სილვენ ვილტორდმა, შემდეგ ტიერი ანრიმ, მაგრამ მსაჯმა ორივეჯერ არარსებული თამაშგარე აღნიშნა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა დაღლილი ატელკინის ნაცვლად მინდორზე ახალგაზრდა ბიელიკი გავიდა. ბიელიკი დაუყოვნებლივ ჩაება საქმეში. ჯერ კიოუნს წაეჩხუბა, მერე დიქსონმა თავისი საჯარიმოს სიახლოვეს წააქცია და უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლემ, ანდრეი ვორობეიმ ჯარიმიდან მეორე გაუტანა ლონდონელებს. ათიოდ წუთში ტიმოშჩუკ-ვორობეის-ბიელიკის კომბინაცია მესამე გოლით დამთავრდა.

ჩვენი უკრაინელი კოლეგები განსაკუთრებით აღნიშნავენ „შახტარის" 19 წლის შემტევის, ოლექსი ბიელიკის ჩინებულ თამაშს. თურმე ბიელიკს კლუბსა და ახალგაზრდულ ნაკრებში ამ სეზონის 23 მატჩში 23 ბურთი გაუტანია და თუ ასე გააგრძელა, ეგებ ანდრეი შევჩენკოს კონკურენტიც გახდესო.

ნამატჩევს დონეცკელთა მწვრთნელი ვიქტორ პროკოპენკო სიხარულს ვერ მალავდა, ამ მოგებამ ხომ „შახტარს" უეფას თასზე გამოსვლის საშუალება მისცა: „დღეს დიდებულად ვითამაშეთ. გამარჯვება ჩვენ მეტად გვწყუროდა და ამიტომაც ვძლიეთ ლონდონელებს. მათი მოტივაცია ერთობ დაბალი იყო" — განაცხადა პროკოპენკომ.



REUTERS დონეცკიდან

შახტარი — არსენალი 3:0. მარტინ კიოუნი (მარცხნივ), ოლექსი ბიელიკი (შუაში) და ლი დიქსონი

### სპარტა 0:1 ლაციო

**0:1 რავანელი (43)**
**სპარტა: ბლაჟეკი, გრიგერა, ლაბანტი, ჰაშეკი (მინარი 86), სვობოდა (პროხაზკა 65), ირჟი ნოვოტნი, ზიგლი (კინჩლი 81), ბოლფი, იაროშიკი, პაპუშეკი, როსიცკი**
**მწვრთნელი: ივან ჰაშეკი**
**ლაციო: მარკეჯანი, კოლონეზე, პეზარეზი, გოტარდი, ფერნანდუ კოუტუ, სტანკოვიჩი, ლომბარდო, ბარონიო, რავანელი, სალასი (ბერეტონი 46; ლუჩიანი 89), ს. ინძაგი (რუგიუ 85)**
**მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი**
**მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)**
**19 414 მაყურებელი**

**პირველი** ტაიმის მიწურულს ვეტერანი ფაბრიციო რავანელის გოლმა „სპარტას" მესამეობის და შესაბამისად, უეფას თასზე მოხვედრის შანსი დააკარგვინა. მართალია, წინ კიდევ მთელი ტაიმი იყო, მაგრამ პრაღას მეორე შემადგენლობით ნასტუმრევ „ლაციოს" ისეთი უპირატესობა ჰქონდა, რომ რომაელთა გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. „კარგი შედეგია, მაგრამ უფრო უკეთესი ჩემი გუნდის თამაში. ბიჭებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნეს, რომ დიდებული ფეხბურთელები არიან" — თქვა „ლაციოს" თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა.

ამავე აზრის გახლდათ ჩეხთა მცველი ვლადიმირ ლაბანტი: „მეორე ნახევარში გატანის რამდენიმე შანსი გვქონდა, მაგრამ მოწინააღმდეგე მწყობრად, უშეცდომოდ თამაშობდა და ვერაფერს გავხდით".

„ლაციოს" ერთი კიდევ უნდა გაეტანა, როცა რავანელიმ ლომბარდო სპარტელთა მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ბლაჟეკმა ვეტერან ნახევარმცველს აჯობა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:0 | 3:2 | 4:2 | 11:8 | 13 |
| 2 | ლაციო | 1:1 | | 5:1 | 3:0 | 13:4 | 13 |
| 3 | შახტარი | 3:0 | 0:3 | | 2:1 | 10:15 | 6 |
| 4 | სპარტა | 0:1 | 0:1 | 3:2 | | 6:13 | 3 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. C ჯგუფი

### ლიონი 1:0 ოლიმპიაკოსი

1:0 ლეგლი (2)
ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, ლავილი (ს. ბლანი 71), ბრეშე, ფოე, ვიოლო, ლეგლი, სონი ანდერსონი (გოვუ 85), მარლე, ვერელი (ლინარესი 69)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, კონტისი, ამანატიდისი, ანცასი, პაცაცოღლუ, ზე ელიასი, პურსანიდისი (მავროგენიდისი 55), ზეტერბერგი, ჯორჯევიჩი, ალვეში, ჯოვანი (ოფორი კუაე 55)
მწვრთნელი: იანის მაცურაკისი
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
42 000 მაყურებელი

**„ლიონი“** პირველად თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში და თავის დროზე იქაურმა ფანებმა ეს ამბავი დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს. ახლა წარმოვიდგინოთ, როგორ გაიხარებდნენ ისინი სამშაბათ ღამით, როცა „ლიონმა“ ლიგის მეორე ეტაპზე გააღწია...

„ლიონს“ აუცილებლად უნდა მოეგო და მისმა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ მინდორზე ერთდროულად სამი თავდამსხმელი გაიყვანა — ამ სქემით ფრანგებს აქამდე არ უთამაშიათ. შედეგი, იცოცხლეთ, მაშინვე მოიმკეს, მე-2 წუთზე: მარჯვენა ფლანგიდან ტონი ვერელმა უზუსტესი პასი მიაწოდა უმეთვალყუროდ მიტოვებულ ყოფილ სამპდორიელ ვარსკვლავ პიერ ლეგლს და მანაც გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ვერელი სწორედ ის მესამე თავდამსხმელია, რომელიც სანტინიმ სასტარტო განაცხადში ბოლო წამს შეიყვანა.

როლები შეიცვალა — ახლა უკვე „ოლიმპიაკოსი“ აღმოჩნდა მდევარი, თუმცა მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავს ძალიან კარგად იცავდნენ. მოედნის შუაგულში სტუმართაგან კარგად ირჯებოდნენ პრედრაგ ჯორჯევიჩი და პარ ზეტერბერგი, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარდაცვაში — ლიონელთა დაცვა გაუვალი იყო. გრეგორი კუპეს სამუშაო, ფაქტობრივად, არც ჰქონია — მხოლოდ ერთხელ შეუტია ჯორჯევიჩმა სახიფათოდ.

„ლიონს“ კი მომენტები მერეც მრავლად ჰქონდა. მეორე ტაიმში ლეგლმა და სტივ მარლემ ორჯერ ძელსაც გაარტყეს ბურთი.

შეხვედრას მშვიდად არ ჩაუვლია. მეოთხე მსაჯს გამუდმებით უხდებოდა ბერძენთა მწვრთნელ იანის მაცურაკისისთვის ადგილის მითითება — ის გამუდმებით ღრიალებდა და ერთი-ორჯერ ლამის მინდორზეც შეიჭრა. მატჩის შემდეგ უკვე ბერძენმა ფეხბურთელებმა მოინდომეს მსაჯთან საქმის გარჩევა, გიუნტერ ბენკოს უმტკიცებდნენ, თამაშს საკმარისი დრო არ წაუმატეო.

„ლიონი“ მეორე ფრანგული გუნდია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, ერთი ტურით ადრე ეს „პარი სენ ჟერმენმა“ შეძლო. ჟაკ სანტინიმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „სწრაფმა გოლმა ფრთები შეგვასხა. ის გოლი რომ არა, ალბათ, სულ სხვა თამაში წავიდოდა. განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ დაცვით. უკანახაზელთა უშეცდომო თამაშმა ნახევარმცველებს და თავდამსხმელებს უფრო აქტიურად შეტევის საშუალება მისცა“.

„აქამდე ჯგუფიდან გასვლაზე ვოცნებობდით — ამბობს სონი ანდერსონი — ახლა მეოთხედფინალზეც შეგვიძლია ვიფიქროთ“.

REUTERS ლიონიდან



ლიონი — ოლიმპიაკოსი 1:0. სტუმარ პარ ზეტერბერგის ამ და სხვა შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია

### ვალენსია 1:1 ჰერენვენი

1:0 დიეგო ალონსო (10), 1:1 ვენემა (38)
ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ბიორკლუნდი, ჯუკიჩი, ზაჰოვიჩი, დიეგო ალონსო, ანგულო, ვისენტე, ბარახა, პარი (ხუან სანჩესი 46), ალბელდა (კარეუ 77)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ჰერენვენი: ვონკი, ვენემა, ჰანსმა, გ. დე ნოიერი, ნურმელა, ტალანი (ვიინგაარდენი 71), იენსენი (ჰოლმი 63), ლურლინგი, ჰუიზინგი, ვან გესელი, ებინგე
მწვრთნელი: ფოპ დე ჰაანი
გაძევება: ებინგე (58)
მსაჯი: მიშელ პირო (ბელგია)
28 000 მაყურებელი

**ნებისმიერი** შედეგის შემთხვევაში „ვალენსია“ ჯგუფიდან გადიოდა, უფრო სწორად, ოთხი ტურის შემდეგ გასული იყო, ხოლო „ჰერენვენი“ ბოლო ადგილს ვერ ასცდებოდა. აბა, რაღაა ამ მატჩზე სათქმელი? ბევრიც არაფერი. რა თამაშიც იყო, მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობიდანაც ჩანს.

მაგრამ წესი წესია — უნდა ითამაშო, თუნდაც იმიტომ, რომ სტადიონზე მისული 28 ათასი ვალენსიელი ქომაგი სანახაობას ითხოვს და პატივი უნდა სცე.

მასპინძლებმა ადრევე გაიტანეს. მე-10 წუთზე 18 წლის ლივერო პარის დარტყმულ ბურთს დიეგო ალონსომ მიმართულება შეუცვალა, რამაც ჰოლანდიელთა სამხრეთაფრიკელ მეკარე ჰანს ვონკს თავგზა აუბნია.

სტუმრებმა ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს: ვალენსიელმა მცველებმა რონი ვენებას მეურვეობით თავი არ შეიწუხეს და გაატანინეს.

საგოლე მომენტები სხვაც იყო და ორივე მხარეს ჰქონდა, თუმცა სცოდავდნენ კიდეც ფეხბურთელები — ძირითადად პასების გაკეთებას. და ყველაზე უცნაური, იცით, რა არის? ამ არაფრისმომცემ შეხვედრაში რა რჯიდა არიან ებინგეს, სულ რომ უხეშობდა და მსაჯს ორი ყვითელი ბარათი გამოსტყუა?

**გიორგი დარჯანია**

| C ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | | 1:0 | 2:1 | 1:1 | 7:4 | 13 |
| 2 | ლიონი | 1:2 | | 1:0 | 3:1 | 8:6 | 9 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 1:0 | 2:1 | | 2:0 | 6:5 | 9 |
| 4 | ჰერენვენი | 0:1 | 0:2 | 1:0 | | 3:9 | 4 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. D ჯგუფი

### გალათასარაი 2:2 შტურმი

1:0 ერგუნი (30პ), 1:1 იურანი (63), 2:1 ჟარდელი (75), 2:2 ჰაქან უნსალი (80ს.კ.)
გალათასარაი: ქერემი, ბიულენთ ქორქმაზი, პოპესკუ, ემრე, ოკანი, ჰასან სასი (ფარუკი 83), ფატიჰი, ერგუნი, ჰაქან უნსალი, ჟარდელი (მარსიო 89), ჰაჯი (სერქანი 64)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, შუპი (კორსოში 60), რაინმაიერი (იურანი 46), ვასტიჩი, პრილასნიგი, მამედოვი, შოპი, მინავანდ ჩალი (შტრაფნერი 83), კოციანი, ფლურკინი
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
გაძევება: ემრე (79)
მსაჯი: კარლ ერიკ ნილსონი (შვედეთი)
22 000 მაყურებელი

**მატჩს** შვედმა არბიტრმა კარლ ერიკ ნილსონმა ოთხი წუთი დაამატა, მაგრამ ბოლო ორი წუთი გუნდებს აღარ უთამაშიათ — ბურთს კენწლავდნენ და მსაჯის საფინალო სასტვენს ელოდნენ. მიზეზი გლაზგოური მატჩი გახლდათ, რომლის შედეგმაც სტამბოლური შეხვედრის მონაწილეებს ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპისკენ გაუკვალა გზა.

თამაშის წინ კი საქმე სხვაგვარად იყო. ავსტრიელებს ფრეც ჰყოფნიდათ, „გალათასარაის“ კი მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, რათა ჯგუფის მეორე მატჩის შედეგისთვის ყურადღება აღარ მიექცია.

ფავორიტად, ცხადია, მასპინძლები ითვლებოდნენ, მით უმეტეს, „შტურმს“ წლეულს ლიგაში ჩატარებული ორი გასვლითი მატჩი ერთნაირი ანგარიშით — 0:5 წაეგო, მაგრამ სტამბულში სულ სხვა „შტურმი“ ვიხილეთ. ავსტრიელები უფრო მობილიზებულნი იყვნენ, ბურთსაც თავისუფლად ათამაშებდნენ, დროდადრო მწვავედაც უტევდნენ და შედეგიც სათანადო მოიმკეს. აი, „გალათასარაი“ კი...

მატჩამდე თურქთა რუმინელ მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუს კლუბის ხელმძღვანელობამ ულტიმატუმი წაუყენა — ან გუნდს ლიგის შემდგომ ეტაპზე გაიყვან, ანაც გუდა-ნაბადს აიკრავო. მიუხედავად ამისა, „გალათასარაიმ“ ძალიან სუსტად ითამაშა, თანაც საკუთარ მინდორზე, სადაც „სტამბოლელ ლომებს“ ნებისმიერი მეტოქის გაბდღვნა ძალუძთ.

21-ე წუთზე ჟარდელმა თავით ოკანი მეკარეს შეატოვა, მაგრამ ამან კარს გადააცილა. ათიოდე წუთში ჰასანი შევარდა საჯარიმოში, სადაც სიდორჩუკმა წააქცია — ერგუნმა პენალტი კი გამოიყენა, მაგრამ ავსტრიელთა მეკარე ადრე რომ არ გადამხტარიყო...

სულ ეს იყო, რაც პირველ ნახევარში მასპინძლებმა მოახერხეს. ამას ავსტრიელებმაც ორი მომენტით უპასუხეს, რომლებიც ვასტიჩმა და ფლურკინმა გააცუდეს.

მე-60 წუთზე სტუმართა თავკაცმა ივიცა ოსიმმა შეცვლა გააკეთა — შუპის ნაცვლად კორსოში გამოვიდა. ერთი წუთის მერე კორსოში მარჯვენა ფლანგზე გაიქცა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთს პირველი ასევე შეცვლაზე შესული სერგეი იურანი გამოეხმაურა. მისი თავური

REUTERS სტამბოლიდან



გალათასარაი — შტურმი 2:2. გაძევებული ემრეს განცდები ბოლოს სიხარულით შეიცვალა

ქერემისთვის აუღებელი გამოდგა — 1:1. 14 წუთში „გალა“ მეორედ დაწინაურდა, ერგუნის ჯარიმიდან ჩაწოდებულს ბრაზილიელი ჟარდელი თავით გამოეხმაურა — 2:1. მერე მასპინძლები ათნი დარჩნენ. ემრე კოციანს მინდვრის ცენტრში ისე ეუხეშა, თითქოს ავსტრიელს გოლი გაჰქონდა, ნილსონმაც თურქს მეორე ყვითელი არ დაამადლა. ზუსტად ერთ წუთში კი საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა: შოპის კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთი ჰაქან უნსალს აეჭრა და კარში აღმოჩნდა. სულ ეს იყო.

„ეს წარმატება ჩვენი პასუხია იმ კრიტიკისადმი, რომელიც გუნდის მისამართით გაისმოდა. ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. ბიჭებმა პრემია ნამდვილად დაიმსახურეს“ — თქვა თამაშის შემდეგ „შტურმის“ პრეზიდენტმა ჰანს კარტნატმა, რომელმაც იქვე დასძინა, გუნდს ჯილდოდ 20 მილიონ ავსტრიულ შილინგს ვაჩუქებო, რაც 1,3 მილიონ ამერიკულ დოლარს უდრის.

„ეს მატჩი ჩვენთვის ფინალი იყო, უკან დასახევი გზა არ გვქონდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. „შტურმი“ ძალიან მომეწონა. ბევრი ამბობს, რომ იგი ცუდი გუნდია, მაგრამ ავსტრიელებმა დღეს საპირისპირო დაამტკიცეს“ — თქვა შემდგომ ეტაპზე გასვლით გახარებულმა ლუჩესკუმ.

### რეინჯერსი 2:2 მონაკო

1:0 მილერი (3), 1:1 და კოშტა (38), 2:1 მოლსი (52), 2:2 სიმონე (77)
რეინჯერსი: კრისტიანსენი, რიკსენი, ამორუზო, უილსონი, ვიდმარი, რ. დე ბური (მაკკანი 86), ფერგიუსონი, ალბერტცი (უოლესი 78), ნუმანი, მოლსი (თუგაი 56), მილერი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
მონაკო: პორატო, კონტრერასი, ირლი, კრისტენვალი, და კოშტა, დაბო, ბონალი, ჟიული (ელუა 69), გალიარდო (გრაველენი 26), სიმონე, ნონდა (პრსო 57)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
მსაჯი: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
50 228 მაყურებელი

**„გაოგნებული** და იმედგაცრუებული ვარ. თავდამსხმელებმა ძალიან გამაკვირვეს. ეს მატჩი 2:0 ან 3:1 უნდა მოგვეგო. კენჭისყრის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდოდით, პირველმა ორმა მოგებამ რწმენა განმიმტკიცა, მაგრამ... ცხადია, ჩვენს წარუმატებლობაზე გავლენა წამყვანი ფეხბურთელების გაუთავებელმა ტრავმებმაც მოახდინა“ — აღნიშნა ნამატჩევს „რეინჯერსის“ ჰოლანდიელმა თავკაცმა დიკ ადვოკაატმა, რომელსაც წყალი აქვს შემდგარი და ეგებ მალე კლუბიდანაც დაითხოვონ.

ისე, მართალია ადვოკაატი: „რეინჯერსი“ ამ შეხვედრაში მოგებას უფრო იმსახურებდა. შოტლანდიელები მეტ ხანს ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, თითქოს თამაშის სადავეებიც ხელთ ეპყრათ, მაგრამ ფრესლა გამორჩნენ.

„რეინჯერსი“ მე-3 წუთზე გასულ შაბათს ხუთი გოლის გამტანმა კენი მილერმა დააწინაურა, მერე კვლავ შეტევა გააგრძელა, 38-ეზე კი... სიმონემ კუთხური ჩააწოდა, კოშტამ ბურთს თავი დაუხვედრა და წონასწორობა აღადგინა. ამან გლაზგოელები დააბნია, მაგრამ ბედად ტაიმი დასრულდა.

მეორე ნახევარი დაიწყო და „რეინჯერსიც“ ხელმეორედ დაწინაურდა, მოლსმა დე ბურის თავური პასი მიიღო და პორატო ისევ დაამწუხრა. 77-ე წუთამდე მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ გატანა, თუმცა ალბერტცმა და მილერმა რამდენჯერმე ვერ ივარგეს. აი, შედეგიც — 78-ე წუთზე იტალიელ ლორენცო ამორუზოს ჩაეძინა და მისმა თანამემამულე მარკო სიმონემაც 2:2 გახადა. ეს შედეგი არც სტუმარს აძლევდა ხელს და არც მასპინძელს, მაგრამ ფრეს ვერც ერთი გაექცა.

ასე გამოეთიშა „რეინჯერსი“ ჩემპიონთა ლიგას ზედიზედ მეორედ, ამჯერადაც ბოლო ტურში. გემახსოვრებათ, გასულ სეზონში გლაზგოელები მიუნხენის „ბაიერნთან“ 0:1-ს შეეწირნენ, ახლა კი გზაზე ფრანგები გადაეღობნენ.

„ფავორიტებად თითქოს ჩვენ და „რეინჯერსი“ ვითვლებოდით, მაგრამ სწორედ ჩვენ ჩავრჩით ჯგუფში. ჩემპიონთა ლიგამ ბევრი ძალები წაგვართვა. ცუდია, რომ შედეგი ვერ მოვიმკეთ“ — წუხდა კლოდ პუელი, „მონაკოს“ მთავარი მწვრთნელი.

„მონაკო“ დაემშვიდობა ევროტურნირებს, „რეინჯერსი“ კი უეფას თასზე გააგრძელებს თამაშს. ადვოკაატით თუ უადვოკაატოდ, ჯერაც საკითხავია.

**განო ოქრობირიძე**

| D ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შტურმი | | 3:0 | 2:0 | 2:0 | 9:12 | 10 |
| 2 | გალათასარაი | 2:2 | | 3:2 | 3:2 | 10:13 | 8 |
| 3 | რეინჯერსი | 5:0 | 0:0 | | 2:2 | 10:7 | 8 |
| 4 | მონაკო | 5:0 | 4:2 | 0:1 | | 13:10 | 7 |



REUTERS

ჰერფიოლგე — აეკ 2:1. მასპინძელმა დან ლიუბერსმა ვასილიოს ზიკოსი წააქცია

**გერმანული** „ჰერტა" და „მიუნხენ 1860", ბერძნული აეკ-ი და ხორვატული „ოსიეკი" — აი, ის კლუბები, რომლებმაც უეფას თასის მესამე ეტაპზე გასვლა სამშაბათს გაინაღდეს.

ამ გუნდებიდან ყველაზე ძნელი დავალება „მიუნხენ 1860"-სა და „ოსიეკს" ჰქონდათ: გერმანელებს შვედეთის ჩემპიონ „ჰალმსტადთან" სტუმრად წაგებული 2:3 უნდა გაებათილებინათ, ხორვატებს კი ვენის „რაპიდთან" შინ მოპოვებული ერთბურთიანი უპირატესობა შეენარჩუნებინათ. აბა, „ჰერტა" რომ პოლონურ „ამიცას" ორი ბურთით არ მოაგებინებდა, ანაც აეკ-ი „ჰერფიოლგესთან" პირველ მატჩში 5:0 გამარჯვებას წყალს არ გაატანდა, რა დიდი მიხვედრა სჭირდებოდა?

მიუნხენელებმა „ოლიმპიაშტადიონზე" შვედებს თავიდანვე შეუტიეს და მე-6 წუთზე გოლიც გაუტანეს — გუნდის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა მარტინ მაქსმა პასლაკის თავით დარტყმულ და სვენსონის მოგერიებულ ბურთს დაამატა. 1:0 სასურველი ანგარიში კი იყო, მაგრამ გერმანელები ამას არ დასჯერდნენ და ისევ შეუტიეს. აგოსტინომ, მიუკლანდმა და ჰესლერმა მომენტებიც გააფუჭეს, მერე კი შვედებიც გამოცოცხლდნენ და 25-ე წუთზე რობერტ ანდერსონმა წონასწორობაც აღადგინა.

„საპასუხო გოლის გაშვებისასაც კი არ შემპარვია ეჭვი, რომ ჩემი გუნდი გაიმარჯვებდა" — თქვა მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავკაცმა ვერნერ ლორანტმა.

ამის თქმის საფუძველი კი მწვრთნელს შეგირდებმა მისცეს, რომლებიც მეტოქეს აშკარად სჯობდნენ. ეს უპირატესობა ტაბლოს მეორედ 45-ე წუთზე დაეტყო, როცა ჩერნის ჩაწოდება აგოსტინომ გოლად აქცია. მატჩს წერტილი 84-ე წუთზე დაესვა, როცა მაქსმა დუბლი შეასრულა — 3:1.

ვენის „რაპიდი" შინ „ოსიეკს" დიდი იმედით დაუხვდა, მაგრამ მატჩის დებიუტშივე წაუხდა ხასიათი, როცა მიტუს პასით ბიელიკამ ჯერ ძელს გაარტყა ბურთი, მერე კი ზუსტად დაამატა. „რაპიდი" არ დაბნეულა, უმალ იერიშზე გადავიდა და ერთხანს მეტოქე საკუთარ კარსაც მიაჯაჭვა. რა ხეირი? არც არაფერი: ბურთი ხან მიზანს სცდებოდა, ხანაც ხორვატთა მეკარის იოლი ლუკმა ხდებოდა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა დაცვა მოაშიშვლეს და მთელი გუნდით შეუტიეს. ამ ტაქტიკამ უფრო მეტი საქმე „რაპიდის" მეკარე მაიერს გაუჩინა, რადგან ხორვატები ძალიან მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. მატჩის მიწურულს კი მეორედაც ივარგეს — ავსტრიელები სტეპან ჯუკიჩმა გამოიჭირა. ხორვატებმა ორი მატჩის ჯამში 4:1 მოიგეს.

„კარგად დავიწყეთ, მატჩის დებიუტში შექმნილი მომენტებიდან ერთი მაინც უნდა გამოგვეყენებინა. „ოსიეკის" ძალა პირველ მატჩშივე გამოჩნდა. ვიცოდით, ძნელი თამაში გველოდა, მაგრამ დავმარცხდით. მეტოქემ შანსები უკეთ გამოიყენა და იმიტომ" — თავი იმართლა „რაპიდის" იუგოსლაველმა ნახევარმცველმა, ერთ დროს მილანელმა დეიან სავიჩევიჩმა.

UEFA CUP

**უეფას თასი. II ეტაპი.**
**საპასუხო მატჩები. 7 ნოემბერი**

ამიცა (პოლონეთი) 1:1 ***ჰერტა (გერმანია)*** (1:3)
1:0 კროლი (54), 1:1 ვაიტი (63)

***მიუნხენ 1860 (გერმანია)*** 3:1 ჰალმსტადი (შვედეთი) (2:3)
1:0 მაქსი (6), 1:1 რ. ანდერსონი (25), 2:1 აგოსტინო (45), 3:1 მაქსი (84)

ჰერფიოლგე (დანია) 2:1 ***აეკ (საბერძნეთი)*** (0:5)
1:0 იაკობსენი (1), 1:1 პეტკოვი (34), 2:1 ჰერმანსენი (46პ)

რაპიდი (ავსტრია) 0:2 ***ოსიეკი (ხორვატია)*** (1:2)
0:1 ბიელიკა (14), 0:2 სტეპან ჯუკიჩი (90)

# დეიდა ქეთიმ ნაკრები ირჩია



**რუდი ფიოლერმა** ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ სულ მცირე ორი წლის განმავლობაში გერმანიის ეროვნულ ნაკრებს უთავკაცებს და ამ თანამდებობას სხვა სამსახურს არ შეუთავსებს.

„ლევერკუზენის" ხელმძღვანელობას ფიოლერმა წინა კვირაშივე განუმარტა, რომ კლუბის მწვრთნელობა და სეზონში 60 მატჩის ჩატარების პერსპექტივა სულაც არ ხიბლავდა. ლევერკუზენელებს იმდენად არ უნდოდათ რუდის გაშვება, რომ ახალი ვარიანტიც კი შესთავაზეს. კერძოდ, ნაკრების პარალელურად გუნდში ძველ თანამდებობაზე, სპორტულ დირექტორად მუშაობა.

„არა, ნაკრების თავკაცობას სპორტულ დირექტორობას ნამდვილად ვერ შევუთავსებ. ახლა, ასე თუ ისე, კიდევ მაქვს დრო, თებერვლამდე ეროვნულ გუნდში მხოლოდ ერთი მატჩის ჩატარება მიწევს, თებერვლიდან კი ამხანაგური თუ შესარჩევი შეხვედრების ნაკლებობა ნამდვილად არ გვექნება" — განუცხადა ფიოლერმა ტელეკომპანია „პრემიერ ვორლდს" და იქვე დასძინა, არ ვიცი, თუ ლევერკუზენელებს ენდომებათ, შესაძლოა გუნდს ჩემპიონატში პირველი წრის ბოლომდე ვუხელმძღვანელო, მერე კი ჩემი გზა მაქვსო.

ამის შესახებ ფიოლერი „ლევერკუზენის" მენეჯერ კალმუნდსა და ფინანსურ მენეჯერ ჰოლცჰოიზერსაც ესაუბრა, რის შემდეგაც კალმუნდმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა: „ფიოლერს, როგორც სპორტულ დირექტორს, კლუბთან კონტრაქტი 2003 წლამდე აქვს, ჩვენ კი მის შეწყვეტას არ ვაპირებთ. რუდის ნებაა, მხოლოდ ჩვენთან იქნება თუ ამ თანამდებობას ნაკრების მწვრთნელობასაც შეუთავსებს."

მიუხედავად ამისა, ფიოლერი უკვე შეხვდა ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ გერჰარდ მაიერ-ფორფელდერს და მისი წინადადებაც მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაკრებში 2002 წლამდე დარჩება, თანაც ყოველგვარი შეთავსების გარეშე. გაზეთ „ბილდის" მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სრულიად შესაძლებელია, საქმე კონტრაქტის გაფორმებამდე რომ მივა, ფიოლერმა ნაკრებს მომავალი უფრო დიდი ხნითაც დაუკავშიროს. ამისი სურვილი გერმანული ფეხბურთის მამებს ჰქონიათ.

დღეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფისს რაინერ კალმუნდი ეწვევა, რომელიც მაიერ-ფორფელდერმა მოსალაპარაკებლად იხმო. ეს ორი პატივცემული პიროვნება ფიოლერის მომავალზე იმსჯელებს.

ამასობაში „ლევერკუზენი" ახალი მწვრთნელის ძიებას უფრო გულმოდგინედ შეუდგა. უმთავრეს კანდიდატებად კვლავაც უმუშევარი ბერტი ფოგტსი და „ზაარბრიუკენის" თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი ითვლებიან, რომლებთანაც ექსჩემპიონები მოლაპარაკებას უკვე აწარმოებენ. თუმცა შესაძლოა, მალე ტოპმიოლერის კანდიდატურა გამოირიცხოს, რადგან მას ამჟამინდელ კლუბთან 2002 წლამდე ჰქონია კონტრაქტი. ზაარბრიუკენელებმაც მწვრთნელს უთხრეს, დროზე ადრე წასვლაზე არ იფიქროო.

ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ უახლოეს მომავალში „ლევერკუზენის" სათადარიგოთა სკამზე მწვრთნელის ადგილს ბერტი ფოგტსი დაიკავებს. ზეგ, „ფრაიბურგთან" მატჩში კი ლევერკუზენელებს, წესით და რიგით, კვლავ „დეიდა ქეთი" უნდა გაუძღვეს.

ნუ გაგიკვირდებათ და რუდი ფიოლერს ახლახან ახალგაზრდობის მეტსახელი გაუხსენეს და ხშირად სწორედ ასე მოიხსენიებენ. რამდენიმე წლის წინ ფიოლერისთვის „დეიდა ქეთი" თმის ფერის გამო შეურქმევიათ...

**განო ოქროპირიძე**





**სამხრეთაფრიკელი** მცველი მარკ ფიში „ბოლტონიდან" „ჩარლტონში" გადავიდა და ლონდონურმა კლუბმა სანაცვლოდ 700 ათასი გირვანქა გადაიხადა. 26 წლის ფეხბურთელი „ბოლტონში" 1997 წლის სექტემბერში ჩაირიცხა, როცა გუნდი პრემიერლიგაში თამაშობდა. ჩარლტონელებს კი ფიშის შეძენა თურმე ზაფხულის შემდეგ სურდათ, მაგრამ შეთანხმებას მხოლოდ ახლა მიაღწიეს. „მოლაპარაკებები ოდნავ გაჭიანურდა, თუმცა მოხარული ვარ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. ვიმედოვნებ, გუნდს ოდნავ მაინც გავაძლიერებ" — განაცხადა მცველმა.

**ინგლისურმა „უოტფორდმა" „მანჩესტერ სიტის" მცველი რიჩარდ ჯობსონი ერთი თვით ინათხოვრა, რათა გუნდში ტრავმირებული დარენ უორდი შეცვალოს. 37 წლის ფეხბურთელი სადებიუტო მატჩს სავარაუდოდ მომავალ ტურში ჩაატარებს. „უოტფორდის" თავკაცმა გრემ ტეილორმა განაცხადა: „ჯობსონის გადმობირება ამჟამად ყველაზე კარგი გამოსავალი იყო."**

**გერმანული** „ფრაიბურგის" ნახევარმცველ ზუბეიარ ბაიას „პარი სენ ჟერმენი" ეპატიჟება. ფრანგებმა იციან, რომ ტუნისელმა ფეხბურთელმა ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო შესაძლოა თავისი ახლანდელი კლუბი დატოვოს. „ვგრძნობ, გუნდს აღარ ვუნდივარ. მათ მომავალ გეგმებს ვეღარ ვერგები, ამიტომ ახალი კლუბის ძებნა მომიწევს"— განაცხადა ბაიამ.

**შოტლანდიელმა პოლ ლამბერტმა ტრავმა მიიღო და დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს. „სელტიკისა" და ნაკრების ფეხბურთელი წინა უქმეებზე „კილმარნოკთან" დაშავდა. „ექიმებმა დაადასტურეს, რომ ლამბერტს ბარძაყის მყესი დაუზიანდა. იგი გუნდს, ალბათ, ზამთრის შესვენების შემდეგღა დაუბრუნდება" — განაცხადეს გლაზგოურ კლუბში.**

**ინგლისური** „ასტონ ვილას" თავკაცმა ჯონ გრეგორიმ განაცხადა, წარმატებაზე ფიქრი რეალობად რომ იქცეს, კლუბში ახალი ფეხბურთელები უნდა მოვიწვიოთო. „სეზონი ცუდად როდი დავიწყეთ, მაგრამ მიღწეულის შენარჩუნება იოლი არ იქნება. აუცილებელია, გუნდმა ერთი-ორი ახალი მოთამაშე დაიმატოს"— განაცხადა მწვრთნელმა, რომლის კლუბიც ამჟამად პრემიერლიგის მეხუთე საფეხურზეა.

**ბერძენმა ნახევარმცველმა გიორგიოს კარაგუნისმა შესაძლოა „ბრეშასთან" გააფორმოს კონტრაქტი. „პანათინაიკოსის" 23 წლის ფეხბურთელთან იტალიელები მოლაპარაკებას აწარმოებენ, თუმცა კლუბები ჯერჯერობით თანხაზე ვერ შეთანხმდნენ: „ბრეშა" თანახმაა, ნახევარმცველში 5 მილიონი დოლარი გადაიხადოს, ბერძნები კი 8 მილიონს ითხოვენ.**

**იტალიელმა** ნახევარმცველმა რობერტო დი მატეომ რთული ტრავმის გამო შესაძლოა კარიერა დაასრულოს. „ჩელსის" ფეხბურთელი „სენტ გალენის" წინააღმდეგ უეფას თასის შეხვედრაში დაშავდა, მას შემდეგ ოპერაციაც გაიკეთა, თუმც ექიმები ვერაფრით აიმედებენ. 32 წლის დი მატეო მალე ციურიხში ჩავა, რათა ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში გამოკვლევა ჩაიტაროს.

**ინგლისის პრემიერლიგის მორიგ ტურში „მიდლსბროს" „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ შესაძლოა მეკარე მარკ შვარცერი ვერ დაეხმაროს — გოლკიპერმა მუხლი დაიზიანა. თუმცა გუნდში სასიამოვნო სიახლეცაა. რობი მასტომ, ალენ ბოკშიჩმა და პოლ ინსმა ტრავმები მოიშუშეს. „სასიხარულოა, რომ ფეხბურთელები დაგვიბრუნდნენ. კიდევ უფრო კარგი იქნება, თუ „ოლდ ტრეფორდზე" თამაშს სამივე შეძლებს"— განაცხადა „მიდლსბროს" თავკაცმა ბრაიან რობსონმა.**

**უკრაინის** ჩემპიონ კიევის „დინამოს" ნახევარმცველი ალექსანდრ ხაცკევიჩი ბელარუსის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გამოკითხვა ჟურნალისტებს, მწვრთნელებსა და ოფიციალურ საფეხბურთო პირებს შორის მინსკის პოპულარულმა გაზეთმა „პრეს ბოლმა" მოაწყო. აღსანიშნავია, რომ ხაცკევიჩმა ეს ტიტული ორი წლის წინაც მოიპოვა. მეორე ადგილზეც კიევის დინამოელი ნახევარმცველი ვალენტინ ბელკევიჩი გავიდა, ხოლო მესამეზე — მოზირის „სლავიას" ფორვარდი რომან ვასილიუკი, რომელმაც წლეულს 30 მატჩში 31 გოლი გაიტანა. შარშანდელი გამოკითხვის გამარჯვებული, „რომას" მცველი სერგეი გურენკო წლეულს მეექვსე იყო.

**იტალიელმა თავდამსხმელმა პაოლო დი კანიომ შესაძლოა „ვესტ ჰემი" დატოვოს. „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელ ჯო როილს ძალიან სურს, ფეხბურთელი თავის გუნდში იხილოს და საამისოდ 3,5 მილიონ გირვანქას იხდის.**

**ბრაზილიელმა** ფორვარდმა კრისტიანმა საზარდულის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ორ კვირას ვერ ითამაშებს „საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგ მატჩს იგი აუცილებლად გამოტოვებს. საეჭვოა მისი „მონაკოსთან" შეხვედრაში მონაწილეობაც" — იუწყებიან „პარი სენ ჟერმენის" ექიმები.

**ნორვეგიული „ბრანის" ორი ფეხბურთელი — აზარ კარადასი და ტორსტენ ჰელსტადი ლიდსში ჩავლენ, რათა იორკშირულ კლუბში შემოწმება გაიარონ. „პრემიერლიგელებს ორივე მოთამაშის შეძენა სურთ. ისინი ჩვენთან მოლაპარაკებებს კარგა ხანია, აწარმოებენ. „ლიდსი" ჩინებული კლუბია და ფეხბურთელებისთვის კარგი იქნება, თუ იქ ჩაირიცხებიან" — განაცხადა „ბრანის" წარმომადგენელმა. ორივე მოთამაშე მომავალ უქმეებზე „ლიდსის" თამაშს ტრიბუნებიდან უყურებს, ხოლო შემდეგ გუნდთან ერთად ვარჯიშს დაიწყებს.**

**იტალიელ** მწვრთნელ კლაუდიო რანიერის „ჩელსიში" პაველ ნედვედის გადაბირება სურს. „ლაციოს" ხელმძღვანელობას არაერთხელ განუცხადებია, რომ ჩეხ ნახევარმცველს არ გაყიდის, თუმცა ლონდონური კლუბი თანახმაა, 28 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 20 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ისიც გავიხსენოთ, რომ ნედვედის შეძენის სურვილს ამას წინათ „მანჩესტერ იუნაიტედიც" გამოთქვამდა.

**იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ სერია A-ს ექვს მოთამაშეს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. „ვერონას" ნახევარმცველები ვინჩენცო იტალიანო და ალესანდრო მაცოლა ვერ დაეხმარებიან, „ფიორენტინას" — მანუელ რუი კოშტა, „რეჯინას" — ენცო ბრევი, „ვიჩენცას" — თავდამსხმელი რაფაელე ლონგო, ხოლო „პერუჯას" რობერტო გორეტი. დისკვალიფიკაციის გარდა მანუელ რუი კოშტას ფულადი ჯარიმის გადახდაც მოუწევს. პორტუგალიელმა „პერუჯას" წინააღმდეგ მატჩში მსაჯთან იკამათა. მომავალ შეხვედრას „ბარის" მწვრთნელი ეუჯენიო ფაჩეტიც ტრიბუნებიდან უყურებს. ისიც არბიტრთან შეკამათების გამო დაისაჯა.**

**ხორვატმა** ნახევარმცველმა ზვონიმირ ბობანმა „მილანთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა და „სან სიროზე" 2002 წლის ზაფხულამდე დარჩება. „ბობანის გაშვებას არც ვაპირებდით, თუმც ამაზე ბევრს საუბრობდნენ. იგი კვლავ ჩვენთანაა და წარმატების მიღწევაში უნდა დაგვეხმაროს" — განაცხადა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

**ესპანური „რაიო ვალეკანოს" პრეზიდენტმა მარია ტერეზა რივერომ განაცხადა, რომ სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე გუნდში ახალ ცენტრფორვარდს მიიწვევს. „უნდა ვიყიდო ფეხბურთელი, რომელსაც გოლების გატანა ეხერხება. ჯერ მეტს ვერაფერს ვიტყვი" — განაცხადა ქალბატონმა პრეზიდენტმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარსა: რით მჯობია მანიუ?!

**სამშაბათს** სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელ ამერიკულ ფირმა „ნაიკსა“ და ინგლისურ გრანდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის გაფორმებულმა კონტრაქტმა ესპანური „ბარსელონას“ ხელმძღვანელობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მიზეზი ხელშეკრულების პირობები გახლავთ.

ცოტა ხნის წინ „ნაიკთან“ „ბარსელონამაც“ განაახლა თანამშრომლობა. შეთანხმების თანახმად, ესპანური კლუბი 13 წლის განმავლობაში ამ ფირმის სათამაშო ფორმას მოირგებს, სანაცვლოდ კი 300 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი ასევე 13 წელიწადში 450 მილიონი დოლარით გამდიდრდება. ბარსელონელებიც ამან განარისხა. რითი გვჯობიან მანჩესტერელები, ჩვენზე 50 პროცენტით მეტს რომ მიიღებენო, ჩივიან ესპანელები. ის კი არა, მინიმუმ ინგლისელების მსგავსი ხელშეკრულება გვეკუთვნის, მეტი თუ არაო — ამბობენ თურმე.

ამიტომაც „ბარსელონამ“ „ნაიკს“ ოფიციალური განცხადებით მიმართა და ახლახან გაფორმებული კონტრაქტის პირობების გადახედვა ითხოვა. გადახედვაში, ცხადია, გაუმჯობესება იგულისხმება. ამერიკელებს პასუხი ჯერ არ უთქვამთ, თუმცა ნაკლებად სარწმუნოა, ესპანელებს დათანხმდნენ.

„ნაიკს“ რაღა მოგება, ამხელა თანხებს რომ იხდისო, შეიძლება იკითხოს მავანმა და ვუპასუხებთ კიდეც — „ბარსელონისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურებისა და სხვა საკლუბო ატრიბუტიკის გამოშვება-გაყიდვის ექსკლუზიური უფლება სწორედ ამ ამერიკულ ფირმას აქვს.

# ჩამშვები გვყოლია, ძმაო



პოლ ინსი: კიგანის დროს ძმობა მაინც იყო

**პოლ მერსონის** გასულ უქმეებზე გამოთქმულმა სკანდალურმა განცხადებამ, ინგლისის ნაკრები იმიტომ ვერ თამაშობს, რომ მისი წევრები გაუთავებლად ბანქოს თამაშობენ და საცხენოსნო რბოლებსა და ფეხბურთის მატჩებზე დიდ თანხებს შედიან ტოტალიზატორში, დიდი ხმაური გამოიწვია. მაზავიკების ბანდა გვყოლია და არა ეროვნული გუნდიო, აფეთქდა საზოგადოება.

ამის გამგონე ალან შირერმა სახალხოდ გამოაცხადა, კიგანის დროს რომ გუნდში სული ტრიალებდა, ისეთი არასოდესო. საბრძოლო შემართებაც, რაც ნაკრებში მითამაშია, მის ხელში იყო ყველაზე მაღალიო. ამას ფილ ნევილიც აჰყვა — რას გადაგვკიდებიან, უნდათ რომ მოგვთხარონ და ეგ არისო.

მაგრამ ყველაზე ხმაურიანი „მიდლსბროს“ კაპიტნის პოლ ინსის გამოსვლა იყო. ინსის გიჟმაჟობა და მაგარი ბიჭობა ხომ ცნობილია. ისიც ყველამ იცის, რომ კიგანს გამუდმებით ედავებოდა და მასთან მეგობრობით ვერ დაიკვეხნიდა. მოკლედ, ინსმა თქვა:

„ამაზე დიდი სისულელე იშვიათად მომისმენია — თითქოს ევრო 2000 რაღაც ცხენების და ბანქოს გამო წაგვეგოს. ინგლისის კლუბებში ბანქოს თამაში მიღებულია. ამას არასოდეს დაუღლია ვინმე. ეს განტვირთვა და გართობაა. სამწუხარო ის არის, რომ ნაკრების რომელიღაც ფეხბურთელი გაზეთებში მივიდა და ეს ამბავი მედიას მიჰყიდა. იმათაც გაბერეს. მე ის მწყინს, რომ გუნდში, ოჯახში ჩამშვები გვყოლია. თანაც მატყუარა ჩამშვები. მგონი დიდი სიმამაცე არ უნდა გაზეთებში მისვლას. რა, რა და კიგანის დროს სწორედ გუნდური სული და ძმობა იყო ნაკრებში. ეგებ სხვა არც არაფერი ყოფილა, მაგრამ კაცობა იყო. მწყინს, როცა პრესის ფურცლებზე კევინს ასე ექცევიან. სამი თვის წინ სად იყვნენ? ის ჩამშვები სად იყო სამი თვის წინ“?

ამ ამბავმა ბოლო ერთი თვე მიჩუმებული და საზოგადოებას გარიდებული კევინ კიგანიც აალაპარაკა. მან ადვოკატის პირით შემოთვალა, დამწერსაც და დამბრალებელსაც სასამართლოში დავხვდები და საქმესაც იქ გავურჩევო.

ახლა ვინ რას დაამატებს, ძნელი სათქმელია, მაგრამ BBC-ის არხზე უკვე გავრცელდა მავანი პიტერის განცხადება. ეს პიტერი ანონიმ მაზავიკთა საზოგადოების პრეს-მდივნად წარმოდგა და თქვა, რომ თუკი რამეა ამ ცხოვრებაში ლამაზი, ეს ნიძლავი და ფსონიაო: „ფეხბურთელები ხშირად შედიან ფულს საკუთარი გუნდის მნიშვნელოვან თამაშებზე და ამ დროს მათი მონდომება ათმაგდება. ისინი თავიანთ მოგებაზე დგანან და მათი ტემპერამენტი მეტად აქტიური ხდება — მოწინააღმდეგე ხომ თავის მოგებაზეა ფულს ჩასული“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# შენ ხარ მაფია



ტოსტაო ამხელს

**ბრაზილიის** პარლამენტმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა საფეხბურთო წრეებში გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა დეპუტატებმა საგანგებო კომისია შექმნეს, რომელიც სატრანსფერო გარიგებების კანონზომიერებასა და ფეხბურთის ფედერაციის ფინანსურ საქმიანობას იკვლევს.

მოგეხსენებათ, ტრანსფერების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფეხბურთელის აგენტი. პარლამენტარებმაც ამ პროფესიის ხალხით დაიწყეს და მათი საბანკო ანგარიშების შემოწმებას აპირებენ, იმ იმედით, რომ საეჭვო წარმოშობის თანხებს აღმოაჩენენ. კომისიის ბადეში სულ 19 აგენტი მოხვდა, ყველა ფიფას ლიცენზიის მქონე. საინტერესოა, რომ ბრაზილიაში ფეხბურთელთა აგენტებს „საფეხბურთო ბოროტების კატალიზატორებს“ უწოდებენ.

კომისიის წარმომადგენელი აცხადებს: „ვეჭვობთ, რომ ჩვენი ფეხბურთელები ევროპაში ბევრად უფრო ძვირად იყიდებიან, ვიდრე ამბობენ. შედეგად ათობით მილიონი დოლარი გაურკვეველი მიმართულებით მიდის და ქვეყნის ბიუჯეტს ის უზარმაზარი თანხები აკლდება, საშემოსავლო გადასახადებიდან რომ უნდა შემოსულიყო“.

„ფეხბურთელთა აგენტებმა მაფია შექმნეს — წერს პარლამენტის სახელზე გაგზავნილ წერილში წარსულში განთქმული ფეხბურთელი, ახლა კი ჟურნალისტი ტოსტაო — ისინი ყალბ პორტუგალიურ პასპორტებს ამზადებენ, რათა ევროპაში მოთამაშეთა გაყიდვის საქმე გააიოლონ“. ძნელია ტოსტაოს სიტყვების სიმართლეში ეჭვის შეტანა, ფაქტებიც ხომ ამას მოწმობს: იტალიური „უდინეზეს“ ორ ბრაზილიელს ოქტომბერში ერთი და იმავე ყალბისმქმნელის დამზადებული პასპორტები აღმოუჩინეს. აგერ, ბოლო კვირაა, მილანელი მეკარის, დიდას პასპორტის საქმე გახმაურდა და ასეთი შემთხვევა ძალიან ბევრია.

მეორე ცნობილი ჟურნალისტი ჟუკა კფური ხელს ფედერაციისკენ, უფრო კონკრეტულად კი პრეზიდენტ რიკარდო ტეიშეირასკენ იშვერს: „უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ, რომ ჩვენს ფეხბურთში კორუფციის აყვავება ტეიშეირას მოსვლის შემდეგ დაიწყო?“

რიკარდო ტეიშეირა ბრაზილიურ ფეხბურთს თერთმეტი წელი უდგას სათავეში. ის ფიფას ყოფილი პრეზიდენტის ჟოაო ავილანჟის სიძეა.

**გიორგი დარჯანია**

# ნამუსი აღარაა?!

**მომავალ** კვირაში სამხრეთამერიკელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს გამართავენ, ქვემოთ კი არგენტინელთა პრობლემებზე ვთქვათ.

ნაკრების მწვრთნელი უკვე შეგუებული იყო კლაუდიო ლოპესის არყოლას. შეგახსენებთ, რომ ლოპესი „ლაციო“ — „რეჯინას“ შეხვედრისას დაშავდა, მუხლი იტკინა და თამაშს მინიმუმ სამი თვით ჩამოცილდა. კლაუდიოს დაშავებას როგორმე ავიტან, სხვები მყავდეს კარგადო — ასეც იფიქრა ბიელსამ და მისი უსიამოვნებანიც მერე დაიწყო.

გასულ უქმეებზე „ინტერი“ — „რომას“ მატჩისას ხავიერ ძანეტი დაშავდა. ნაკრების ექიმი დონატო ვილიანი ამბობს, რომ ფეხბურთელის მომჯობინება სანაკრებო მატჩამდე — 15 ნოემბრამდე ვერ მოესწრება. აღსანიშნავია, რომ ტრავმების გამო ძანეტის აქამდე სამი თვე გაუცდა და გამოჯანმრთელებიდან ცოტა ხანში ახალი ტრავმა მიიღო. უიღბლობაც ამას ქვია.

ბიელსას არც მარსელო გალიარდოს იმედი უნდა ჰქონდეს. სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა „რეინჯერსისთვისაც“ წარუმატებელი გამოდგა და „მონაკოსთვისაც“, გალიარდოს კი ორმაგად არ გაუმართლა — 26-ე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, ოღონდ ლოპესისა და ძანეტისგან განსხვავებით, გალიარდოს უსწრაფესი მომჯობინების იმედი არსებობს.

ჩილესთან მატჩში არგენტინელებს არც დიეგო სიმეონე ეყოლებათ, იმ მიზეზით, რომ ურუგვაისთან შეხვედრაში მეორე გაფრთხილება მიიღო და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდა მოუწევს.

ოთხი ფეხბურთელის არყოლა ხომ სერიოზული პრობლემაა და ახლა წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზე დადგებოდა ნაკრების მწვრთნელი, როცა იტალიიდან ერთი დასტა წერილები მიიღო. „რომა“ გაბრიელ ბატისტუტასა და ვალტერ სამუელის კლუბისთვის დათმობას სთხოვდა, „ნაპოლი“ — კლაუდიო ხუსაინისა, ხოლო „პარმა“ — მატიას ალმეიდასი. თხოვნას სამივე კლუბი ერთნაირად ასაბუთებდა — არგენტინის ნაკრებს კორეა-იაპონიაში გამგზავრება პრაქტიკულად განაღდებული აქვს, სერია A-ში კი ბრძოლა ახლა იწყებაო.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ იტალიელებს, ცხადია, ცივი უარი შეუთვალა, რითაც ჩილელებიც დააღონა. მოგეხსენებათ, ჩილეს ნაკრებს ცხრა ტურის შემდეგ ოდენ ათი ქულა დაუგროვებია, გათამაშების ცხრილში მეშვიდეა და კიდევ ერთი წაგება მისთვის დამღუპველი იქნება.

# მე და ჩემი...

**რას** აკეთებენ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები თამაშის წინა საღამოს? კარტის თამაშით ირთობენ თავს. რას აკეთებენ ლიდსელები — ლი ბოიერი და ჯონათან ვუდგეიტი — ღამღამობით? ბნელ ქუჩებში დაძრწიან და გამვლელებს ცემენ. ირლანდიელები — ფილ ბები და მარკ კენედი? დუბლინის ცენტრალურ პარკში ბოლდებიან და მერე ვიღაც ქალს რაღაცას სთავაზობენ (ოღონდ იმდენს ვეღარ ხვდებიან, რომ ეს ქალი პოლიციელია). დევიდ ბექემი? ის სამაგალითო მეოჯახეა და სანამ მისი ცოლი პოდიუმზე ტანსაცმლის ახალი კოლექციის წარდგენითაა დაკავებული, ბავშვს არწევს. კიდევ... სინიშა მიხაილოვიჩი ზანგებს აგინებს, პატრიკ ვიეირა — ბოშებს, პოლ გესქოინი ცოლს სცემს, როი კინი ლოთობს, გლენ ჰოდლი სულთა გადასახლებაზე საუბრობს, მარადონა და კრისტოფ დაუმი კოკაინს ყნოსავენ და ასე შემდეგ.

ამხელა შესავალი იმიტომ გავაკეთეთ, ბოლოს გვეთქვა, რომ ღამღამობით (ლამპის შუქზე) ერთი კაცის გარდა ლექსებს (მეტიც, პოემებს) არავინ წერს. მაქსიმუმ, რომელიმე ჟურნალისტს მემუარები დააწერინონ პირველ პირში და ავტობიოგრაფიად გამოაცხადონ.

ის ერთი კაცი „ბეშიქთაშში“ მოთამაშე სეად დოსტ ჰალილაჯიჩია, ბოსნიაში დაბადებული, რომელმაც მრავალი წლის წინ თურქეთის მოქალაქეობა მიიღო.

ორშაბათს, როცა სხვა ბეშიქთაშელები ვარჯიშობდნენ და თან ბარსელონაში გასამგზავრებლად ჩემოდნებს ალაგებდნენ, ჰალილაჯიჩი პოეზიის ტრფიალთა და ჟურნალისტთა წინაშე იდგა და თავისი ლექსების კრებულის ეგზემპლარებს ავტოგრაფებით ამშვენებდა. ასეთი რამეც თქვა: „ლექსების წერა 1990 წელს დავიწყე. იუგოსლავიაში ომი ჯერ კიდევ არ იყო გაჩაღებული, მაგრამ მე უკვე მაშინ ვწერდი სიყვარულზე, ფილოსოფიასა და ომის საშინელებებზე. სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო სამი წელია, პოემების წერას ვერ ვახერხებ, რადგან ფეხბურთის თამაში ბევრ დროს და ენერგიას მართმევს“.

ბოლოს დავუმატოთ, რომ ჰალილაჯიჩის პოეტურ კრებულს „მომწიფებული“ ჰქვია, ხოლო ავტორმა დამსწრე საზოგადოებას ერთი ლექსიც წაუკითხა სათაურით — „მე და ჩემი პალტო“.



მომწიფებული ჰალილაჯიჩი

**გიორგი დარჯანია**


თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი

სიგარეტის გადაგდება, ნიკოტინიზმისგან განკურნება



ეფექტური მეთოდი;
საუკეთესო შედეგი; ხელმისაწვდომი ფასები;
განკურნების შემდგომი ზედამხედველობა და რეაბილიტაცია.

☎ 95 58 26; 96 85 67 ყოველდღე, 10-დან 19 საათამდე,
შაბათ-კვირას 10-დან 13 საათამდე

დავით აღმაშენებლის გამზირი 60





გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი
ევროპული სტანდარტის საქონლის
გამოწერას გერმანიიდან

მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე

www.otto.de

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

## ხუთშაბათს, 9 ნოემბერს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს

**დანია. თასის 1/8 ფინალი**
**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 016 | ოლბორგი-სილკებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**უეფას თასი. საპასუხო მატჩები**
**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 521 | გენკი-ვერდერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 522 | სლავია-ოფი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 21.00 | 523 | ინტერი (ბრატისლავა)-ლოკომოტივი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 524 | შტუტგარტი-ტიროლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 525 | მტკ-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 526 | პაოკ-უდინეზე | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 21.15 | 527 | რომა-ბოავიშტა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.00 | 528 | დინამო (ზაგრები)-პარმა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.30 | 529 | ვიბორგი-რაიო ვალეკანო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 530 | ფეიენოორდი-ბაზელი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 531 | ლიბერეცი-ლივერპული | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 23.15 | 532 | სენტ გალენი-ბრიუგე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.15 | 533 | კაიზესლაუტერნი-ირაკლისი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.15 | 534 | ალავესი-ლილესტრიომი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 535 | სელტიკი-ბორდო | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.45 | 536 | ვიტესი-ინტერი | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 23.45 | 537 | აიაქსი-ლოზანა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 538 | გრაცერი-ესპანიოლი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 00.30 | 539 | სელტა-ცრვენა ზვეზდა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 01.30 | 540 | პორტუ-ვისლა | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**
**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 705 | გენკი | -10,0 | ვერდერი | -1,02 |
| 19.30 | 706 | სლავია | -1,2 | ოფი | -3,1 |
| 21.00 | 707 | ინტერი (ბრატისლავა) | -3,1 | ლოკომოტივი | -1,2 |
| 21.00 | 708 | შტუტგარტი | -1,3 | ტიროლი | -2,0 |
| 21.00 | 709 | მტკ | -4,0 | ნანტი | -1,15 |
| 21.00 | 710 | პაოკ | -4,0 | უდინეზე | -1,1 |
| 21.15 | 711 | რომა | -1,01 | ბოავიშტა | -15,0 |
| 22.00 | 712 | დინამო (ზაგრები) | -10,0 | პარმა | -1,02 |
| 22.30 | 713 | ვიბორგი | -4,0 | რაიო ვალეკანო | -1,15 |
| 23.00 | 714 | ფეიენოორდი | -1,05 | ბაზელი | -7,5 |
| 23.00 | 715 | ლიბერეცი | -5,0 | ლივერპული | -1,1 |
| 23.15 | 716 | სენტ გალენი | -2,3 | ბრიუგე | -1,4 |
| 23.15 | 717 | კაიზესლაუტენი | ——- | ირაკლისი | -25,0 |
| 23.15 | 718 | ალავესი | ——- | ლილესტრიომი | -25,0 |
| 23.45 | 719 | სელტიკი | -1,35 | ბორდო | -2,3 |
| 23.45 | 720 | ვიტესი | -2,5 | ინტერი | -1,25 |
| 23.45 | 721 | აიაქსი | -1,25 | ლოზანა | -2,8 |
| 23.45 | 722 | გრაცერი | -15,0 | ესპანიოლი | -1,01 |
| 00.30 | 723 | სელტა | -1,3 | ცრვენა ზვეზდა | -2,5 |
| 01.30 | 724 | პორტუ | -1,1 | ვისლა | -4,0 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**
**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 803 | ულქერი-ვილერბანი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 21.00 | 804 | პარტიზანი-სკავოლინი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 22.00 | 805 | ლიეტუვოს რიტასი-ცსკა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 23.00 | 806 | მაკაბი-ეფესი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 807 | სპლიტი-ცეპტერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 808 | კრკა-ბაიერი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 809 | სიენა-პანათინაიკოსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 810 | პო ორტეზი-ოსტენდე | 1,1 | 12,0 | 4,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**
**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 818 | ჰაპოელი-ოლიმპია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.15 | 819 | ლუგანო-ქალგირისი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 23.30 | 820 | ფორტიტუდო-ესტუდიანტესი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 821 | ზადარი-პერისტერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 00.00 | 822 | ოვარენსე-ოლიმპიაკოსი | 4,0 | 12,0 | 1,15 |

**კალათბურთი. ნბა**
**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 840 | შარლოტი-სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 24.00 | 841 | ნიუ ჯერსი-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 842 | მინესოტა-ფილადელფია | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 24.00 | 843 | ჩიკაგო-ორლანდო | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 24.00 | 844 | ჰიუსტონი-ვანკუვერი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 24.00 | 845 | ფინიქსი-ატლანტა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 24.00 | 846 | პორტლენდი-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**ჰოკეი**
**9 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 913 | ბოსტონი-ოტავა | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 914 | ბუფალო-აილენდერსი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 915 | ფილადელფია-ედმონტონი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 916 | ვაშინგტონი-რეინჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 917 | კოლუმბუსი-სან ხოსე | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 918 | კოლორადო-სენტ ლუისი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 919 | ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 1,8 | 4,0 | 2,4 |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


ქუთაისში
ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე
პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

ბათუმში
კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:
მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

## გაიცანით
# გრეგ რუზეცკი



# მე სიმღერა მინდა

**აშშ-ის ღია პირველობის ფინალისტსა და ერთ დროს მსოფლიოს მეოთხე ჩოგან გრეგ რუზეცკის ახალი ათასწლეულის პირველი საჩოგბურთო სეზონი მეტად მწარედ გაახსენდება — დეკემბერში, ქორწინებიდან ერთი კვირის თავზე გაკეთებულმა ფეხის ოპერაციამ მას ჯერ დრო და ფორმა დააკარგვინა, მერე კი ტკივილისგან შეწუხებულს თამაშის ხალისიც გაუქრო.**

**რწმენაშერყეული, კლასიფიკაციაში დაქვეითებული ინგლისელი ბედთან შეგუებასა და უბრძოლველად გაცლას არ აპირებს. მსოფლიოში უმძლავრესი მოწოდების პატრონმა გრეგმა გასულ კვირეებში ევგენი კაფელნიკოვი, რიჩარდ კრაიჩეკი და მარატ საფინი შეიწირა და საგაისოდ ძველი პოზიციების დაბრუნებასაც გეგმავს.**

**კორტზე მეტად აგრესიული და ზორბა რუზეცკი ცხოვრებაში ერთობ გულლია და ღიმილიანი კაცია, რაშიც ქვემოთ მოყვანილი მცირე ინტერვიუც დაგარწმუნებთ.**

***მწარე საჩოგბურთო მოგონებები...***

ახალგამომცხვარი პროფესიონალი ვიყავი, როდესაც სინგაპურში ჩელენჯერზე მეოთხედფინალში გავედი. მშვენივრად ვითამაშე და ისრაელში უკვე სატელიტის (ჩელენჯერიც და სატელიტიც მცირე საჩოგბურთო ტურნირების სახელებია) მოგების ამბიციებით ჩავედი. ამის ნაცვლად ერთეულებშიც პირველივე წრეში წავაგე და წყვილებშიც. მაშინ დავფიქრდი, აქ რას ვაკეთებ — ვანიავებ საკუთარ დროს, მშობლების ფულს და ფინანსურ დახმარებას-მეთქი.

ზიხარ ამ შესანიშნავ ოთახში, ფანჯარაზე ფარდებს თუ გასწევ, აგურის კედელი შეგრჩება ხელში, შენთან ერთად კიდევ ერთი მოთამაშე ცხოვრობს, საომარ ყაზარმაში იმყოფები, იატაკზე ჭიანჭველები დარბიან და 14 ოთახზე ერთი აბაზანაა — რას იტყვით, ხომ მაგარი გული უნდა გქონდეს?

ერთადერთი საშუალება, რომელიც მიგახვედრებს, უნდა გაჰყვე თუ არა ჩოგბურთს, მოგებებია. თუ არაფერი გამოგდის, სკოლაში უნდა დაბრუნდე, ხეირიანი განათლება მიიღო და სხვა საქმიანობისთვის მოემზადო. საკუთარ თავს 19 წლამდე მივეცი ვადა და ჩემდა საბედნიეროდ, ამ დროისთვის უკვე საუკეთესოთა 50-ეულში ვიყავი.

***რა დაეხმარა წარმატების მიღწევაში...***

— მშობლები ყოველთვის ყველაფერში მეხმარებოდნენ და მხარს მიჭერდნენ, მაგრამ ჩემს გამო არაერთი მსხვერპლი გაუღიათ. სწორედ ეს მაძლევდა ძალას, წარმატების მიღწევის სურვილით მავსებდა. ჩემთვის ვერცხლის სინზე არაფერი მოურთმევიათ ცხოვრებაში, ამიტომ ვიცოდი, ბევრი უნდა მეშრომა მათი იმედების გასამართლებლად. იმედია, ეს მოვახერხე კიდეც.

***მთავარი კონკურენტის შესახებ...***

— ვფიქრობ, მე და ტიმი (ჰენმანი) არც ისე ცუდად ვუგებთ ერთიმეორეს, მაგრამ მაინც არ დავახლოვდით, რადგან მუდმივად ერთმანეთის წინააღმდეგ თამაში და პაექრობა გვიხდება. იქნებ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ჩოგბურთი უკვე წარსულში დარჩება, უფრო უკეთესი ურთიერთობა დავამყაროთ.

***რა აბრაზებს...***

— ყველაზე ძალიან მაშინ ვბრაზობ, როდესაც ვბრაზდები, რადგან ვფიქრობ, საკუთარ თავს უკეთ უნდა ვაკონტროლებდე. მაგალითად, ვცხარდები, როცა ლონდონში მანქანის უადგილო ადგილზე გაჩერებისას მუდმივად მაჯარიმებენ. ინსპექტორებზე გული არ უნდა მომდიოდეს, ისინი ხომ უბრალოდ თავიანთ საქმეს აკეთებენ.

***ფულის შესახებ...***

— ძალიან გაგვიმართლა, ერთ კვირაში უფრო მეტ ფულს ვაკეთებთ, ვიდრე ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ მე მაინც ვუფრთხილდები და ვაფასებ ფულს, იმედია, ცუდად არ გამიგებთ.

***რა გამოვიდოდა, ჩოგბურთელი რომ არ ყოფილიყო***

— ძალიან მინდა, მომღერალი ვიყო. ზოგჯერ სალამოობით კარაოკეზე ვმღერივარ და ბიჭოს, ვერც კი წარმოიდგენთ, ოთახს რა უცებ ვაცარიელებ.

***ცხოვრების შესახებ...***

— იცით, ერთ წუთს ვართ, მეორე წუთს — არა, ცხოვრება ძალიან მოკლეა და შეძლებისდაგვარად უნდა ისიამოვნო, პრობლემები გულთან ახლოს არ უნდა მიიტანო. სიმდიდრე მთავარი არ არის, შეიძლება მსოფლიოში ყველაზე მეტი ფული გქონდეს, მაგრამ თუ ჯანმრთელი არ ხარ, ეს კაპიკადაც არ ღირს.

***როგორ გაიხსენებენ...***

— სიმართლე გითხრათ, ეს დიდად არ მაღელვებს. ცხოვრებაში ბევრი რამის გაკეთება მინდა და ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, ხალხს კარგად მოექცე. გამიხსენებენ თუ არა დიდ ჩოგბურთელად, ეს სულ სხვა საკითხია.

# ATP სახელს და იერს იცვლის



ATP-ს გახადეს და ჩააცვეს

**ჩოგბურთის** მოთამაშეთა ასოციაციას, ანუ იგივე ATP ტურს ახალი წლიდან უბრალოდ ATP ეწოდება. შეიცვლება ტურის საფირმო ნიშანიც, რომელზეც აქამდე ბურთის მომწოდებელი მამაკაცი იყო გამოსახული.

ახალ ნიშანზეც იგივე ჩოგბურთელია, ოღონდ უფრო ფართო შორტებსა და მაისურაში გამოწყობილი. თითქოს ამ პატარა ნახატის შექმნას რა დიდი თავის მტვრევა უნდა დასჭირვებოდა, მაგრამ ATP ტურის ერთ-ერთი თავკაცის, ლარი სკოტის სიტყვები სულ სხვა რამეში დაგარწმუნებთ: „ჩვენი ორგანიზაციის ახალი სიმბოლო ერთდროულად ძალისმიერი და ოფიციალურიც უნდა ყოფილიყო და თანამედროვეც. საკონსულტაციო ფირმა „ინტერბრენდის“ დახმარებით მომწოდებელი ჩოგბურთელის ტრადიცია შევინარჩუნეთ, თუმცა ახალი სახე უკეთ ასახავს თანამედროვე სპორტის ძალასა და ათლეტიზმს. სახელის შემცირებას რაც შეეხება, ეს უფრო ცხადს გახდის ყველაფერს“.

1 იანვრიდან ასოციაციის საინტერნეტო მისამართიც შეიცვლება და ATPTENNIS.COM გახდება. საერთოდ, სახელების გადაკეთება და ინოვაციები წლეულს ATP ტურზე მრავლადაა. კლასიფიკაციის ძველი სისტემა „ჩემპიონთა რბოლად“ გადაკეთდა, „მერსედეს სუპერ 9“ — „მასტერსის სერიად“, მსოფლიოს ჩემპიონატი კი „მასტერსის თასად“.

**ავთანდილ სვანიძე**



# პირველს დაბალი წნევა აქვს


**რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»**

**სპრინტი** ბუენოს აირესის მიმართულებით გრძელდება. ლიდერი უცვლელი დარჩა, მაგრამ იახტები მაქსიმალურად სწორ ხაზზე განლაგდნენ. განდგომაზე ერთიც არ ფიქრობს, ყველა უმოკლესი გზით მიიწევს არგენტინის დედაქალაქისკენ. ზღვაოსნებს მხნეობა მოემატებოდათ: ატლანტიკის იმ უბანზე, სადაც რეგატა მოძრაობს, წუხელ ტროპიკული თქეში იყო ნავარაუდევი და გაგრილება შეიძლებოდა. გუშინწინ „ბი პიმ“ „ვერიტასს“ მესამე ადგილი წაართვა, შემდეგ „კომპაქმა“ — მეოთხე და ამგვარად ღლის ანტიგმირად აქცია. კიდევ 12 მილით ჩამორჩა „ნორვიჩ იუნიონი“ და ისე ჩანს, ფინიშზე ბოლო მივა. სხვა საყურადღებო ცვლილებათა ამბავი არ მოსულა.

ამინდის პროგნოზი შემდეგია: ტემპერატურა 25 გრადუსი ცელსიუსით, წყლის ტემპერატურა 27 გრადუსი, ქარი მეტწილად ჩრდილო-აღმოსვლეთისა, სიჩქარე 4-5 კვანძი, ცვალებადი მოღრუბლულობა მცირე წვიმების თანხლებით. „ელ ჯი ფლატრონი“ დაბალი წნევის პატარა არეში შევიდა, რომელსაც მალე მომდევნო იახტებიც უწევენ. მეტეოროლოგთა თქმით, იმ არეში სავარაუდოდ აღმოსავლეთის ან სამხრეთ აღმოსავლეთის ქარები დაუბერავს, ეს კი ამჟამინდელზე არასასურველია, თუმცა მოვლენა დროებითი იქნება, არე მალე აღმოსავლეთით გადაინაცვლებს.

| II ეტაპი | | |
|---|---|---|
| ბოსტონი — ბუენოს აირესი | | |
| 8 ნოემბრის ვითარება | | |
| 1. „ელ ჯი ფლატრონი“ | 1678 | 0 |
| 2. „სპირიტ ოფ ჰონკონგი“ | 1762 | 84 |
| 3. „ბი პი“ | 1774 | 96 |
| 4. „კომპაქი“ | 1775 | 97 |
| 5. „ვერიტასი“ | 1782 | 104 |
| 6. „ლოჯიკე“ | 1783 | 105 |
| 7. „ტიმ სპირიტი“ | 1793 | 115 |
| 8. „ოლიმპიკ გრუპი“ | 1825 | 147 |
| 9. „ქუადსტოუნი“ | 1832 | 154 |
| 10. „აილ ოფ მენი“ | 1838 | 160 |
| 11. „სერკო“ | 1848 | 170 |
| 12. „ნორვიჩ იუნიონი“ | 1952 | 274 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.*



**დაწინაურებული „ელ ჯი ფლატრონის“ კაპიტანმა მდევრებს ზემოდან გადახედა**

# უხეირო რეკორდი


**რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»**

**მოღონიერებულმა** ქარმა რეგატის მსვლელობა ააჩქარა. ამერიკის აღმოჩენამდე ჯერ 2000 საზღვაო მილზე მეტი რჩება, მაგრამ იახტები არ დუნდებიან, ყოველი მილისთვის ცხარედ პაექრობენ. გუშინღამაც მეზღვაურები ერთგულად ეკიდნენ ბაგირებზე და შკიპერთა მითითებებს ასრულებდნენ. ას მილზე ნაკლები თითქმის არც ერთს გაუვლია, რეკორდი კი მაჩანჩალა „გლაზგომ“ დაამყარა 12 საათში 129 საზღვაო მილის დაფარვით (საშუალო სიჩქარე — 10,7 კვანძი), თუმცა ერთი ადგილითაც ვერ წაიწია წინ. სკოტებს გეზი ცოტა სამხრეთით უჭირავთ, ალბათ, ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო და უცნაურია, მაგრამ ლიდერს კიდევ უფრო ჩამორჩნენ. შკიპერი ედ გრინი ამის თაობაზე არ წუხს და ქარის იმედი აქვს. მოწინავე პოზიციაზე კვლავ „პორტსმუთი“ დარჩა, მაგრამ „ბრისტოლთან“ უპირატესობის ნახევარი მაინც გაფლანგა და სხვებიც მიეწივნენ. „პლიმუთს“, „ლივერპულსა“ და „ჯერსის“ ლიდერობის კარგი შანსი აქვთ.

**დავით გულუა**

| II ეტაპი | | |
|---|---|---|
| ვილამურა — ჰავანა | | |
| 8 ნოემბრის ვითარება | | |
| 1. „პორტსმუთი“ | 2407 | 0 |
| 2. „ბრისტოლი“ | 2454 | 47 |
| 3. „პლიმუთი“ | 2477 | 70 |
| 4. „ლივერპული“ | 2488 | 81 |
| 5. „ჯერსი“ | 2489 | 82 |
| 6. „ლიდსი“ | 2572 | 165 |
| 7. „ლონდონი“ | 2651 | 244 |
| 8. „გლაზგო“ | 2759 | 352 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.*

„სარბიელში“ სამუშაოდ ვიწვევთ გამოცდილ მბეჭდავს. ცნობებისთვის დარეკეთ
TEL: 39 48 29. 13-დან 18 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლენოქს ლუისი VS დავიდ ტუა

## საბჭოსა (WBC) და ფედერაციის (IBF) ქამრებისთვის

11 ნოემბერი. ლას ვეგასი

### ჩხუბამდელი ამბები

# უტაისონოდ აზრი არა აქვს

**შაბათს** ლას ვეგასში მსოფლიოს ნაღდი უდავო ჩემპიონი ლენოქს ლუისი თავის ორ (მესამე ამერიკულმა სასამართლომ წაართვა) ქამარს დაიცავს ამერიკაში მოღვაწე ოკეანელი დავიდ ტუასგან. საბჭოსა და ფედერაციის ჩემპიონის ტიტულის დაცვა, დიახაც, მნიშვნელოვანია ლუისისთვის, მაგრამ ბრიტს უფრო სხვა საფიქრალი აქვს: ერთი, რომ ჰგონია ტუას იოლად გაუსწორდება და მეორე, საბჭოს ვერსიით პირველი ნომერი კანდიდატი ანჯეი გოლოტას ძლევის შემდეგ შექნილა მაიკ ტაისონი, რომელიც მთელი წელიწადია ლუისის, მისი შვილების, ბებიების და სხვა ნათესავების შეჭმით იმუქრება. ამ სარეიტინგო ცვლილების მერე კი გამოდის, რომ ლუის-ტაისონის შერკინება პრომოუტერსაქმოსანთა ხუშტური კი არა, უკვე სავალდებულო რამ არის (თუ რა თქმა უნდა, შაბათს ლუისი ტუას არ გადაულოცავს თავის ტიტულებს). ბრიტი გოლიათი იმდენად მონდომებულია ტაისონთან შესახვედრად, რომ უთქვამს — კრივში გული აღარ დამიდგება, თუ რაღაც სისულელის გამო ეს შეხვედრა ჩაიშლებაო.

მიმომხილველთა აზრით, ლუის-ტაისონი იქნება კრივის ისტორიაში ყველაზე ძვირი ბრძოლა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ უძვირესი ბრძოლის ჩატარება ძალიან ძნელია: აქეთ-იქეთ პრომოუტერები, ტელეარხები, სპონსორები... მთელს ამ საქმოსანთა კრებულს საერთო და ყველასთვის მისაღები პირობების შემუშავება სჭირდება.

ტაისონი დღემდე რჩება ყველაზე დიდჰონორარიან მოკრივედ, ლუისი მეორეა. კერძო ტელესისტემები, პიროვნულ არხთა მაგნატები, კაბელის ვეშაპები მათთან კონტრაქტებით არიან დაკავშირებულნი. ამ კონტრაქტების ახალ კონტრაქტებთან შეჯერებას ერთი დუჟინი ვექილი მაინც სჭირდება. აი, მაგალითად — შესაძლო ლუის-ტაისონის საკაბელო გადაცემის უფლებისთვის ორი ამერიკული ტელეგოლიათი „ჰოუმ ბოქს ოფისი“ და „შოუთაიმი“ შეასკდებიან. პირველი ლუისის ბრძოლებს გადასცემს, მეორე ტაისონისას. მათი მორიგება კი ძალიან ძნელია. „ჰოლიფილდს რომ ვხვდებოდი, მაშინაც ძლივს შეთანხმდნენ“, ამბობს ლუისი — „მაგრამ მაშინ ჩემი პრომოუტერი სააგენტო „მეინ ივენტი“ იყო, ჰოლიფილდისა კი დონ კინგი. ამათ ორივემ ჭკვიანურად გაჩარხეს საქმე და ბრძოლებიც შედგა. ახლა რატომ არ უნდა მოხერხდეს? კრივში ასე იტყვიან ხოლმე, თუ ჩხუბი დიდია მაინც მოხდებაო. ამაზე დიდი რაღა უნდა იყოს დღეს? ჩაიშლება და მე გზას ვნახავ, მსოფლიო ტურს მოვაწყობ, ნელსონ მანდელას დაბადების დღეზე ვიჩხუბებ, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება, რომ კრივიდან ისე წავედი, ტაისონს ვერ ვეჩხუბე“.

ლუისმა უკვე გამოაცხადა, ტუასთან შერკინების შემდეგ ორი ბრძოლა მაქვს დაგეგმილი, ერთი ტაისონთან და მეორე ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონ უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან, რომელიც დღეს უძლიერეს მძიმეწონოსანად ითვლებაო.

„სამწუხაროდ, ტაისონის დრო წავიდა, მას თავისი ეპოქა ჰქონდა. მისი ბოლო ბრძოლები მოხეტიალე ცირკის თამაშობანია და სხვა არაფერი“ — თქვა ლუისმა. და მაინც მას ძალიან უნდა თუნდაც ასეთ ტაისონთან შეხვედრა.

ტაისონს კი ჯერჯერობით არაფერი უთქვამს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

# მეწვრილმანე

**დავიდ ტუამ** თავი უკან გადასწია და სამოური საბრძოლო შეძახილი ამოიბღავლა. კაცი, რომელიც შაბათს ლენოქს ლუისს ორ ტიტულს შეეცილება (WBC-ს და IBF-ის), ბოლო საჯარო ვარჯიშის შემდეგ რინგის კუთხეზე შეხტა, მკლავი ჰაერში მოიქნია, ტრიბუნის ოვაციას შეეგება და „ტუა, ტუა, ტუას“ ყვირილს მოჰყვა. ტრიბუნაზე კი 100 კაცი იჯდა.

ამის შემდეგ, მისივე სიტყვების თანახმად ასპროცენტიანმა სამოელმა მაყურებელს მაისურები გადაუგდო, კისერზე ეროვნული, საბრძოლო მოსასხამი დაიხვია და ჟურნალისტებს უგდო ყური. ერთმა კითხვამ, რომელიც იმ ქომაგთა განცდებს ეხებოდა, სამშობლოში რომ ჰყავს, ტუას თვალებზე ცრემლი მოადინა.

დავიდ ტუა ბოლო ორი წელიწადია IBF-ს ტიტულის მთავარ კანდიდატად ჰყავს შერაცხული და როგორც იქნა მისი და ჩემპიონის ბრძოლა გაახერხა.

მაინც, ვინ არის დავიდ ტუა? ის სიღარიბეში გაზრდილი ბიჭი გახლავთ, რომელმაც კრივით ფული იშოვნა და ამ ცხოვრებაში პატარა სიამოვნებაც ჰყოფნის. ამასწინათ სტუმრად მისულ ჟურნალისტებს თავისი სამკაულებიც კი გადმოულაგა, ოღონდ დასძინა:

„ქუჩაში პლატინის მოსართავებითა და ძვირფასი საათებით სულაც არ გავდივარ. სწორედ გამიგეთ, ასეთი ნივთების ქონა ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ მალე მბეზრდება. აი, მაგალითად ინდიელთა ნამდვილი ოქროთი ნაკეთები ძეწკვი, რომლის შეძენაც ვერ წარმოიდგენთ როგორ მსურდა, შევიძინე, ვიკეთებ კიდეც, მაგრამ ვიცი, რომ მალე თავს მომაბეზრებს.

საერთოდ კი, მართლაც წვრილმანთა მოყვარული ადამიანი გახლავართ. შემიძლია მთელი დღე ვუყურო როგორ ღებავს ერთი ღობეს ან როგორ აშენებს მეორე კედელს, მაგრამ ბომონდურ შეკრებებზე არ დავდივარ, კაშკაშა სინათლეს ვერ ვიტან“.



ტუა დიდძალ ქონებაზე ფიქრს გონებით გადაჰყავს იმ პატარა სამოურ სოფელში, საიდანაც მშობლებმა ათი წლისა საცხოვრებლად ახალ ზელანდიაში გადაიყვანეს.

„იცით, ჩვენს ოჯახში პირველი ტელევიზორი როგორ გამოჩნდა? ჩვენ ის ქუჩაში ვიპოვეთ. შავთეთრი იყო, გადაგდებული, მაგრამ მუშაობდა. მშობლები ჩვენთვის ყველაფერს აკეთებდნენ, სათამაშოების ყიდვასაც ახერხებდნენ. აი, ასეთ პირობებში ვიზრდებოდი და ამიტომაც ჩამოვყალიბდი წვრილმანების კაცად.

რაც შეეხება ლას ვეგასის მახლობლად მდებარე მდიდრულ სახლს, ის ჩემი არ არის, მე ის დავიქირავე, რადგან არ მიყვარს დაფეთება: აუ, ამას შეხედე... უი, ის ნახე როგორია...“

და მაინც, დავიდ ტუა ხშირად უნახავთ თითზე ბრილიანტის ბეჭდით, ხოლო მის საძილე ოთახში — სწორედ იმ სახლში, ლას ვეგასში რომ აქვს — უშველებელი, კინოეკრანისხელა ტელევიზორი დგას და ისეთი და იმდენი ტანსაცმელითაა მოფენილი (ჭრელი, ჭრელი, ჭრელი), ნებისმიერი 14-15 წლის ქუჩის ბიჭი სიამოვნებისგან შესძახებდა.

კედლებზე? ალბათ, მიხვდით — ტუას პლაკატებია ნატურალური ზომით.

**ტუტა სიხარულიძე**



# ედმონტონი ედმონტონის მტერია

6 ნოემბერი

**ლოს ანჯელესი — ფინიქსი 3:3**

1:0 1:2 1:1 0:0

1:0 გ. მიურეი 10'14 (5); 2:0 გ. მიურეი 30'28 (6); 2:1 უილსონი 33'09 (5); 2:2 ტკაჩუკი 39'48 (7); 2:3 დოუნი 47'46 (4); 3:3 რ. ბლეიკი 52'17 (6)

**აილენდერსი — ნეშვილი 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 ტიმონენი 5'27 (2); 1:1 ისბისტერი 23'59 (7); 2:1 ისბისტერი 40'25 (8)

**რეინჯერსი — ედმონტონი 4:3**

1:2 1:0 2:1

0:1 გერინი 1'09 (11); 0:2 ბრიუერი 1'58 (1); 1:2 ლიჩი 6'55 (3); 2:2 იორკი 33'06 (3); 3:2 ლიჩი 46'12 (4); 3:3 გრირი 51'26 (3); 4:3 დვორჟაკი 54'45 (3)

**კოლორადო — მინესოტა 2:0**

0:0 2:0 0:0

1:0 საკიკი 29'42 (4); 2:0 პოდეინი 36'12 (5)



მინესოტელთა მეკარე ჯიმ მაკლენანმა კოლორადოელ მილან ჰეიდუკს შაიბა არ დაანება

**ფინიქსის** კარგი დასაწყისი უკვე აღარავის უკვირს. ასეა წლეულსაც, თანაც გუნდს აქამდე ჩატარებულ თხუთმეტივე მატჩში უმძიმესი ორთაბრძოლა გადახდა. თავად განსაჯეთ — „კოიოტებმა“ 7 შეხვედრის ოვერტაიმში იბრძოლეს, ლოს ანჯელესთან კი ზედიზედ მესამედ ითამაშეს დამატებითი ხუთწუთეული და იღბლიანი სერია 12 მატჩამდე გაზარდეს. კალიფორნიელებთან ფრე ფრიად ლოგიკური შედეგი გახლდათ, რადგან არც მასპინძლები იმსახურებდნენ წაგებას.

ამიერიდან ედმონტონისა და რეინჯერსის ყოველი შეხვედრა განსაკუთრებით პრინციპული იქნება — ზაფხულში ხომ „მენავთობეთა“ შტაბი ლამის მთელი შემადგენლობით, გუნდის გენერალური მენეჯერის, გლენ საზერის ჩათვლით, ნიუ იორკში გადაბარგდა. რეინჯერსის მწვრთნელადაც ედმონტონის ყოფილი თავკაცი რონ ლოუ დაინიშნა და რაღა თქმა უნდა იმას, რომ უშეღავათო პაექრობა გაიმართებოდა. თავიდან სტუმრებს უკეთ მისდიოდათ საქმე, მაგრამ შემდეგ საქმეში „რეინჯერთა“ „ჩეხური ხაზი“ ჩაერია. პეტერ ნედველი, რადეკ დვორჟაკი და იან ჰლავაჩი წლეულს მარკ მესიეს მისვლამ ოდნავ დაჩრდილა, მაგრამ ამჯერად მათ კვლავ გაიბრწყინეს. ნედველმა 3 პასი მიითვალა, აქედან 2-ით მცველი ბრაიან ლიჩი ასარგებლა, რომელმაც კარიერაში მე-800 ქულა მოაგროვა.

დებიუტანტმა მინესოტამ მხოლოდ თავგანწირვა და დისციპლინა დაუპირისპირა კოლორადოს, მაგრამ ცხადია, ვერაფერს გახდა. მასპინძლებმა 2 გოლი აკმარეს მეტოქეს, მეკარე პატრიკ რუა (49-ე შათაუტი) თითქმის არ შეწუხებულა.

**სამველ ლარიბიანი**



## კვირის მოთამაშე

### ტეორენ ფლერი (რეინჯერსი)

**უკვე** ტრადიციად იქცა, რომ კვირის ლაურეატი უქმეებზე გამოირჩევა-ხოლმე, მაგრამ რეინჯერსის ჯუჯა ფორვარდმა ტეო ფლერიმ სხვაგვარად განსაჯა და ამ კვირის პირველივე მატჩში მიაღწია წარმატებას. ოთხშაბათს ტამპასთან შეხვედრაში (6:1) იგი შეუჩერებელი იყო, კარიერაში მე-15 ჰეთ თრიქი მიითვალა და ბევრს ის ფლერი მოაგონა, რომელიც კალგარიში ჩინებულად თამაშობდა. თუმცა ჰოკეისტი მოგონებებით არ ცხოვრობს და წლეულს, თავის მე-13 ნჰლურ სეზონში, ცდილობს, ყველას დაუმტკიცოს, რომ შარშანდელი უიღბლობა შემთხვევითი იყო. ფლერი ტამპასთან ზემოხსენებული შეხვედრით არ დაკმაყოფილდა და მომდევნო ორშიც მიითვალა გოლები, საბოლოოდ კი კვირა 6 (5+1) ქულით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ შაბათს მონრეალთან გატანილი შაიბა მისთვის კარიერაში მე-400 გამოდგა.

**საუკეთესო ექვსეული. 30 ოქტომბერი — 5 ნოემბერი**

**ტომი სალო** (ედმონტონი, 1); **სანდის ოზოლინში** (კაროლინა, 1) — **რობ ბლეიკი** (ლოს ანჯელესი, 2), **ტეორენ ფლერი** (რეინჯერსი, 1) — **ტომი კალიო** (ატლანტა, 1) — **სერგეი სამსონოვი** (ბოსტონი, 1)

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 14 | 9 | 4 | 0 | 1 | 54:33 | 22 |
| ტორონტო | 14 | 8 | 1 | 0 | 5 | 38:28 | 17 |
| ბუფალო | 12 | 6 | 1 | 1 | 4 | 34:33 | 14 |
| ბოსტონი | 15 | 5 | 1 | 1 | 8 | 38:59 | 12 |
| მონრეალი | 14 | 4 | 2 | 0 | 8 | 39:47 | 10 |
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 13 | 6 | 3 | 0 | 4 | 50:36 | 15 |
| აილენდერსი | 13 | 6 | 2 | 1 | 4 | 34:32 | 15 |
| რეინჯერსი | 14 | 7 | 0 | 0 | 7 | 50:45 | 14 |
| პიტსბურგი | 13 | 6 | 2 | 0 | 5 | 38:39 | 14 |
| ფილადელფია | 14 | 4 | 4 | 0 | 6 | 35:43 | 12 |
| **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ვაშინგტონი | 15 | 3 | 4 | 1 | 7 | 34:45 | 11 |
| ტამპა | 13 | 4 | 1 | 1 | 7 | 41:56 | 10 |
| კაროლინა | 13 | 3 | 3 | 0 | 7 | 33:44 | 9 |
| ატლანტა | 12 | 2 | 5 | 0 | 5 | 36:39 | 9 |
| ფლორიდა | 12 | 1 | 3 | 3 | 5 | 23:35 | 8 |

| ცენტრი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 14 | 10 | 2 | 0 | 2 | 43:22 | 22 |
| დეტროიტი | 14 | 8 | 0 | 1 | 5 | 40:37 | 17 |
| ნეშვილი | 14 | 5 | 4 | 1 | 4 | 32:32 | 15 |
| ჩიკაგო | 14 | 5 | 0 | 1 | 8 | 34:42 | 11 |
| კოლუმბუსი | 15 | 3 | 1 | 1 | 10 | 26:50 | 8 |
| **ჩრდილო დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 15 | 11 | 2 | 0 | 2 | 46:26 | 24 |
| ედმონტონი | 17 | 9 | 2 | 0 | 6 | 50:44 | 20 |
| ვანკუვერი | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 48:40 | 18 |
| კალგარი | 15 | 3 | 2 | 1 | 9 | 31:42 | 9 |
| მინესოტა | 15 | 3 | 3 | 0 | 9 | 26:44 | 9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ფინიქსი | 15 | 9 | 5 | 0 | 1 | 48:29 | 23 |
| ლოს ანჯელესი | 17 | 8 | 3 | 0 | 6 | 60:49 | 19 |
| სან ხოსე | 12 | 8 | 2 | 0 | 2 | 34:23 | 18 |
| დალასი | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 39:33 | 17 |
| ანაჰაიმი | 16 | 6 | 3 | 2 | 5 | 46:53 | 17 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

ჭადრაკი

# ავრორა და სუსტები

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

თქმულიდან გამომდინარე დიდად გასაკვირი როდია, რომ მოჭადრაკეთა კლასს შორის განსხვავება სოლიდურია. უცქერ ზოგიერთ პარტიას, ჯერ ერთობი და გელიმება, შემდეგ კი ბრაზდები — დამწყები მოჭადრაკეების დონეზე რომ თამაშობენ. მავანისთვის მნიშვნელობა არ აქვს — სად თამაშობს და ვის ეთამაშება, რამდენი ფიგურით ან პაიკით ნაკლები აქვს, რა პოზიცია გააჩნია — მაინც შამათამდე თამაშობს.

სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ძალზე ძნელი გასარჩევია ფრანგი დიდოსტატის სამუელ ტარტაკოვერის ცნობილი ფორმულის რომელი ნაწილი უნდა მოარგო ამ კატეგორიის მოჭადრაკეებს: „არიან მოჭადრაკეები, რომლებიც თამაშობენ სუსტად და ვერ აცნობიერებენ, რომ თამაშობენ სუსტად: ისინი უვიცები არიან — განერიდე მათ! არიან მოჭადრაკეები, რომლებიც თამაშობენ სუსტად, მაგრამ უწყიან, რომ თამაშობენ სუსტად: ისინი გონიერნი არიან, დაეხმარე მათ." მიდი და არჩიე ახლა — ამ მილეთის ხალხში ვინ ვინ არის!

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ მოქმედებს თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის დევიზი — მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება.

თავად ოლიმპიურმა თამაშებმა კი ეს პრინციპი უკვე კარგა ხანია, ფაქტობრივად უარყო. შეიძლება ითქვას, რომ მე-10 ტურის კენჭისყრისას ჩვენს ვაჟთა გუნდს ბედმა გაღმოხედა. ინდოეთის ნაკრები ნაღდად არ არის ისეთი მოჭადრაკეებით დაკომპლექტებული, ჩვენებს მათი ძლევა რომ არ შეძლოთ. ეს ერთი. მეორეც, თუ ჯანსაღი სპორტული ამბიცია გაგაჩნია და სურვილი გაქვს, შეაღო საჭადრაკო ელიტის ზედა ეშელონის კარი, არა მარტო ინდოეთს უნდა სძლიო. საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებში მონაწილეობის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ იწვნია გამანადგურებელი ანგარიშით მარცხი, ისიც სტამბოლში; ერთხელ დღემდე ჩატარებულ 60 მატჩზე მეტში. დაე, ეს „ანტირეკორდი" მოუხსნელი დარჩეს...

იყო პერიოდი, როცა რუმინულ ქალთა ჭადრაკს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ეკავა მსოფლიოში. ნიკოლაუ, ბაუმშტრაკი, პოლიხრონიადე, მურეშანი — ეს გვარები ბევრ რამეს ეუბნება სპორტის ამ სახეობის მოყვარულთ. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრები საჭადრაკო ოლიმპიადებში ჩაერთო (1963წ), მათი ჰეგემონია უპრობლემო იყო და მხოლოდ ერთხელ, 1979 წელს, მედელინში (კოლუმბია) ჩემპიონობის დაკარგვის საშიშროება რეალურად შეიქმნა. მაშინ საბჭოთა გუნდმა, რომელშიც ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია გამოდიოდნენ, ფინიშის ხაზი რუმინელებთან ერთად გადაკვეთა და მხოლოდ დამატებით მატჩში გამოვლინდა ჩემპიონი — სსრკ ნაკრები.

დღეს კი ობიექტურად, როგორც ინდოეთის ვაჟთა, ისე რუმინეთის ქალთა გუნდები ჩვენს ნაკრებზე სუსტები არიან, თუნდაც რეიტინგის მიხედვით — შესაბამისად 31-ე და მე-10, ჩვენების მე-10-ისა და მე-2-ის საპირისპიროდ.

სატურნირო ვითარებისა და სპორტული პატივმოყვარეობის გათვალისწინებით, საქართველოს ორივე ნაკრები ვალდებული იყო ემოქმედა პრინციპით: „არ დაინდო სუსტები, რამეთუ მხოლოდ ამ გზით შეიძლება განადიდო შენი სიძლიერე".

ქალთა გუნდების ლიდერთა ჯგუფის პირველ სამ მატჩში შედეგი ჯერ რუსეთ — ჰოლანდიის პირველ დაფაზე დაფიქსირდა. ალისა გალიამოვამ ძალიან სწრაფად და ძალიან იოლად მოუგო პენგს, სიუ ჟუნმა შავებით უკრაინელ ჟუკოვას რომ ყაიმი შესთავაზა, მაშინვე გავიფიქრეთ — იქნებ ჩვენს მაგალითს მიჰბაძონ და კოლექტიური ყაიმი შესთავაზონ მეთქი. ეს იდეა უკრაინელთა კაპიტანს თავში არ მოსვლია. „კიდევ კარგი რომ არ შესთავაზეს. ორივე დაფაზე სტრატეგიულად უკეთესი პოზიცია უკრაინელებს აქვთ. მათი საჭადრაკო დონე კი საკმარისია ასეთი უპირატესობის ბოლომდე მისაყვანად" — ცხარობდა მაქსიმალისტი და ყოველთვის უკომპრომისო ბრძოლის აპოლოგეტი ნონა გაფრინდაშვილი.

მაგრამ ჩინელებმა ამ ორი, თითქოს უარესი პარტიებიდან ქულანახევარი აიღეს და მატჩიც 2:1 მოიგეს.

საქართველო — რუმინეთის მატჩში პირველი ქულა ნინო გურიელმა მალე მოიპოვა — მის საჭადრაკო კლასს ა. სასუ-დუსკოარამ ვერაფერი დაუპირისპირა. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძემ, მისივე თქმით, დებიუტში ვერაფერი ხელშესახები ვერ მიიღო და ყაიმს დასჯერდა. ორდღიანი დასვენების შემდეგ მაიასგან მეტს ველოდით, უფრო აგრესიულ თამაშს, თანაც თეთრებით. მისი მოწინააღმდეგე მეორე დაფაზეა განაცხადში შეყვანილი და თანაც მაიას რეიტინგი 150-ით მეტია, ვიდრე რუმინელი კოზმასი. ჩიბურდანიძეს, ვიმეორებ, შეეძლო და უნდა შეექმნა კიდეც პრობლემები მეტოქისთვის, განსაკუთრებით მიტელშპილში და რთულ კომბინაციურ თამაშში იქნებ ეჯობნა კიდეც. შეიძლება ასეთი ნაბიჯი გარკვეული რისკიც იყო, მაგრამ გუნდის ინტერესები ამას ითხოვდა.

სწორედ რისკზე წავიდა შავი ფიგურებით მოთამაშე ნანა იოსელიანი, როცა პაიკი შესწირა და პარტია ორმხრივი შესაძლებლობების, მაგრამ ძალზე ძნელად სამართავ რელსებზე რომ დააყენა. ყოველ შემთხვევაში ბრძოლა იყო, იყო სურვილი პარტიის მოგებისა. არ გამოვიდა. რუმინელმა მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწია. მაგრამ ნანას ბრძოლისუნარიანობას ვერ დაუწუნებ.

ასე რომ, წინ ვერ გავიჭერით. ნახევარ ქულიანი სხვაობა რჩება და იზრდება იმის შანსი, რომ ჩინელებმა შეინარჩუნონ ჩემპიონობა. ცხადია, ჩემპიონობის შანსი საკმაოდ სოლიდური დოზით საქართველოს ნაკრებსაც გააჩნია. ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისყოფასა და ნერვებს.

ვაჟებმა ინდოელებთან მატჩი დათმეს — 1,5:2,5. გუნდის ვეტერანებმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ზურაბ სტურუამ პირველ ორ დაფაზე ყაიმები დააფიქსირეს. როგორც ჩანს პირველ დაფაზე კრიშნან სარიკირენს ყაიმის მიღწევა ოცნებად ჰქონდა ქცეული — როცა მშვიდობიან მოლაპარაკებაზე ზურაბი არ წავიდა, ისეთი პოზიცია დააყენა, ფრეს გარდა სხვა გამოსავალი არაფერი რჩებოდა. სტურუამ შავებით მალე გაათანაბრა პოზიცია და მოწინააღმდეგის მიერ შეთავაზებულ ფრეს დათანხმდა. თამაზ გელაშვილმა ბევრი მცდელობის მიუხედავად მხოლოდ ნახევარი ქულა აიღო. ბაადურ ჯობავამ კი, რომელიც დებიუტიდან შავებით საკმაოდ კარგად, ოდნავ უკეთესი პოზიციითაც კი გამოვიდა. შემდეგ უცებ მოინდომა მოგება, სამწუხაროდ მოგების გზის ძიებაში გზა აერია, ხარისხი წააგო და მალე პარტიაც. მაშ ასე, მორიგი წარუმატებლობა და ისევ მესამე ეშელონში აღმოვჩნდით.

ძალზე დაძაბულად, ვიტყოდი დრამატულად მიმდინარეობს ბრძოლა ვაჟთა გუნდებს შორის. ბოლო ორი ტურიდან გამოვარჩევდი მანამდე დამაჯერებელი თამაშით გამორჩეული ესპანელების განადგურებას სომხებისაგან (0,5:3,5) და დღეს თავად სომხების მარცხს გერმანელებთან. ამასთან, არა მარტო ჟურნალისტებს, არამედ ბევრ ტიტულოვან მოჭადრაკეს უკვირს, რომ გერმანელებს, ფაქტობრივად, მაღალი კლასის გუნდი არ ჰყავთ და ასეთი შედეგი კი აქვთ.

ბელგიელებთან გუშინდელი მარცხის შემდეგ, დღეს მძლავრად გაისროლა „ავრორამ" — რუსეთის ნაკრებმა არც მეტი, არც ნაკლები 4:0 დაამარცხა რუმინელები. როგორც წესი, სატურნირო ცხრილის ამ ნაწილში, ოლიმპიადის ფინიშზე, ასეთი რამ საერთოდ არ ხდება, ან კიდევ ათასში ერთხელ. „ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვქონდა. ასეთ ანგარიშს არა, მაგრამ სოლიდურ მოგებას კი ვგეგმავდით. გუნდს, რომელიც საჩემპიონოდ ემზადება, ასეთი კონკურენციის პირობებში სხვა არჩევანი არა აქვს" — მეუბნება რუსთა პირველი დაფა, მსოფლიოს ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ალექსანდრ ხალიფმანი.

**სატურნირო ვითარება XI ტურის წინ**

**ვაჟები**

**რუსეთი — 28, გერმანია — 27,5, უკრაინა — 27, სომხეთი — 26,5, უნგრეთი, ბულგარეთი — 25,5, საქართველო — 23 ქულა.**

**ქალები**

**ჩინეთი — 23, საქართველო — 22,5, რუსეთი, ჰოლანდია 20, უკრაინა, იუგოსლავია — 19**

ხელბურთი

# ბავშვები გამრავლდნენ

**ალბათ** ცოტა უხერხულია, 15-16 წლის 190-სანტიმეტრიან ჭაბუკებზე ბავშვებიო, რომ ითქვას, მაგრამ სწორედ ასეა. ლაპარაკია ქართული ხელბურთის ხვალინდელ დღეზე, ანუ ბავშვთა ლიგის პირველობაზე.

შეჯიბრი კი მიმდინარეობს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენი მონაწილე არ ჰყავს, ორგანიზატორები რომ ვარაუდობდნენ. ასპარეზობა სულ სამმა გუნდმა დაიწყო — ჯემალ ცერცვაძის სახელობის სახელბურთო სკოლის ორმა „მართვემ" (ერთმა უკონკურსოდ) და ფოთის „გაგამ". მიზეზთა გამო, რომელთაგან უმთავრესი უფულობაა, წლეულს საერთოდ არ გამოჩენილან ბათუმელები, ხოლო ზოგმა პირველი წრე გამოტოვა. მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა მეორე ეტაპზე და მწირ ჩემპიონატს სამტრედიელი და ქუთაისელი ჭაბუკები შეემატნენ. თავიდან ხელჩაქნეულ ქუთათურებს დამხმარეები გამოუჩნდათ ქალაქის მერიისა და რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის მხრიდან — გუნდის გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანეს და თბილისში სათამაშოდ ერთკვირიანი სტუმრობა დაუფინანსეს. იმედია, ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და ბიჭებიც ორიოდ წელში სათქმელს ხმამაღლა იტყვიან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფოთელთა მონდომება. წლეულს მაისში შეიქმნა დამოუკიდებელი სახელბურთო კლუბი „გაგა", რომელსაც ადგილობრივი სპორტსკოლის ტრაგიკულად დაღუპული დირექტორის, ფრიდონ გაგულიას სახელი ეწოდა. მწვრთნელები შერჩევის შემდეგ გუნდში მხოლოდ პერსპექტიულ ბავშვებს ტოვებენ. ამჟამად კლუბი 13-16 წლის ორმოცამდე ხელბურთელს ითვლის. სწორედ მათზე დაყრდნობით აპირებენ ფოთელები ოთხწლიანი იზოლაციის შემდეგ გაისად უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას. ორნი — ალეკო ბერძენიშვილი და ბორის თოფურია საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატები არიან. მწვრთნელებს 192 სმ. სიმაღლის ცაცია ზურაბ ჩხარტიშვილის დიდი იმედიც აქვთ.

რაც შეეხება გათამაშების ლიდერს — „მართვეს" პირველ გუნდს, გამოსარჩევი თითქმის ყველაა, რადგან ეს პრაქტიკულად საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებია. თანატოლთა ლიგის გარდა ბიჭები დიდების ჩემპიონატშიც მონაწილეობენ, ხოლო უფროსების გვერდით თამაში მათთვის ჩინებული სკოლაა საგაისო ევროპულ პირველობაში გამოსვლის წინ. „მართვე" უდანაკარგოდ, ოთხი მოგებით სათავეში უდგას ცხრილს, „გაგას" ერთი წაგება აქვს, შემდეგ კი ქუთაისისა და სამტრედიის გუნდები მოდიან.

**გია ახალაძე**

კალათბურთი

**საქართველოს ჩემპიონატი, IV ტური**

# კამერუნელები ვერ შეაცდინეს

8 ნოემბერი. ვერის ბაღი

**სსუ 83:95 ვითა**

**13:29, 28:17, 10:25, 32:24**

**სსუ:** გ. ტლენტი, ბ. ბერიშვილი (39), ლაცუზბაია (4), ბერია, ბ. ქვილითაია (14); არჩვაძე (6), სორდია (7), გ. ქვილითაია (13)

**ვითა:** მარხვაშვილი (14), ტ. ვაშაკიძე (15), ბარბაქაძე (35), ჭირაქაძე (10), მდივანი (16); ერგემლიძე, ბურკაძე (3), ჩიხლაძე (2), ნ. შანიძე

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

8 ნოემბერი. ვერის ბაღი

**მაკაბი 98:79 დინამო**

**32:19, 15:19, 22:22, 29:19**

**მაკაბი:** წოწელია (23), ი. შანიძე (36), სარიშვილი (4), ტუჯანი (16), დაჩუმი (14); ანდღულაძე (2), აკოლაშვილი (3), კრიხელი, მანველიშვილი

**დინამო:** ბადრიძე (7), თორთლაძე (25), კეიდია (25), ნინიაშვილი (2), შენგელია (2); არაქელიანი (2), ლ. აბულაძე (6), ბ. ნოზაძე (10)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

8 ნოემბერი. ვერის ბაღი

**თსუ 86:77 შევარდენი**

**32:29, 24:19, 17:16, 13:13**

**თსუ:** ვეფხვაძე (2), მაისურაძე (7), გ. მარკოიშვილი (14), ახალკაცი (10), მაჭარაძე (11); არსიაშვილი (18), ი. ბერიშვილი (16), ზამთარაძე, სანიკიძე (8)

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (7), გ. ჩხეიძე (11), გიგაური (12), სუხიშვილი (28), ქევხიშვილი (4); ფრანგიშვილი, კაზანჯიანი (3), ალავიძე (4), მაჭავარიანი (2), გოგუა (6)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით მაჭავარიანი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**გიორგი ბიკაშვილი**

**ეს** მატჩები წესით და რიგით 29 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ, გეხსომებათ, უშუქობამ შეიწირა და მეოთხე ტურის სამივე თბილისური შეხვედრა გუშინღა ჩატარდა. სწორედ გუშინ გაირკვა, რომ „შევარდენმა" არსებულ შინააშლილობას საბოლოოდ თუ არა, დროებით მაინც დაუსვა წერტილი. მწვრთნელ-კალათბურთელთა დაპირისპირება, ჩანს, წარსულს ჩაბარდა, რადგან თსუ-სთან სათამაშოდ შევარდნებს ვინმე სხვა კი არა, კვლავაც სერგო იშხნელი გამოუძღვა.

ფავორიტად მიჩნეულ უნივერსიტეტელთა წინააღმდეგ იშხნელმა თავიდანვე ზონურად განალაგა დაცვაში შეგირდები. ლევან ქევხიშვილისა და ლადო სუხიშვილის შეთანხმებული თამაშის შედეგად ფარქვეშ „შევარდენის" უპირატესობა გამოიკვეთა, დამაგვირგვინებელ ფაზაში იშხნელის გუნდიდან გიორგი ჩხეიძე იჩენდა ფხას, რომელსაც მეურვე ნიკა ვეფხვაძე ძნელად უმკლავდებოდა. სუხიშვილის ზუსტი საჯარიმოს შემდეგ საავიაციოქარხნელები ხუთი ქულით დაწინაურდნენ, თუმც ნელ-ნელა თსუ-ც გამოერკვა და მდგომარეობა ერთიორად გამოისწორა. სტუდენტთაგან ირაკლი მაისურაძე გამოირჩა, რომელმაც მცირე დროში ორი სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა — 14:14.

შემდეგ კარგა ხანს ფეხდაფეხ სდიეს მეტოქეებმა ერთმანეთს, საფუძვლიანად დაწინაურებას ვერც ერთი მათგანი ახერხებდა, პირველი მეოთხედის მიწურულს თითქოს თსუ-მ მეტად მოინდომა და ორწუთიან შესვენებაზე სამქულიანი უპირატესობით წავიდა.

პირველი მეოთხედის უხვქულიანობის მიზეზი მარტივი მისახვედრი იყო, ყველამ კარგად შეამჩნია, რომ ტაბლოს წამზომი ერთობ ნელა მოძრაობდა და მატჩის კომისარმაც საკონტროლო საათის მოშველიება გადაწყვიტა. ძნელი სათქმელია, ამას რა კავშირი ჰქონდა თამაშის ხარისხთან, თუმც ფაქტია, რომ შეხვედრა დიდი ვერაფერი სანახავი იყო. წამზომისა არ იყოს, მოედანზე მყოფი კალათბურთელებიც ერთობ დუნედ ირჯებოდნენ, რაც შეხვედრას შინაარსობრივადაც აკნინებდა.

თსუ აშკარად ვერ იყო თამაშის იმტაზე, „შევარდენი" კი ძირითადად ბრძოლისუნარიანობით გადიოდა ფონს. ასეა თუ ისე, მატჩი კვლავაც ქულა ქულაში გაგრძელდა და მოგვიანებით გოჩა არსიაშვილის ძალისხმევით შეძლო სტუდენტობამ მეტ-ნაკლებად სოლიდური სხვაობით დაწინაურება. არსიაშვილმა ერთ წუთში ორი ტყუპისცალივით მსგავსი სამქულიანი ჩააგდო და ტაიმის ბოლოს თსუ რვა ქულით მოსწყდა მეტოქეს.

შესვენების შემდეგ თსუ-მ მეტად იმძლავრა და სწრაფი პირველი შეტევების წყალობით 14 ქულით მოიტოვა უკან „შევარდენი", მაგრამ მერე მოეშვა ზაზა ზამთარაძის გუნდი, ორწუთიანი მონაკვეთი 0:7 დათმო და მოწინააღმდეგე 7 ქულამდე მოიახლოვა. მომდევნო ეპიზოდში სტუდენტი მაისურაძე გაფიცხდა და მსაჯებს ტექნიკური შენიშვნაც დასტყუა, მაგრამ „შევარდენმა" ამისგან მაქსიმალური სარგებელი ვერ ნახა და მესამე მეოთხედის ბოლოს კვლავაც 9 ქულით ჩამორჩა თსუ-ს.

ბოლოს ერთხელაც მიეცა „შევარდენს" მატჩში გარდატეხის შეტანის შანსი: დამთავრებამდე სამი წუთით ადრე იშხნელის გუნდი ექვს ქულამდე მიუახლოვდა ზამთარაძისას, მაგრამ შემდეგ ამ უკანასკნელმა საგანგებოდ ბოლო წუთებისთვის შემონახული მაჭარაძე, ახალკაცი და მაისურაძე ერთდროულად ჩართო საქმეში და ამით მეტოქეს ხელიც მოუთავა.

გუშინ კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩაიგდო თავი ლევან მოსეშვილის „დინამომ", „ვითასთან" სამარცხვინო წაგებას ახლა „მაკაბისთან" მარცხი მიაყოლა და გამარჯვება რაა, დღემდე არ იცის. ჩანს, ეს გუნდი გადაჭარბებული ამბიციებით შეეგება მეათე ეროვნულს. „დინამომ" მომავალშიც თუ ასევე განაგრძო, ამ სეზონში მეტოქეებს თითო-ოროლა მოგებას თუ გამორჩება.

დასაწყისში მაკაბელთა უპირატესობა გამოიკვეთა, კამერუნელებმა, ტუჯანიმ და დაჩუმიმ ფარი დაიპყრეს, ირაკლი შანიძე ქულას ქულაზე ინაგრებდა და შედეგად „მაკაბი" ჯერ 10 ქულით დაწინაურდა, პირველი მეოთხედის მიწურულს კი — ცამეტით.

ლევან მოსეშვილმა მეორე მეოთხედში ზონური დაცვა მოხსნა და ახლა პერსონალურ მეურვეობაზე გადააწყო გუნდი. ამან ერთხანს ნაყოფი გამოიღო, თუმც შანიძის წინააღმდეგ გუშინ ყველა დინამოელი უძლური იყო, ირაკლი არავის და არაფერს დაგიდევდათ, მისი ყოველი მოქმედება ზუსტი და შეუმცდარი იყო.

მეორე ტაიმში „დინამომ" ფარქვეშ გადაიტანა თამაში. ტუჯანისა და დაჩუმის სამ-სამი პერსონალური ჰქონდათ და მოსეშვილის სამწყსომ მათი თავიდან მოშორება გადაწყვიტა, მაგრამ კამერუნელები ფრთხილობდნენ დაცვაში და მოწინააღმდეგეს მზაკვრული ჩანაფიქრის ამაოებაში არწმუნებდნენ. აქ აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში „მაკაბი" სასტარტო ხუთეულით, შეუცვლელად ეპაექრებოდა „დინამოს". მაკაბელთა შემადგენლობაში პირველი შეცვლა მესამე მეოთხედის მიწურულსღა განხორციელდა.

ყოველივემ, ბუნებრივია, გარკვეულწილად დაღი დაასვა „მაკაბის". ბოლო მეოთხედში იგი შესამჩნევად დაიღალა, რითაც კარგად ისარგებლა „დინამომ" და დამთავრებამდე ოთხნახევარი წუთით ადრე სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა. სულ მალე კიდევ 2 ქულის გაქვითვაც შეეძლო „დინამოს", მაგრამ ამ გუნდის სომეხმა ლეგიონერმა კარენ არაქელიანმა ორივე საჯარიმო გააცუდა და მატჩის გადარჩენის საკმაოდ კარგი შანსი ქარს გაატანა.

ბოლო აკორდი გოჩა წოწელიამ ჩამოჰკრა. მან ზედიზედ სამი შედეგიანი გარღვევა განახორციელა და უკლებლივ ყველა კითხვას პასუხი გასცა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 8 | 8 | 0 | 823:539 | 16 |
| აზოტი | 5 | 4 | 1 | 395:341 | 9 |
| თსუ | 5 | 4 | 1 | 494:453 | 9 |
| ვითა-სტუ 2 | 7 | 2 | 5 | 547:682 | 9 |
| სტუ-ჯეოსელი | 5 | 3 | 2 | 470:456 | 8 |
| მაკაბი | 5 | 2 | 3 | 450:430 | 7 |
| შევარდენი | 6 | 2 | 4 | 453:515 | 7 |
| სსუ | 5 | 0 | 5 | 375:509 | 5 |
| დინამო | 4 | 0 | 4 | 310:392 | 4 |

*შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

## VI ტურის საუკეთესო მოთამაშე

**თსუ**

## გულივერ ახალკაცი



გურამ ცუცქირიძის ფოტო

**ტურის** ცენტრალურ შეხვედრაში თსუ-სა და „სტუ-ჯეოსელის" კალათბურთელებმა გულშემატკივართა იმედები გაამართლეს.

თავიდან ყველა სათამაშო რგოლში თანაბარი სიძლიერის კალათბურთელებით დაკომპლექტებული სტუ დაწინაურდა. მართალია, ბრინჯაოს მედლის მფლობელმა სტუდენტებმა შეძლეს პირველი და მეორე მეოთხედის მოგება, მაგრამ მოწინააღმდეგე სულაც არ აპირებდა ბედთან შეგუებას. თსუ-ს ხელმძღვანელების თქმით, მიმდინარე ჩემპიონატში გუნდის უმთავრესი მიზანი საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა იქნება და მათ კალათბურთელებს თავიანთი სიძლიერე, პირველ ყოვლისა, სტუ-სთან პაექრობაში უნდა დაემტკიცებინათ, რომელიც აგერ უკვე ზედიზედ მეორე საკალათბურთო სეზონია, მესამე ადგილს არ თმობს.

წინა სეზონთან შედარებით დიდი ცვლილებები მოხდა თსუ-ს საკალათბურთო გუნდში. კლუბის პრეზიდენტად ბიზნესმენი გიორგი ზამთარაძე დაინიშნა, რომელმაც მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ნოდარ ქორქიას წასვლის შემდეგ მისი ადგილი თავის ძმას, ზაზა ზამთარაძეს ჩააბარა. არიან ახალწვეული კალათბურთელებიც, რომლებიც მოედანზე ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. ამჯერად ვისაუბრებთ ცენტრ გულივერ ახალკაცზე, რომელმაც დავით ბერიშვილთან, ირაკლი მაისურაძესა და გიორგი მარკოიშვილთან ერთად ლომის წილი დაიდო თსუ-ს გამარჯვებაში.

ახალკაცი ის იშვიათი კალათბურთელია, რომელიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში ყველა სინჯის მედლის მოპოვება შეძლო. ჯერ ბრინჯაოსა და შემდეგ ვერცხლს იგი აწ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ თბილისის „კაქტუსში" თამაშისას დაეუფლა, ჩემპიონობა კი „ვითაში" მოიპოვა. მართალია, გამოკვეთილი ცენტრისთვის სასურველი სიმაღლით (202 სმ) არ გამოირჩევა, მაგრამ სამაგალითოა მისი შრომისმოყვარეობა. იგი ყოველ სეზონში ხვეწს თამაშს, აქვს კარგი ნახტომი, ადვილად ხსნის ბურთს ფარზე და უპრობლემოდ ტენის მას კალათში, დაუზარებლად აწოდებს პასებს ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ თანაგუნდელებს და შეტევის შემდეგ დროულად ბრუნდება დაცვაში პოზიციების გასამაგრებლად. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ახალკაცმა სტუ-სთან მეტად პრინციპული შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა და სრული 40 წუთი დაჰყო მოედანზე, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში სერიოზული კონკურენტები ჰყავს შოთა მაჭარაძისა და ზურაბ სანიკიძის სახით. გულივერ ახალკაცი ფიზიკურადაც კარგად არის მომზადებული, რადგან ასეთი დატვირთვის შემდეგ დაღლა სულაც არ ეტყობოდა.

VI ტურში, როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში გააზრებული თამაშით ახალკაცმა თავის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰაკიმ მასწავლებელი

7 ნოემბერი

**მილუოკი 89:103 ნიუ იორკი**

მილუოკი: ჰანტერი (23), რობინსონი (21), ალენი (20)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (24), რაისი (18), სპრიუელი (16)

**პორტლენდი 97:88 ატლანტა**

პორტლენდი: სმიტი (22), ენტონი (17), ვოლესი (16)

ატლანტა: ტერი (21), რაიტი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ფინიქსი 100:81 სან ანტონიო**

ფინიქსი: მარიონი (23), დელკი (20), კიდი (10 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**ჩიკაგო 83:88 ვაშინგტონი**

ჩიკაგო: ელ-ამინი (21), ბრენდი (15 ქულა, 14 მოხსნა)

ვაშინგტონი: სტრიკლენდი (21), ვიტნი (17)

**ჰიუსტონი 84:74 ლეიკერსი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (23), მობლი (18)

ლეიკერსი: ონილი (24)

**ტორონტო 105:75 ბოსტონი**

ტორონტო: დევისი (24), კარტერი (23), ვილიამსონი (21)

ბოსტონი: უოლკერი (12)



REUTERS ფოტოქრონიკიდან

ტორონტო — ბოსტონი. ტორონტოელი ვინს კარტერი (მარჯვნივ) და მარკ ბლაუნტი

უჭირთ დასავლელ ბობოლებს. გამარჯვებები ციდან არ უცვივათ და არცთუ იშვიათად მარცხია მათი თანამდევი. აგერ, შვიდ ნოემბერს ორმა მათგანმა, წლევანდელმა ჩემპიონმა „ლეიკერსმა" და მისმა წინამორბედმა „სან ანტონიომ" წააგეს. თუ ამ უკანასკნელის მარცხი ნაკლებად მოულოდნელი იყო, „ლეიკერსის" წაგებას თამამად შეგვიძლია, სენსაცია ვუწოდოთ.

რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ჰიუსტონელებმა, კერძოდ კი ჰაკიმ ოლაჯუონმა და ახალბედა ჯეისონ კოლერმა მეტ-ნაკლებად შეძლეს შაკილ ონილის თამაშის რიტმიდან ამოგდება. ონილი, მოგეხსენებათ, ნახევარ გუნდს უდრის, იგი უამრავ ბურთს აგდებს და ხსნის, ერთი სიტყვით, ლიგის საუკეთესო მოთამაშეა, მაგრამ მან ვერაფერი გააწყო მრავალრიცხოვანი ტრავმებით გატანჯულ 37 წლის ჰაკიმ ოლაჯუონთან (12 ქულა). სეზონის დაწყებამდე ოლაჯუონმა თქვა, ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ, თავი ათი წლის ახალგაზრდა მგონია და მინდა, ამ სეზონში პირველ რიგში საკუთარ თავს დავუმტკიცო, რომ თამაში ჯერ კიდევ შემიძლიაო. ბებერი ჰაკიმი ამას შაკილთან ბრძოლაზე უკეთ ვერ დაამტკიცებდა. ონილი და ოლაჯუონი დღესდღეობით სულ სხვა გაქანების მოთამაშეები არიან. ონილი ჯან-ღონით აღსავსე და დანარჩენ საკლათბურთო სამყაროსთან ბრძოლის სურვილით ანთებული მთაკაცია, ოლაჯუონი კი ტრავმახშირი ვეტერანი, რომელიც მოედანზე სულ ოც წუთს თუ ატარებს. მაგრამ, ნურავინ დაგვძრახავს და, ონილი საკალათბურთო ინტელექტით ბევრად ჩამორჩება ოლაჯუონს. ამ შეხვედრაში ლეიკერსელმა სტატისტიკურად აჯობა ჰიუსტონელს, მაგრამ მისგან გაკვეთილიც მიიღო, ჰაკიმი ფარქვეშ უსაფრდებოდა მეურვეს და როდესაც ონილი ასახტომად ემზადებოდა, ბურთის ჩატენვას და ფარის ჩამოგლეჯას დააპირებდა, უბრალოდ, ოსტატურად აცლიდა ხელიდან ბურთს. ოლაჯუონმა ხუთი ჩაჭრა მიითვალა, მათგან ოთხჯერ ააცილა ბურთი გაოგნებულ ონილს, რომლისთვისაც კარგა ხანია, ასეთი რამ არავის უკადრებია.

ვეტერან ოლაჯუონთან ერთად ნურც ახალგაზრდებს — სტივ ფრენსისს და კუტინო მობლის დავუკარგავთ გარჯას. ჩემპიონის კალათს ძირითადად ეს ორი უკანახაზელი ბომბავდა, თან ისე წარმატებით, რომ „ლეიკერსმა" წელში გამართვა ვეღარ მოახერხა. ფრენსისის აქტიურობის წყალობით „ჰიუსტონი" თავიდანვე დაწინაურდა და სულ ლიდერობდა. არცთუ უხვქულიანი მატჩის ბოლო მეოთხედის დასაწყისში მდევარმა ჩემპიონმა ონილის ხანმოკლე გაელვარების შემდეგ ექვს ქულამდე შეამცირა სხვაობა. მეოთხედის შუაწელში მასპინძლები ათი ქულით დაწინაურდნენ. ონილმა ბოლოს გაიბრძოლა, „რაკეტებს" პერსონალურები ჩამოურიგა, ექვსიდან სამი საჯარიმო ჩააგდო და ჩამორჩენა სამ ქულამდე დაიყვანა — 73:76. სულ ეს იყო. დარჩენილი სამი წუთი მასპინძლებმა 8:1 მოიგეს და ბობოლა მეტოქის ძლევით გვარიანად გაიხარეს: „შინაურ თამაშებზე ჩვენს სანახავად ბევრი ხალხი არ დადიოდა. დღეს ბლომად მოვიდნენ, ალბათ ჩემპიონის ნახვა თუ უნდოდათ. ამ თამაშის ნახვის შემდეგ ჰიუსტონელები ალბათ არ დაიზარებენ და შემოივლიან ხოლმე" — ნახევრად ცარიელ დარბაზში თამაშით უკმაყოფილო სტივ ფრენსისმა გულშემატკივრები გაკენწლა. მატჩის კიდევ ერთმა გამორჩეულმა მონაწილემ, კუტინო მობლიმ კი „ლეიკერსსაც" გაჰკრა კბილი. დიდი ამბავი „ლეიკერსს" რომ მოვუგეთ, მაგათთან შარშანაც ორჯერ გავიმარჯვეთ და უფრო ადვილად. ეს ჩვენი საქმეა და ჩვენგან ხალხი არამარტო „გოლდენ სტეიტის" ძლევას უნდა ელოდესო.

ასეა თუ ისე, ახალდაწყებულ სეზონში კიდევ ერთი სენსაცია მოხდა. ამასთან „ლეიკერსმა", რომელსაც არასდროს უჭირდა, ნებისმიერი მეტოქისთვის 90-100 ქულა ჩაეგდო, ახლა სულ 74 მოაგროვა. ასე ცოტა ლოსანჯელესელებს ბოლო ხუთი წელია, არ დაუგროვებიათ.

„სან ანტონიოს" ფინიქსში ჩასვლამდე ამ სეზონში არ წაეგო. ტეხასელები არიზონას რევანშის ალების წყურვილით ეწვივნენ, მაგრამ სამაგიეროს გადახდაზე მომავალში უნდა იფიქრონ. წინა სეზონის პლეი ოფის პირველ წრეში, მაშინ ჯერ კიდევ მოქმედ ჩემპიონ „სფურზს" „ფინიქსი" ერგო. „დეზებს" ყმაწვილი ლიდერი ტიმ დანკანი აკლდათ და სერიის 1:3-ით წაგებაც ამას ბრალდებოდა. ახლა დანკანი ჯანზეა და ძველებურად აიკიდა „სან ანტონიოს" ლიდერის ტვირთი, მაგრამ ამჯერადაც „ფინიქსს" დარჩა გამარჯვება. მასპინძელთა მწვრთნელმა სკოტ სკაილზმა შარშანდელი ახალბედა შონ მარიონი შონ ელიოტს დაუყენა მეურვედ, მაგრამ ელიოტს თავად მოუწია მარიონის დევნა. ჭაბუკმა ფინიქსელმა, რომელსაც ოკეანის გაღმა ხეირიანად არავინ იცნობს, ბლომად საფიქრალი გაუჩინა მეტოქეს და ექსჩემპიონთა ძლევის მთავარ შემოქმედად იქცა. რაღა თქმა უნდა, ბევრს აქტიურობდა „სანზის" ლიდერი ჯეისონ კიდი, რომელმაც მართალია სულ ათი ქულა შეაწია თავისიანებს, მაგრამ პასები და მოხსნები ბლომად მიითვალა და კარიერაში 33-ე სამმაგ დუბლამდე სულ ერთი მოხსნა დააკლდა.

გაუჭირდა „პორტლენდს". მართალია, მოიგო, მაგრამ „ატლანტამ" ხომ ყველა უგებს. ყოველგვარი საბრძოლო სულისკვეთების გარეშე მოთამაშე „ბლეიზერსს" არც სურდა ოფლის მოღვრა, მაგრამ უხეირო მეტოქისგან წინააღმდეგობა იგრძნო და იკადრა თამაში. პორტლენდელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სტივ სმიტმა, რომელიც ამ გუნდში სწორედ „ატლანტიდან" გადმოვიდა, ყველაზე მეტი მონდომა და თავის ყოფილ გუნდს 22 ქულა ჩაუგდო. „კარგი გუნდი ვართ, მხოლოდ მკვლელის ინსტინქტი გვაკლია" — ამბობდა ნამატჩევს სკოტი პიპენი (12 ქულა). თავად პიპენს ახლა შესვენება აქვს. იგი ალბათ პლეი ოფში თუ გამოიჩენს იმ მკვლელ ინსტინქტს, რომელზეც საუბრობს, მანამდე კი სხვებს მოუწოდებს, მონდომებით ითამაშონ.

მაიკლ ჯორდანი არ ჩასულა ჩიკაგოში, სადაც მისი „ვაშინგტონი", მის ყოფილ გუნდს, „ჩიკაგო ბულზს" ხვდებოდა და არ უნახავს ეს თამაში. ამით ჯორდანს ბევრიც ნამდვილად არ დაუკარგავს. ეს იყო ყოვლად საზიზღარი და მოსაწყენი შეხვედრა, რომელსაც თავად არცთუ დიდი ხნის წინ გამოფხიზლებული ვაშინგტონელი როდ სტრიკლენდი თუ ახალისებდა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| ფილადელფია | 4 | 0 | 100 |
| ნიუ იორკი | 3 | 1 | 75,0 |
| ორლანდო | 3 | 2 | 60,0 |
| ბოსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 2 | 3 | 40,0 |
| მაიამი | 1 | 2 | 33,3 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 2 | 33,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| კლივლენდი | 3 | 0 | 100 |
| შარლოტი | 3 | 1 | 75,0 |
| ტორონტო | 2 | 3 | 40,0 |
| ინდიანა | 1 | 2 | 33,3 |
| მილუოკი | 1 | 3 | 25,0 |
| დეტროიტი | 1 | 3 | 25,0 |
| ჩიკაგო | 0 | 4 | 0,0 |
| ატლანტა | 0 | 5 | 0,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 4 | 0 | 100 |
| სან ანტონიო | 3 | 1 | 75,0 |
| დალასი | 3 | 1 | 75,0 |
| ვანკუვერი | 3 | 1 | 75,0 |
| მინესოტა | 2 | 2 | 50,0 |
| ჰიუსტონი | 2 | 3 | 50,0 |
| დენვერი | 1 | 3 | 25,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ფინიქსი | 4 | 1 | 80,0 |
| ლეიკერსი | 3 | 2 | 60,0 |
| საკრამენტო | 3 | 2 | 60,0 |
| პორტლენდი | 2 | 3 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 2 | 33,3 |
| სიეტლი | 1 | 3 | 25,0 |
| კლიპერსი | 1 | 3 | 25,0 |

## კვირის მოთამაშე

### ჯონ სტოქტონი, კარლ მელოუნი

**• იუტა •**

**ჯონ სტოქტონი** და კარლ მელოუნი შორეული 1985 წლიდან მხარდამხარ თამაშობენ და რა გასაკვირია, რომ ერთმანეთის გაცილებით უკეთ ესმით, ვიდრე სხვა ნებისმიერს. თუ ეს დუეტი რამეს იგებს, ერთად იგებს და მათ შორის ერთი მოთამაშისთვის განკუთვნილი ჯილდოც წყვილად მიუღიათ. 1993 წელს მელოუნი და სტოქტონი „ოლ სტარის" უძვირფასეს(ებ)ად გამოაცხადეს, გუშინწინ კი მათ ასევე საზიაროდ უბოძეს სეზონის პირველი კვირის მოთამაშის წოდება.

სტოქტონისა და მელოუნის კვირის მოთამაშეებად აღიარება, ცხადია, მათი გუნდის, „იუტა ჯაზის" წარმატებულმა თამაშმაც შეუწყო ხელი. „იუტამ" გასულ კვირაში სამივე მეტოქე ბეჭზე გააკრა და რაც ყველაზე უფრო სასახელოა, ძლეულთა შორის თვით ჩემპიონი „ლეიკერსია". 1 ნოემბერს ლოს ანჯელესში „ჯაზმა" ჩემპიონი სწორედ მაშინ გაამწარა, როდესაც „ლეიკერსს" ოფიციალურად აჯილდოებდნენ და გამოჩენილი ხალხი წინა სეზონის ტრიუმფატორებს ხოტბას ასხამდა. „იუტამ" ის თამაში 97:92 მოიგო, მელოუნმა 26 ქულას და 11 მოხსნას მოუყარა თავი, სტოქტონმა — 21 ქულასა და 14 პასს. მანამდე „იუტამ" „ლეიკერსის" თანაქალაქელი „კლიპერსი" შეიწირა. აქ მელოუნს 34 ქულა ჰქონდა, სტოქტონს — 14 პასი. დაბოლოს, ორ ლოსანჯელესურ გუნდს სტოქტონ-მელოუნმა „დალასიც" მიაყოლეს. მელოუნის 35 ქულისა და 10 მოხსნის, ხოლო სტოქტონის 14 ქულისა და 10 პასის წყალობით იუტელებმა შინ 112:106 მოიგეს. სტოქტონს ამ სამ მატჩში საშუალოდ 15,3 ქულა და 12,3 პასი მოუგროვდა, მელოუნს — 31,7 ქულა და 9,0 მოხსნა.

სეზონის პირველი კვირის სხვა გამორჩეული მოთამაშეები გახლდნენ ანტუან უოლკერი (ბოსტონი), ჯამალ მაშბურნი (შარლოტი), ანდრე მილერი (შარლოტი), ტრევის ბესტი (ინდიანა), შაკილ ონილი (ლეიკერსი), ბრაიან გრანტი (მაიამი), სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი), ალენ აივერსონი (ფილადელფია), ჯეისონ კიდი (ფინიქსი) და გერი პეიტონი (სიეტლი).



## სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 8 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ალბა 77:68 რაანანა

**B ჯგუფი**

ირაკლისი 89:74 პლანია

## საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 7-8 ნოემბერი

**A ჯგუფი**

შალონი (საფრანგეთი) — მარუსი (საბერძნეთი) 75:56, ქარშიაქა (თურქეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) 87:90, პამესა (ესპანეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 89:87

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შალონი | 4 | 4 | 0 | 304:266 | 8 |
| მარუსი | 4 | 3 | 1 | 330:322 | 7 |
| პამესა | 4 | 2 | 2 | 378:342 | 6 |
| ჰაპოელი | 4 | 1 | 3 | 334:341 | 5 |
| ქარშიაქა | 4 | 1 | 3 | 328:343 | 5 |
| პივოვარნა | 4 | 1 | 3 | 325:345 | 5 |

**B ჯგუფი**

არისი (საბერძნეთი) — პორტუ (პორტუგალია) 66:81, არკადია (ავსტრია) — ზაგრები (ხორვატია) 20:0, უნიქსი (რუსეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 60:65

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 4 | 4 | 0 | 263:204 | 8 |
| არისი | 4 | 3 | 1 | 262:241 | 7 |
| ბეშიქთაში | 4 | 2 | 2 | 294:319 | 6 |
| უნიქსი | 4 | 2 | 2 | 246:190 | 6 |
| არკადია | 4 | 1 | 3 | 235:266 | 5 |
| ზაგრები | 4 | 0 | 4 | 0:80 | 0 |

**C ჯგუფი**

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — რასინგი (საფრანგეთი) 66:68, საკალაი (ლიტვა) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) 79:80, ტელეკომი (გერმანია) — კერავნოსი (კვიპროსი) 84:52

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტელეკომი | 4 | 3 | 1 | 367:317 | 7 |
| კერავნოსი | 4 | 2 | 2 | 305:324 | 6 |
| ცრვენა ზვეზდა | 4 | 2 | 2 | 320:324 | 6 |
| სან ფერნანდო | 4 | 2 | 2 | 337:341 | 6 |
| რასინგი | 4 | 2 | 2 | 300:311 | 6 |
| საკალაი | 4 | 1 | 3 | 327:339 | 5 |

**D ჯგუფი**

ბორაცი (ბოსნია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 94:76, ლუპტა (ფინეთი) — ანტვერპენი (ბელგია) 89:66, იმოლა (იტალია) — ანვილი (პოლონეთი) 92:98

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ანვილი | 4 | 4 | 0 | 351:332 | 8 |
| ანტვერპენი | 4 | 2 | 2 | 331:334 | 6 |
| ბორაცი | 4 | 2 | 2 | 372:334 | 6 |
| სლოვაკოფარმა | 4 | 2 | 2 | 337:326 | 6 |
| იმოლა | 4 | 1 | 3 | 348:352 | 5 |
| ლუპტა | 4 | 1 | 3 | 313:384 | 5 |

*მეხუთე ტური გაიმართება 14 ნოემბერს*



ცრვენა ზვეზდა — რასინგი. მასპინძელი მილოშ ვუიანიჩი გზას ულობავს ტონი პარკერს


## იყიდება ან ქირავდება



შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23


***სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) კალათბურთის წესებში ზოგიერთი ცვლილებები და დამატებები შეიტანა. ახალი წესები 2000 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. მათი განმარტება და კომენტარი ვთხოვეთ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს მურმან ქურიძეს.***

# ახალი წესრიგი

### ძირითადი ცვლილებები

**I. თამაშის დრო**

ა) თამაში შედგება ოთხი ათწუთიანი პერიოდისგან;

ბ) პირველ-მეორე და მესამე-მეოთხე პერიოდებს შორის და, თუ საჭირო გახდა, ყოველ დამატებით პერიოდს შორის შესვენებაა 2 წუთი. მეორე და მესამე პერიოდებს შორის შესვენებაა 15 წუთი;

გ) პირველ, მეორე, მესამე და ყოველ დამატებით პერიოდში გუნდს აქვს თითო წუთშესვენების აღების უფლება. მეოთხე პერიოდში — ორის. წუთშესვენების ხანგრძლივობაა სრული ერთი წუთი;

დ) გუნდი, რომელიც ყოველ პერიოდში მიიღებს ოთხ გუნდურ ჯარიმას (პერსონალური და ტექნიკური), შემდგომი ჯარიმის მიღებისას ისჯება ორი საჯარიმო ტყორცნით.

**II. კალათში ბურთის ტყორცნის დრო**

ა) გუნდს ბურთის კალათში ტყორცნისთვის განესაზღვრება 24 წამი, ნაცვლად 30 წამისა.

ბ) გუნდს ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანისთვის განესაზღვრება 8 წამი, ნაცვლად 10 წამისა.

**III. ტექნიკური შენიშვნა**

— თუ მოთამაშე მოედანზე ჯარიმდება ტექნიკური შენიშვნით, მეტოქე გუნდი ასრულებს ერთ საჯარიმო ტყორცნას და ბურთი შემოაქვს გვერდითი ხაზიდან (ცენტრალურ ხაზთან გადაკვეთის ადგილიდან).

### კომენტარი

**მუხლი №11**
**24 წამის ოპერატორის მოვალეობა**

— ჩართოს წამზომი, როგორც კი მოთამაშე მოედანზე იწყებს „ცოცხალი ბურთის" კონტროლს.

— გააჩეროს წამზომი და დაიწყოს ახალი ათვლა, როგორც კი:

ა) მსაჯი მისცემს ჯარიმის, სადავო ბურთის ან დარღვევის სიგნალს (მაგრამ არა აუტისას იმ შემთხვევაში, როცა ბურთი შემოაქვს იმავე გუნდს, ვინც მსაჯის სიგნალამდე მას ფლობდა);

ბ) ბურთი ტყორცნის შემდეგ ეშვება კალათში;

გ) ბურთი ტყორცნის შემდეგ ეხება კალათს;

დ) თამაში ჩერდება იმ გუნდის მიზეზით, რომელიც არ აკონტროლებს ბურთს.

— გააჩეროს წამზომი და არ დაიწყოს ახალი ათვლა, თუ გუნდი, რომელიც ფლობდა ბურთს, ახლიდან შემოიტანს მას მოედნის გარედან, როგორც შედეგი:

ა) ბურთი გავიდა მოედნიდან;

ბ) ორმხრივი ჯარიმა;

გ) თამაში გაჩერდა ბურთის მფლობელი გუნდის ქმედების გამო.

**მუხლი №14**
**მოთამაშეები: ტრავმა**

— სასტარტო ხუთეულში ჩართული მოთამაშე შეიძლება შეიცვალოს თამაშის დაწყებამდე ტრავმის შემთხვევაში, თუ მისი ტრავმის გულწრფელობაში მსაჯს ეჭვი არ ეპარება.

— ახალი წესი: ამ შემთხვევაში მეტოქე გუნდს ეძლევა სასტარტო ხუთეულის ერთი წევრის შეცვლის უფლება.

**მუხლი №15**
**კაპიტანი: დამატებითი უფლება და მოვალეობა**

— გუნდის კაპიტანმა თამაშის დამთავრებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მსაჯს, რომ გუნდი აპროტესტებს თამაშის შედეგს და მოაწეროს ხელი ოქმში შესაბამის ადგილას.

**მუხლი №16**
**მწვრთნელი ან დამხმარე მწვრთნელი**

— მწვრთნელი ან დამხმარე მწვრთნელი არიან გუნდის ერთადერთი წარმომადგენლები, რომლებსაც თამაშის მსვლელობისას უფლება აქვთ, მიმართონ სამდივნოს სტატისტიკური ინფორმაციისთვის.

— მხოლოდ ერთ-ერთ მწვრთნელთაგანს (კაპიტანს, რომელიც მწვრთნელის მოვალეობას ასრულებს) აქვს უფლება, თამაშის მსვლელობისას იდგეს ფეხზე სათადარიგო სკამის ზონაში.

**მუხლი №24**
**მოთამაშე ტყორცნის პროცესში**

— მოთამაშე, რომელიც ესვრის ბურთს კალათის მიმართულებით, უშუალოდ სადავო გდების დროს, ითვლება ტყორცნის პროცესში.

**მუხლი №25**
**ჩაგდებული ბურთი**

— თუ ბურთი გადის კალათში ქვემოდან ზემოთ, მაშინ ირღვევა წესი. არ არის განსხვავება, ბურთი კალათში ქვემოდან განზრახ გავიდა თუ შემთხვევით.

**მუხლი №26**
**ბურთის გამოტანა პირითი ხაზიდან**

— ბურთის გამოტანისას ნებადართულია მისი გადაგდება ფარის ზედა მხრიდან.

— მოედნიდან განხორციელებული შედეგიანი ტყორცნის შემდეგ ან ბოლო შედეგიანი საჯარიმო ტყორცნის შემდეგ, ბურთის შემომტან მოთამაშეს უფლება აქვს, გადაადგილდეს პირითი ხაზის გასწვრივ, ან დაიწიოს უკან, ან გადასცეს ბურთი პარტნიორს პირითი ხაზის უკანა ზონაში. ნებისმიერ შემთხვევაში ბურთის შემოტანა უნდა მოხდეს 5 წამის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ბურთი იყო პირველი მოთამაშის განკარგულებაში.

**მუხლი №27**
**მოთხოვნილი წუთშესვენება**

— წუთშესვენების ხანგრძლივობაა სრული ერთი წუთი. მიუხედავად იმისა, თუ წუთშესვენების მომთხოვნი გუნდი თამაშის განახლებას ამ ვადაზე ადრე შეეცდება.

— წუთშესვენების აღების შესაძლებლობა იწყება მაშინ, როცა ბურთი ჩაგდებულია წუთშესვენების მომთხოვნი გუნდის კალათში. მთავრდება მაშინ, როცა ბურთი არის შემომტანი მოთამაშის განკარგულებაში. ამდენად, არ არის აუცილებელი წუთშესვენების მოთხოვნა მანამ, სანამ ბურთი ჯერ კიდევ მსროლელის ხელშია.

— თუ მსაჯი აჩერებს დროს, ორივე გუნდს უჩნდება წუთშესვენების აღების შესაძლებლობა.

**მუხლი №28**
**მოთამაშის შეცვლა**

— ახალი წესებით, შეცვლის შესაძლებლობა იწყება მაშინ, როცა მეოთხე პერიოდის ან დამატებითი პერიოდის ბოლო ორ წუთში ბურთი ვარდება იმ გუნდის კალათში, რომელმაც შეცვლა მოითხოვა. ეს შესაძლებლობა მთავრდება მაშინ, როცა ბურთი აღმოჩნდება შემომტანი მოთამაშის განკარგულებაში. თუ გუნდმა გააკეთა შეცვლა, იმავდროულად იგივეს გაკეთება შეუძლია მეტოქეს.

— თუ მსაჯი რამე მიზეზით აჩერებს თამაშს, ორივე გუნდს უჩნდება მოთამაშის შეცვლის საშუალება.

— შემცვლელი მოთამაშე უნდა იჯდეს შეცვლის სკამზე მანამ, სანამ არ იქნება შეცვლის საშუალება. ნებისმიერ შემთხვევაში შეცვლა ხდება მატჩის მდივნის ნიშნის (სიგნალის) შემდეგ.

**მუხლი №39**
**24 წამის წესი**

— ყველაზე განსაკუთრებული ცვლილებაა ის, რომ ბურთის კალათში ტყორცნის დრო შემცირებულია 24 წამამდე.

— 24 წამის მაჩვენებელმა ახალი ათვლა უნდა დაიწყოს მას შემდეგ, როცა ბურთი მოხვდება კალათს ან ჩაეშვება კალათში. აგრეთვე, მას შემდეგ, რაც მოთამაშე მოედანზე „ცოცხალ ბურთს" დაეუფლება, იწყება ახალი 24 წამის ათვლა.

— როცა ნატყორცნი ბურთი ჰაერშია და ისმის 24 წამის სიგნალი, მაშინ:

ა) თუ ბურთი უშუალოდ ან ფარიდან ასხლეტისას ეშვება კალათში, იგი ითვლება;

ბ) თუ მას წესების დაცვით ეხება დამცველი ან თავდამსხმელი (იხილეთ სქემაზე წერტილები 2, 4, 5), ბურთი დაუყოვნებლივ ხდება „მკვდარი";

გ) თუ დამცველი ან თავდამსხმელი ბურთს წესების დარღვევით ეხება კალათის სიმაღლეზე მაღლა (წერტილი 3) ან სხვა ადგილზე (წერტილები 6), გამოიყენება სათანადო სასჯელი. თუ თავდამსხმელი შეეხო ბურთს, ბურთი გადაეცემა მეტოქეს. თუ დამცველი შეეხო ბურთს, ბურთი ითვლება.

**მუხლი №41**
**კალათის სიმაღლეზე მაღლა ბურთით თამაში და ბურთზე ხელის შეშლა**

— დამცველი განზრახ ან შემთხვევით იწვევს კალათის ან ფარის ვიბრირებას და ამით ხელს უშლის ნატყორცნი ბურთის კალათში მოხვედრას. ეს წესების დარღვევაა, ბურთი ითვლება. ეს დარღვევა აღარ ისჯება ტექნიკური ჯარიმით.

— იმ შემთხვევაში, როცა ნატყორცნი ბურთი ჰაერშია და ისმის სასტვენი, სირენა ან 24 წამის სიგნალი, ყველა საკითხი წყდება თანდართული სქემის მიხედვით.

— თუ ორივე გუნდი ერთდროულად არღვევს ამ წესს, ქულები არ ითვლება და თამაში განახლდება სადავო გდებით.

**მუხლი №45**
**ორმხრივი ჯარიმა**

— დაფიქსირდა ორმხრივი ჯარიმა და გუნდი არ აკონტროლებს ბურთს, მაგრამ უკვე მიცემული აქვს ბურთის შემოტანის უფლება. ამ შემთხვევაში სადავო გდება არ ინიშნება და ბურთი შემოდის გვერდიდან.

**მუხლი №46**
**არასპორტული ჯარიმა**

— თუ ჯარიმა განხორციელდა იმ მოთამაშის მიმართ, რომელიც არ ტყორცნიდა, ინიშნება ორი საჯარიმო ტყორცნა და ბურთის გვერდიდან გამოტანა.

— თუ ბურთი ჩავარდა, ინიშნება ერთი საჯარიმო ტყორცნა და ბურთის გვერდიდან გამოტანა.

— დარღვევა მოხდა ტყორცნისას, მაგრამ ბურთი არ ჩავარდა. ამ შემთხვევაში ინიშნება ორი ან სამი საჯარიმო ტყორცნა (ტყორცნის ადგილის მიხედვით) და ბურთის გვერდიდან გამოტანა.



# ფუ, შენი!



REUTERS ბუენოს აირესიდან

ესპანურად, თან არგენტინული აქცენტით, ნამდვილად არ ვიცით, როგორაა ეს მადლიანი ქართული ფრაზა, მაგრამ დიეგო მარადონამ, მისმა ქალიშვილმა ჯანინამ და ერთმაც გაურკვეველმა კაცმა სწორედ ეს ამოიძახეს, როდესაც დიეგოს ყოფილმა გუნდმა „ბოკა ხუნიორსმა“ ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროს“ კართან აშკარა შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. თამაში 2:2 დამთავრდა და მერკოსურის თასის ნახევარფინალში „ატლეტიკო მინეირო“ გავიდა, რადგან მას პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა.




# თავს ლაფი

ცოტა ენა მოვიტეხოთ: მოჰამად აზარუდინი, ნაიან მონგია, აჯაი ოადელა, აჯაი შარმა და მანოკ პრაბჰაკარი. აბა, გაიმეორეთ, თან თუ დაეჭვდით, რომ რომელიმე გვარს მთლად ჰინდიზე ვერ გამოთქვამთ, გული იმით დაიმშვიდეთ, რომ ვერც ისინი გაიმეორებენ ყარყარაშვილს ან ჯინჭარაულს. ისე, იცოდეთ, ეს ხალხი ტოტალიზატორებთან შეკრული მექრთამე მოკრიკეტეები არიან, ხოლო ფოტოზე ასახული ბიჭი 12 წლის ამომავალი ვარსკვლავი მანან შარმაა, რომელიც მათ თავს ლაფს ასხამს.

# მოდი, ვუშველოთ ალბანურ ფეხბურთს

აბა, დაასახელეთ ორი განსხვავება ამ ორ ფოტოს შორის. მართალია, ერთზეც და მეორეზეც ალბანეთის პრემიერ მინისტრი ილირ მეტაა გამოსახული, ოღონდ ერთზე ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს ესაუბრება, მეორეზე ლეგენდარულ მიშელ პლატინის. თემა: ალბანური ფეხბურთის პრობლემები. საუბრის ვადა: სამი დღე



REUTERS ტირანიდან



# გაგიჟდები კაცო



ეს კაცი დიდი კოლორადოელი ჰოკეისტი, მეკარე პატრიკ რუაა, ხოლო ეს ქალი მისი ცოლი მიშელი. ისინი სასამართლოში მიდიან, სადაც განიხილება საქმე: „როგორ გალახა პატრიკმა მიშელი სიმთვრალეში და როგორ ჩატეხა საკუთარი სახლის ერთ-ერთი ოთახის კარი“.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge